

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ეკონომიკისა და საგარეო ინსტიტუტი

**გ. ტყეშელაშვილი**

**კანონისმდებლობა დანაშაუდთა  
ერთობლივობისათვის**

ნაწრომში ახალი საბჭოთა სისტემის სამართლის  
კანონმდებლობის საფუძველზე გამორკვეულია დანა-  
შაულთა ერთობლიობის, მისი სახეებისა და მონათე-  
სავე ცნებების (დანაშაულის განმეორება, რეციდივი)  
სპეციფიკური ნიშნები, დადგენილია ორი ან მეტი  
დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის თავისებურე-  
ბანი.

ნაწრომში განხილულია რიგი სადავო საკითხე-  
ბა, რომელთაც იმავდროულად პრაქტიკული მნიშვნე-  
ლობა აქვთ.

ნაწრომი დახმარებას გაუწევს სასამართლოსა და  
საგამომძიებლო ორგანოების მუშაყენს დანაშაული  
ერთობლიობის საკითხებზე კანონის სწორ გამოყენე-  
ბაში, ხოლო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს  
ამ პრობლემის შესწავლაში.

## შესავალი

კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში ჩამოყალიბებული ზნეობრივი პრინციპების სრული განხორციელება გულისხმობს ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის საბოლოო ლიკვიდაციას „კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — არ უნდა იყოს სამართლის დარღვევა და დამნაშავეობა. მაგრამ სანამ არის დამნაშავეობის გამოვლინებანი, უნდა მივიღოთ სასტიკი ზომები იმ პირთა დასასჯელად, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებისათვის საშიში დანაშაულობანი, დაარღვიეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, არა სურთ ეზიარონ პატიოსან შრომით ცხოვრებას“<sup>1</sup>.

ერთი პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა ჩვეულებრივად, დიდ მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს ჩვენი სახელმწიფოსა და საბჭოთა მოქალაქეთა ინტერესებს. გარდა ამისა, ასეთი პირი აშკარად აბუჩად ეკიდება თავის საზოგადოებრივ მოვალეობებს; უგულებელყოფს სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს, მიდრეკილებას იჩენს დანაშაულებრივი საქმიანობისაკენ, ბიძგს აძლევს ძერყევ ელემენტებს დანაშაულის ჩადენისაკენ. დასასრულ, რამდენიმე დანაშაულის ჩადენა მეტწილად იმაზეც მიუთითებს, რომ დამნაშავის შეგნებაში აშკარად შესუსტდა იმ მოტივების ძალა და ზეგავლენა, რომლებმაც იგი დანაშაულის ჩადენისაგან უნდა შეაკავონ.

აღნიშნული გარემოებების გამო საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ორი ან მეტი დანაშაულისათვის მკაცრ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

დანაშაულთა ერთობლიობისა, და საერთოდ, დანაშაულთა სიმრავლის პრობლემა მკიდრო კავშირშია მოძღვრებასთან როგორც

<sup>1</sup> საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1961, გვ. 118.

დანაშაულის. ისე სასჯელის შესახებ. ამის შესაბამისად წინამდებარე ნაშრომი არსებითად ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა დანაშაულის შესახებ მოძღვრების ასპექტშია გაშუქებული, ხოლო მეორე ნაწილში ლაპარაკია დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხებზე.

დანაშაულთა ერთობლიობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ერთიანი დანაშაული. აქედან გამომდინარეობს, რომ შეუიღებელია დანაშაულთა ერთობლიობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის გარკვევა ისე, თუ წინასწარ დადგენილი არ იქნება მისი შემადგენელი ნაწილის — ერთიანი დანაშაულის ცნების ნიშნები.

იურიდიულ ლიტერატურაში ერთიანი დანაშაულის ცნების განსაზღვრის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ანიჭებენ (პროფ. ნ. ტაჯანცევი, პროფ. ნ. სერგეევსკი, პ. ვალდოვსკი და სხვ.). წინამდებარე ნაშრომში ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დანაშაულის ერთიანობას შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა ვანსაზღვრავს. ერთიანი დანაშაული მოცემული გვაქვს მაშინ. როდესაც განხორციელდება ერთი დამოუკიდებელი შემადგენლობა. შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით უნდა ვიხელმძღვანელოთ მაშინაც, როდესაც პირის ქმედობაში მოცემული გვაქვს ერთიანი დანაშაულის ისეთი ფორმები, როგორცაა განგრძობადი, დენადი და შენადგენი დანაშაული:

ორი ან მეტი დანაშაული გვაქვს როგორც დანაშაულთა ერთობლიობის, ისე დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეების დროსაც (განმეორება. რეციდივი). ეს კი ცხადია, დანაშაულთა სიმრავლე სხვადასხვა სახეების დახასიათებას მოითხოვს.

კრიმინალისტთა ერთი ნაწილი (ა. იაკოვლევი, ნ. სტრუჩკოვი) დანაშაულთა ერთობლიობაში ერთგვაროვან დანაშაულობებს გულისხმობს. წინამდებარე ნაშრომის ამოცანას ამ შეხედულებების კრიტიკული შეფასება და დანაშაულთა ერთობლიობის ცნების დამოუკიდებელი განსაზღვრა წარმოადგენს.

სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობის სახეების — იდეალური და რეალური ერთობლიობის განსაზღვრა. საკითხი დგას ასე: მიზანშეწონილი იქნებოდა თუ არა იდეალური და რეალური ერთობლიობის ისეთი გამიჯვნა, რაც სასჯელის დანიშვნის სხვადასხვა პრინციპების დადგენაში გამოვლინდებოდა.

იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე სხვადასხვა. ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებებია გაერთიანებული. ნაშრომში ნაჩვენებია და დასაბუთებულია, თუ ამ შეხედულებებიდან რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

ნაშრომში დახასიათებულია ის მომენტი. რომელთა გამოც კანონმდებელმა განაჩენთა ერთობლიობა (ე. ი. ის შემთხვევა, როდესაც პირს პირველი განაჩენის გამოტანამდე ჩადენილი აქვს ორი ან მეტი დანაშაული, თანაც მას თავდაპირველად ასამართლებენ არა ყველა, არამედ ზოგიერთი დანაშაულისათვის, ხოლო ამის შემდეგ პასუხისგებაში აძლევენ სხვა დანაშაულთათვისაც) დანაშაულთა ერთობლიობის ერთ-ერთ სახედ სცნო

1958 წლის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებმა და ახლად მიღებულმა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის წესებში.

დანაშაულთა ერთობლიობის არსის გარკვევისათვის ბუცილებელია დადგენილ იქნეს, თუ რით განსხვავდება პირველი განაჩენის გამოტანამდე ჩადენილ დანაშაულთათვის სასჯელის დანიშვნის წესი განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ სასჯელის მოხდამდე ჩადენილი დანაშაულთათვის (ე. წ. სასჯელთა ერთობლიობა) სასჯელის დანიშვნის წესისაგან. ეს შეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან 1958 წ. საფუძვლები ამ მეორე შემთხვევაში აწესებენ სასჯელის დანიშვნის სხვა წესებს.

დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა წმინდა თეორიული პრობლემა როდია. პირიქით, მას უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამან გვიკარნახა ფართოდ გამოგვეყენებინა სასამართლო პრაქტიკის მასალები. მათი ანალიზი შესაძლებლობას იძლევა ნათელი გავხადოთ დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებული რთული და სადავო საკითხები.

## თავი პირველი

### ერთიანი დანაშაულის ცნება

#### § 1 ერთიანი კმელოვის ნიშნები

საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებას (ან უმოქმედობას) თითოეული დანაშაულის შემადგენლობაში არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: „მხოლოდ იმდენად — წერდა კ. მარქსი. — რამდენადაც მე გამოვავლინებ ჩემს თავს, მე შევდივარ სინამდვილის სფეროში, — მე შევდივარ კანონმდებლობისადმი დაქვემდებარებულ სფეროში. ჩემი მოქმედების გარეშე მე სრულიად არ ვარსებობ კანონისათვის, სრულიად არა ვარ მისი ობიექტი“<sup>1</sup>.

დებულება, რომ ადამიანი შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ კონკრეტული, გარეგანი, საზოგადოებრივად საშიში მოქმედებისათვის, წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს. იგი თავის გამოხატულებას პოულობს როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისე სასამართლო პრაქტიკაში 1958 წ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-7 მუხლის (სს კოდექსის მე-8 მუხლი)<sup>2</sup> შესაბამისად „დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა)“ (ბაზი ჩვენია — გ. ც.). ამრიგად, შეუძლებელია დანაშაულის ცნება ქმედობის გარეშე წარმოვიდგინოთ.

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. I, стр. 14.

<sup>2</sup> თუ სპეციალურად დათქმული არ არის. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებზე მითითებისას იგულისხმება საქართველოს სსრ 1960 წ. სისხლის სამართლის კოდექსისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

სისხლის სამართლის ნორმების ადრესატს ადამიანის ნებელობა წარმოადგენს. მათი მიზანია ადამიანის ქცევის რეგულირება კანონმდებლის ნების შესაბამისად. „...მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა მხოლოდ ნებისყოფის არსებობას შეიძლება დაეკისროს. მხოლოდ ნებისყოფა ათავისუფლებს ადამიანს საკუთარი მოთხოვნილებების ტყვეობიდან და საშუალებას აძლევს, ყური დაუგდოს და მიჰყვეს იმ მოთხოვნებს, რომელსაც მას, როგორც ადამიანს, ცხოვრება უყენებს. ინდივიდი მხოლოდ იმდენადაა ადამიანი, რამდენადაც იგი მხედველობაში იღებს და აკმაყოფილებს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნებს. იცავს და პრაქტიკულად ახორციელებს ზნობრივ და იურიდიულ ნორმებს, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭიროებისათვის ქმნის, უვლის და ინახავს სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს“<sup>2</sup>. აქედან ნათელია, თვით სამართლის ნორმის შინაარსის ათვისება, მისი სახელმძღვანელო მოტივად აღქმა და ამის შესაბამისად მართლზომიერი ქცევა წარმოუდგენელია ადამიანის ნებისა და შეგნების გარეშე. ასევე შეუძლებელია პირს დაეკისროთ სამართლებრივი ნორმის შეუსრულებლობის შედეგები, თუ იგი ნების გარეშე მოქმედებდა.

სამართალს საერთოდ და სისხლის სამართალს კერძოდ, საქმე აქვს მხოლოდ ნებისმიერ მოქმედებასთან. დანაშაულებრივი ქმედობა ადამიანის ქცევის ერთ-ერთი სახეა, ფორმაა. ამიტომ დანაშაულის როგორც საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ან უმოქმედობის განხილვისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ფსიქოლოგიურ მოძღვრებას საერთოდ ადამიანის ქცევის ბუნების შესახებ.

ფსიქოლოგიაში მოქმედება განისაზღვრება როგორც ქცევის ისეთი სახე, რომლის საშუალებით ადამიანი გეგმიანად ახორციელებს თავის მიზანს. უქვემდებარებს ყველა იმპულსს შეგხებულ კონტროლს და ცვლის გარშემო სინამდვილეს თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად<sup>3</sup>.

ყოველი ნებისმიერი მოქმედება სამი ძირითადი ეტაპისაგან შედგება. პირველ ეტაპზე ხორციელდება მოქმედების გაცხოზიერება. ნებისმიერ მოქმედებას წინ უსწრებს შესაძლებელი მოქმედების გათვალისწინება და მისი შეფასება, აწონ-დაწონა, მსჯელობა მისი მიზანშეწონილობის შესახებ/მიზნის დასახევა. სათანადო გეგმის შემუშავება ყოველთვის ერთბაშად როლი ხდება. ამისათვის საჭიროა

<sup>2</sup> შ. ხ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი. ნებისმიერი ქცევის მოტივიც პრობლემა, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი. 1958. გვ. 280—281.

<sup>3</sup> С. Л. Р у б и н ш т е й н, Основы общей психологии. Госучпедгиз, М., 1946, стр. 520.

მოფიქრება, სათანადო გადაწყვეტილებების მიღება. ამასთანავე, გადაწყვეტის აქტს წინ უნდა წარუდგინოს პერიოდი, რომელშიც წინასწარი გათვალისწინება, წინასწარი უიღებზა წარმოება ქვეყნის იმ სახეობისა, რომელიც სუბიექტის მე-ს საერთო ინტერესებს შეეფერება. ეს ძეგნის პროცესი გადაწყვეტის აქტით თავდება. ე. ი. ქვეყნის ისეთი სახეობის მონახვით, რომელიც სუბიექტს თავისი მე-ს შესაფერის აქტად მიაჩნია და რომლისთვისაც მას პაპუხისმგებლობის აღება შეეძლება.

წებისმიერი მოქმედების მეორე ეტაპი ხასიათდება გადაწყვეტილების მიღებით. ამ ეტაპზე ადამიანი უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოქმედოს, როგორ მოიქცეს. ✓

მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებლად საჭიროა ახალი ფსიქიკური აქტი, რომლის საშუალებითაც ადამიანის აზროვნების შემოქმედებითი გეგმა პრაქტიკულ მნიშვნელობას ღებულობს. ეს ფსიქიკური აქტი წარმოადგენს დამკავშირებელ რგოლს ადამიანის ცნობიერებასა და მის პრაქტიკულ საქმიანობას შორის. ამის შემდეგ იწყება ჩვენი სურვილის რეალური განხორციელება.

✓ მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელებით მთავრდება წებისმიერი მოქმედება. ამ მესამე ეტაპზე ადამიანი „ზარბრივი მოქმედებიდან“ ფიზიკურ ქვეყაზე გადადის. ჩვენთვის ერთიანი ქმედობის დადგენასთან დაკავშირებით სწორედ ეს უკანასკნელი ეტაპი წარმოადგენს საინტერესო მომენტს. ადამიანის ყოველგვარ ქცევას საფუძვლად უდევს სხეულის მოძრაობა ან მისგან თავის შეკავება. მაგრამ სხეულის მოძრაობა არ შეიძლება გავაიგივოთ მოქმედებასთან; მოძრაობა, როგორც ასეთი, ორგანიზმის მოტორული ფუნქციების გამოვლინებაა; ხოლო მოქმედება ქცევის აქტი. რომელიც საგანზე მიმართული. მაგრამ ისინი არ არიან ერთმანეთისაგან გათიშული, მოძრაობა ჩართულია მოქმედებაში, მოძრაობა უმთავრესად ექვემდებარება მოქმედებას. ✓

სხეულის მოძრაობებით ხასიათდება რეფლექტორული და ინსტინქტური მოქმედებებიც. რეფლექტორული მოძრაობები ავტომატურად ხორციელდება; ისინი არც მოითხოვენ მიზნის შეგნებას, ანეულის მოძრაობათა შეგნებულ რეგულირებას. წებისმიერი მოქმედება კი ყოველთვის შეგნებული აქტია, რომელშიც მოქმედების მსვლელობა მეტ-ნაკლებად რეგულირდება მიზნის შესაბამისად.

5 დ. უხანაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თსუ გამომცემლობა. თბილისი, 1940, გვ. 164.



ინსტინქტურ მოძრაობებში არ გვაქვს შედეგების გათვალისწინებ-  
 მიზნის შეგნება; პირიქით, ნებისმიერი მოქმედება შეგნებული  
 ნისკენაა მიმართული, იგი ყოველთვის შეგნებული კონტროლ-  
 ხორციელდება. „ერთი სიტყვით, კუნთური მოძრაობა თავის თ-  
 ვად არც ნებისმიერია და არც უნებლიე. იგი ცალკე აღებული, ს-  
 ერთოდ არაა ფსიქიკური ფაქტი. მაგრამ იმის მიხედვით, თუ რა  
 სიათის ქცევაში გვევლინება ერთი და იგივე მოძრაობა, ერთ  
 თხევებაში შეიძლება იგი ნებისმიერად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე  
 უნებლიეთ“<sup>6</sup>.

✓ ნემალინიშნული ნიშნები დამახასიათებელია ქცევის ისეთ  
 ხისათვის, როგორცაა დანაშაული. აქ, სადაც არა გვაქვს მოქმ-  
 ბა მისი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური გაგებით. შეუძლებელი  
 ვილაპარაკოთ დანაშაულზე. ეს არ ნიშნავს, რომ ერთი მხრივ, და-  
 შაულებრივი ქმედობისა და მეორე, მხრივ, საერთოდ ნებისმიერ  
 მოქმედების ცნებები იდენტურია. პირველი უფრო ვიწროა, რ-  
 გორც სუბიექტის (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იწყ-  
 14 წლის ასაკიდან), ისე შინაარსის (სისხლის სამართალს საქმე  
 საზოგადოებრივად საშიშ ქმედობასთან) მიხედვით. ✓

✓ ქმედობას უამრავი ნიშანი ახასიათებს, მაგრამ, როდესაც კანონ-  
 მდებელი რაიმე ქმედობას დანაშაულად აცხადებს, მას დანაშაულის  
 შემადგენლობაში შეაქვს მისი არა ყველა, არამედ მხოლოდ ზო-  
 ერთი ნიშანი. ✓

რა საფუძველზე ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობაში  
 ამ ნიშნების შეტანა? რატომ სწორედ ქმედობის მოცემული ნიშნე-  
 ბის ერთიანობაში ხედავს კანონმდებელი ერთიან დანაშაულს?

✓ როგორც აღვნიშნეთ, დანაშაული ადამიანის საქმიანობის გან-  
 საზღვრული სახეა. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულიც ხა-  
 სიათდება ადამიანის გარემოში გამოვლინებით: ამ გამოვლინების

<sup>6</sup> შ. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 225. მოქმედების ნების-  
 მიერობა გამორიცხულია მაშინაც, როდესაც პირი წარმოადგენს უნებისყოფი-  
 იარაღს გარეგანი ძალების ხელში (დაუძლეველი ძალა—vis absoluta). ამის გა-  
 ნი. ვფიქრობთ, არასწორია ი. სლუცკის ასეთი მსჯელობა: „ადამიანის ქცევა  
 დაუძლეველი ძალის ან ფიზიკური იძულების ზეგავლენა გამორიცხავს ქმედ-  
 ბის საზოგადოებრივ საშიშროებას (ხაზი ჩვენია—გ. ტ.) უნ-  
 თვით მისი ჩადენის მონენტუივე“ (И. И. С л у ц к и и, Обстоятельство, исклю-  
 чающее уголовную ответственность. Изв. Ленинградского университета,  
 1956, стр. 12). სინამდვილეში აქ არც შეიძლება წარმოიშვას საკითხი ქმედ-  
 ბის საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ, ვინაიდან თვით ნების მონენტია გ-  
 მორიცხული.

ყის, მარტივ მიმენტს სხეულის მოძრაობა წარმოადგენს. სხე-  
ს მოძრაობათა ჯამი კი იძლევა მოქმედებას. მოქმედების გარ-  
დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება უმოქმედობაშიც გა-  
იხსატოს.

ქმედობის ერთიანობის ნიშნების დადგენა შესაძლებლო-  
ს იძლევა გაირკვეს ერთიანი დანაშაულის ცნება, მაგრამ ეს  
საარნიშნავს, თითქოს ერთიანი ქმედობა და ერთიანი დანაშაული  
ონიშნებია?<sup>7</sup>

სხეულის მოძრაობათა ჯამი იძლევა მოქმედებას. როგორ ხორ-  
კიელდება სხეულის მოძრაობათა გაერთიანება ერთიან დანაშაულ-  
ლად?

რევოლუციამდელ რუს კრიმინალისტს პროფ. ნ. სერგეევსკის  
სხეულის მოძრაობათა ერთიან მოქმედებად გამაერთიანებელი ნიშ-  
ნის გამონახვა ფაქტის საკითხად მიაჩნდა, ხოლო ყოველ ცალკეულ  
შემთხვევაში იგი ასეთ გამაერთიანებელ ნიშნებად თვლიდა „ერ-  
თიან სუბიექტურ განწყობილებასა და ერთიანი გეგმის განსორციე-  
ლებას“<sup>8</sup>.

ნ. სერგეევსკის შეხედულება ამ საკითხზე, ჩვენი ფიქრით. რა-  
ციონალურ მარცვალს შეიცავს, რაც მოქმედების ობიექტური ხა-  
სიათის აღიარებაში გამოიხატება „...საერთო წესით, როდესაც ადა-  
ნრანს შეერაცხება მისი ქმედობანი როგორც დანაშაულნი. აღიარე-  
ბულია, — და ეს ასეც უნდა იყოს. — რომ ცალკეული მოქმე-  
დებები არ შეიძლება გაერთიანებულ იქნან ერთ  
მოქმედებად შერაცხვისათვის და პირიქით, რამ-  
დენიმე აქტი, რომლებიც შეადგენენ ერთ. ერთი-  
ან მოქმედებას, არ შეიძლება დაყოფილ იქნან  
ცალკეულ ნაწილებად, თუნდაც ეს გარეგნულად  
შესაძლებელი იყოს“<sup>9</sup>. მოტანილი დებულება სწორია იმ აზ-  
რით, რომ მასში ხაზგასმულია დანაშაულის დამოკიდებულება მოქ-  
მედებისაგან.

ამასთან, ნ. სერგეევსკი ერთიანი მოქმედების გამაერთიანებელ  
შნად თვლიდა მხოლოდ სუბიექტურ მომენტს, სუბიექტურ კრი-

ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის პირველი თავის მე-2 პარაგრაფი.

<sup>8</sup> Н. Д. Сергеевский; Русское уголовное право. Часть Общая, особые лекции, Петроград, 1915, стр. 331.

<sup>9</sup> Н. Д. Сергеевский, О значении причинной связи в уголовном праве, Ярославль. 1880. стр. 153.

ტერიუმს. იგი ყურადღების გარეშე ტოვებდა იმ გარემოებას, რა მტკმედება ხასიათდება ერთი მხრივ, ფიზიოლოგიური და მეორე მხრივ. ფსიქოლოგიური მომენტებით. სერგეევსკი მხოლოდ ამ უკანასკნელს ცნობდა ერთადერთ პირობად მოქმედების ერთიანობა-სათვის. მისთვის ძირითადი იყო ერთიანი გეგმის განხორციელება. მას თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ასეთი მაგალითი აქვს მოტანილი: „ა. თავს ესხმის ბ-ს და აყენებს ქრილობებს; რამდენიმე დღის შემდეგ მოდის, სარგებლობს ბ-ს სისუსტით და იტაცებს მის ქონებას. — ორი მოქმედება და. ამის შესაბამისად. ორი დანაშაული: სხეულის დაზიანება და გაძარცვა ან ქურდობა. შევადგინოთ ეს მოქმედებები სუბიექტური მომენტით, ე. ი. წარმოვიდგინოთ, რომ ისინი წარმოადგენენ ერთი გეგმის განხორციელებას, და ჩვენ ისევ გვექნება ერთი მოქმედება და ერთი დანაშაული. ყაჩაღობა“<sup>10</sup>.

მოტანილი მაგალითადანაც დასტურდება, რომ ნ. სერგეევსკი ერთიანი მოქმედების განსაზღვრისას უპირატეს მნიშვნელობას სუბიექტურ მომენტს ანიჭებდა. ექვს არ ბადებს ის გარემოება, რომ პირველ შემთხვევაში ე. ი. როდესაც ა. თავს ესხმის ბ-ს. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სარგებლობს ბ-ს სისუსტით და იტაცებს მის ქონებას, საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ მოქმედებასთან და აგრეთვე ორ დანაშაულთან (სხეულის დაზიანება და ქურდობა ან გაძარცვა). აქ უსათუოდ მართებულია ნ. სერგეევსკის მსჯელობა. სერგეევსკი შეცდომას უშვებს მეორე შემთხვევის განხილვისას. მეორე შემთხვევაში, ე. ი. როდესაც ა. თავს ესხმის ბ-ს იმ განზრახვით, რომ სხეულის დაზიანების მიყენებიდან რამდენიმე დღის შემდეგ წაართვას ამ უკანასკნელს მისი ქონება. რასაც ა. კიდევ ახორციელებს, პირველი შემთხვევის მსგავსად და სერგეევსკის, საწინააღმდეგოდ კვეჭნება არა ერთი მოქმედება, არამედ ორი მოქმედება (სხეულის დაზიანება და ქონების გატაცება). განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ პირველი შემთხვევის დროს არსებობს ორი მოქმედება და ორი დანაშაული, ხოლო მეორე შემთხვევაში ორი მოქმედება და ერთი დანაშაული.

ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს დაეასკვნათ. რომ შეუძლებელია მოქმედების ფსიქოფიზიოლოგიურ ცნებას დავუპირისპიროთ მოქმედების სისხლისსამართლებრივი ცნება; იქ. სადაც ფსიქოფიზიოლოგიური თვალსაზრისით ერთ მოქმედებასთან გვაქვს საქმე, არავის არ ძალუძს იგი ორ ან რამდენიმე მოქმედებად აქციოს.

<sup>10</sup> იქვე. გვ. 161.

ან პირიქით. კანონმდებელი სოციალური სინამდვილიდან გამოდის, მით ხელმძღვანელობს.

სხეულის მოძრაობათა ერთიან მოქმედებად გამაერთიანებელ კრიტერიუმები უნდა ვეძებოთ არა მარტო სუბიექტურ სფეროში, არამედ ობიექტურ მხარეშიც. სხეულის მოძრაობებს ერთიან მოქმედებად სუბიექტურ მომენტთან ერთად აერთიანებს ის ობიექტური თვისებები, ხასიათი, რაც ამა თუ იმ სხეულის მოძრაობისათვის არის დამახასიათებელი. „ამ კრიტერიუმს წარმოადგენს მოცემული მოქმედების, მოცემული ერთიანობის უნარი განაპირობოს მოცემული კონკრეტული შედეგის — გარემოში განსაზღვრული ცვლილების— დადგომა ნივთებში. მ. ველურებში, ადამიანებში სწორედ ამ ობიექტური ნიშნის მიხედვით წარმოებს სხეულის მოძრაობათა შერწყმა, წარმოებს ერთიანი მოქმედების „ჩამოყალიბება“<sup>11</sup>. ასე მაგალითად, რევოლვერიდან „გასროლის“, როგორც მოქმედების, კომპონენტებია: ჩანახის შეყენება, დამიზნება, ჩანახის გამოწევა. სხეულის ამ მოძრაობათა შერჩევისა და გაერთიანების კრიტერიუმია მათი უნარი შექმნან თავიანთ ერთობლიობაში მოქმედება („გასროლა“), რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოცემული ობიექტური შედეგი (სიკვდილი ან სხეულის დაზიანება).

ამრიგად სხეულის მოძრაობათა კომპლექსი ერთიან მოქმედებას გვაძლევს მაშინ, როდესაც მათ თავისთავად ძალუძთ, უნარი, შესწევთ, თავიანთ ერთობლიობაში გამოიწვიონ განსაზღვრული შედეგი (ობიექტური ნიშანი) და ამასთან, როდესაც მთელ ამ ერთობლიობასთან ახლავს წარმოდგენა იმის შესახებ, რომ სწორედ ასეთ სხეულის მოძრაობათა კომპლექსს შეუძლია განახორციელოს დასახული მიზანი (სუბიექტური ნიშანი).

როგორ გადაწყდება საკითხი უმოქმედობის ერთიანობის შესახებ?

<sup>11</sup>Я. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву (понятие и ответственность), кандидатская диссертация. М., 1956, стр. 18.

„ჩვენი სურვილები და მისწრაფებები.—წერდა პროფ. დ. უზნაძე—თავის მიზანს მხოლოდ ორგანიზმის სათანადოდ შერჩეულ მოძრაობათა სახით აღწევენ“ (დ. უზნაძე, შრომები, ტ. II, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1960, გვ. 205).

უმოქმედობის დროსაც ძალაში რჩება დებულება, რომ დანაშაული ადამიანის ქცევის სახესხვაობას, მისი ნების გამოვლინებას წარმოადგენს. „სინამდვილეში განსაზღვრული მოქმედებისაგან თავის შეკავება, მოძრაობისაკენ სტიმულის ჩახშობა ისეთივე ხარისხით შეიძლება წარმოადგენდეს ნებელობითი იმპულსის გამოვლინებას, როგორც დადებითი მოქმედება. ძალიან ხშირად მოქმედებისაგან თავის შეკავება მოითხოვს ნებელობითი ენერჯიის გაცილებით უფრო დიდ დაძაბვასაც კი. ვიდრე რ დებითი მოქმედების ჩაღწევა“<sup>12</sup>.

უდავოდ მართებულია ა. იაკოვლევის დებულება იმის შესახებ, რომ ერთიან უმოქმედობას კანონმდებელი აყალიბებს იმ მოქმედების ნიშნებიდან, რომელთაგანაც თავის არიდება შეადგენს მოცემული უმოქმედობის არსს<sup>13</sup>. უმოქმედობის ერთიანობის კრიტერიუმები გამომდინარეობს არა უშუალოდ უმოქმედობიდან, არამედ იმ შესაბამისი მოქმედებიდან, რომლის შესრულებასაც კანონი ავალებს მოცემულ პირს და რომლის შესრულებასაც იგი თავს არიდებს. ისჯება არა საერთოდ უმოქმედობა, არამედ მხოლოდ ის უმოქმედობა, რომელიც გამოიხატება ისეთი მოქმედებისაგან თავის არიდებაში, რომლის განხორციელებაც მოცემული პირისათვის სავალდებულო იყო. ამრიგად, მოცემული უმოქმედობის ერთიანობა განისაზღვრება შესაბამისი მოქმედების ერთიანობის ნიშნების მიხედვით. მაგალითისათვის ავიღოთ სს კოდექსის 124-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ალიმენტების გადახდისაგან ბოროტად თავის არიდებას. რა ნიშნების საფუძველზე ხორციელდება მოცემულ შემთხვევაში ალიმენტების გადახდისაგან თავის არიდების, როგორც ერთიანი უმოქმედობის. ნიშნების დადგენა? ნათელია, კანონმდებელი ამ უმოქმედობის ერთიანობის დადგენისას გამოდიოდა იმ მოქმედებიდან, რომლის შესრულებასაც პირი თავს არიდებს, ე. ი. იმ მოქმედებიდან, რომლის განხორციელებაც პირის სამართლებრივ მოვალეობას წარმოადგენს.

შეიძლება მეორე მაგალითის მოტანაც: დედას კანონით ევალება ბავშვის კვება. ეს მისი სპეციალური მოვალეობაა. დედამ არ შესრულა ეს მოვალეობა, არ განახორციელა სათანადო მოქმედება. ამის გამო ბავშვი გარდაიცვალა. საქმე გვაქვს უმოქმედობის გზით

<sup>12</sup> Т. В. Церетелли, Причинная связь в уголовном праве (второе издание), Госюриздат, М., 1963, стр. 18.

<sup>13</sup> А. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву (понятие и ответственность), кандидатская диссертация, М., 1956, стр. 27.

დენილ მკვლელობასთან. აქაც უმოქმედობა მოქმედების ნეგატიურ არედ გვევლინება, პირველის საზღვრებს მეორე განსაზღვრავს; უდას რომ ბავშვისათვის კვება არ მოეკლო, ე. ი. სათანადოდ ემოქცუნა, მაშინ მაგნე შედეგიც არ დადგებოდა. ამის გამო პასუხს აგებს უმოქმედობის ერთიანობის იმ ფარგლებში, რომლის საზომსაც შესაბამისი მოქმედება წარმოადგენს.

ამრიგად, უმოქმედობის ერთიანობის მასშტაბს წარმოადგენს არა თ ვ ი თ უ მ ო ქ მ ე დ ო ბ ა, არამედ შესაბამისი, შესაბამისი უღებლად სავალდებულო მოქმედება.

როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის ნიშნების დანაშაულის შემადგენლობაში აღწერისას კანონმდებელი ხელმძღვანელობს მათი შემადგენელი სხეულის მოძრაობებისათვის დამახასიათებელი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებებით. კახობმდებელი როდი აღწერს ერთ, ცალკე აღებული სხეულის მოძრაობას. იგი შეარჩევს და დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის დამახასიათებელ ელემენტად ცნობს სხეულის მოძრაობათა მხოლოდ ისეთ კომპლექსს, რომელსაც მთლიანობაში ახასიათებს ხელობის მომენტი. ასე მაგალითად, კანონმდებელი სპეკულაციის შემადგენლობის (სს კოდექსის 165-ე მუხლი) ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას მიუთითებს არა ცალკე აღებულ სხეულის მოძრაობაზე, რაც, ვთქვათ, ფულის ან ნივთის გადაცემაში გამოიხატება; არამედ იგი ლაპარაკობს საერთოდ შესყიდვასა და გაიდვასზე, ე. ი. ერთიან მოქმედებაზე, რომელიც სხეულის მრავალ მოძრაობას მოიცავს. შესყიდვა და გაყიდვა აერთიანებს სწორედ სხეულის ისეთ მოძრაობებს, რომელთაც ძალუძთ გამოიწვიონ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული შედეგი. ასევე, კანონმდებელი სს კოდექსის 104-ე მუხლში ლაპარაკობს ვთქვათ, არა რევოლვერის დამიზნებას; ან ჩახმანის გამოწვევაზე; არამედ საერთოდ მკვლელობაზე, რომელიც სხეულის, კუნთების მოძრაობის მრავალ აქტს აერთიანებს.

მოქმედება სისხლისსამართლებრივი აზრით არა მარტო თვისობრივად, ე. ი. შეგნების მომენტით განსხვავდება სხეულის მოძრაობისაგან. არამედ რაოდენობრივადაც; მოქმედება ჩვეულებრივ შეიცავს რამდენიმე მოძრაობას. უფრო ზუსტად, სისხლისსამართლებრივი მოქმედება მოიცავს არა ცალკეულ „ოპერაციას“ ან „რგოლს“, არამედ ასეთი რგოლების ორგანულად შეკავშირებულ ერთობლიობას — სამშობლოს ღალატს, გატაცებას, მოწამლვას და ა. შ.

ამრიგად, კანონმდებელი ერთიანი მოქმედება (ან უმოქმედობის) ნიშნებით, აღწერილ სასწრაფო მძღვანელობს შესაბამის სხეულის მოძრაობა და დამახასიათებელი უსიქოფიზიოლოგიკური თავისებურებებით.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ თავისთავად ერთიანი ან რაღაც დენიძე მოქმედება ყოველთვის არ გულისხმობს ერთიან დანაშაულს. ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება მომდევნო პარაგრაფში.

## § 2. ერთიანი დანაშაული როგორც დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაცია

✓ დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა მეტად მარტივი იქნებოდა, რომ სისხლის სამართლის კანონს ერთი მოქმედება (ან უმოქმედობა) ერთ. ერთიან დანაშაულად განეხილა, და, პირიქი რამდენიმე მოქმედება დანაშაულთა სიმრავლედ, საკითხის ასე დაყენება და გადაწყვეტა აშკარად მიუღებელი იქნებოდა სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით; ამას შეიძლება ან სურდულ დასკვნამდე მივეყვანეთ. მართლაც, თუ ყოველი სისხლი სამართლის კანონი მხოლოდ ერთ ქმედობაზე იქნებოდა გამიზნული მაშინ სისხლის სამართლის კოდექსი მრავალ ათეულ ტომად ეციოდა. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში ხელი უნდა აგვეღო, ვთქვათ ორმოქმედებიან დანაშაულზე (მაგალითად, სპეკულაცია — სს კოდექსის 165 მუხლი). ამრიგად, კანონმდებელს უნდა ეზრუნა თითოეული საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის ცალკე დანაშაული შემადგენლობის ჩამოყალიბებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულთა ერთობლიობის პრობლემა შეუძლებელია გადაწყდეს იქ, თუ გარკვეული არ იქნება ერთიანი დანაშაულისა და დანაშაული ერთობლიობის მიმართება და ამ მიმართებისადმი ერთიანი ქმედებისა და რამდენიმე ქმედობის დამოკიდებულება.

ერთიანი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველს წარმოადგენს. ერთიანი დანაშაულის ცნების მართებული განსაზღვრამ უნდა მიგვიყვანოს დანაშაულთა ერთობლიობის სწორ ვაგებამდე. ✓

დანაშაული ადამიანის ქცევის აქტია ან ასეთ ქცევათა ერთობლიობა. დანაშაულად არ ჩაითვლება მთელი ყოფაქცევა. დანაშაულად ცხადდება მხოლოდ განსაზღვრული ქცევა. რომელიც სხვა ქცევებისაგან იზოლირებულად განიხილება. ასეთი იზოლირებული

ნხი უფა წარმოადგენს როგორც დანაშაულის ნიშნების საკახოხმდებ-  
ელი კონსტრუქციის. ისე სასჯელის დანიშვნის საფუძველს. მარქსის  
უბულება იმის შესახებ, რომ „...დანაშაული შემოთარგლულია. ამი-  
ვომ სასჯელიც შემოთარგლული უნდა იქნას...“<sup>14</sup> სწორედ ამ თვალ-  
საზრისით უნდა იქნას გაგებული.

დანაშაული გარეგანი ყოფაქცევის აქტია. საბჭოთა სისხლის სა-  
ბრთალი იმ პრინციპული დებულებიდან გამოდის, რომ დანაშაუ-  
ლად შეიძლება ცნობილი იქნას არა აზრი თავისთავად, არა ნებელო-  
ბის შინაგანი აქტი, არამედ კონკრეტული ქმედობა. ყოველი დანა-  
შაული გულისხმობს ქმედობის ობიექტური და სუბიექტური თვისე-  
ბის ერთიანობას.

ქმედობა თავისთავად არ წყვეტს საკითხს მის დანაშაულად  
ცნობის შესახებ. „დანაშაულად, — აღნიშნულია საფუძველები მე-7  
უბნში (სს კოდექსის მე-8 მუხლი), — ჩაითვლება სისხლის სამარ-  
ის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად  
საშიშრო (ხაზი ჩვენია — გ. ტ.) ქმედობა (მოქმედება ან უმოქმე-  
დობა)“. მაშასადამე, საზოგადოებრივი საშიშროება ყოველი დანა-  
შაულის კონსტიტუციური ნიშანს წარმოადგენს. „ამის გამო ყოველი  
დანაშაული ხასიათდება არა მარტო განსაზღვრული ფაქტიური ნიშ-  
ნებით (ე. ი. ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნებით—გ. ტ.),  
არამედ მისი საზოგადოებრივი თვისებით — საშიშროებით საბჭოთა  
წყობილების სოციალისტური მართლწესრიგისათვის“<sup>15</sup>.

დანაშაულის შემადგენლობაში მოცემულია მხოლოდ ისეთი  
ფაქტიური ნიშნები, რომლებიც თავიანთ მთლიანობაში განსაზღვრა-  
ვენ ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას. თუ ქმედობა საზოგა-  
დოებრივად საშიში არ არის, მისთვის სასჯელის დაწესება ყოველ-  
კვარ საფუძველს იქნება მოკლებული. მხოლოდ საზოგადოებრივი  
საშიშროების ფაქტიური ნიშნებით ხორციელდება განსაზღვ-  
რული ფაქტიური ნიშნების ერთიანობის დანაშაულად გამოცხა-  
დება.

ამრიგად, მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა იძლევა  
საფუძველს მისი დანაშაულად ცნობისათვის. ეს საკითხის მხოლოდ  
ერთი მხარეა. საკითხის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ თავისთავად  
საზოგადოებრივად საშიში ქმედობა დანაშაული როდია. მი-  
სი დანაშაულად აღიარება სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატი-

14 К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. I, стр. 124.

15 Советское уголовное право, Общая часть, Учебное пособие, Гос-  
юриздат, М., 1959, стр. 123.



კაა მარქსი წერდა „კანონით დადგენილი ზოგიერთი დარღვევა კვალიფიკაცია დანაშაულად ან მხოლოდ გადაცდომად რამდენად ქე (საზი ჩვენია — გ. ტ.) დამოკიდებულია ოფიციალურ საზოგადოებაზე. ტერმინოლოგიის ეს განსხვავება სრულებითაც როდი სულ ერთი. ვინაიდან იგი წყვეტს ათასობით ადამიანთა ბედს და ვაი საზღვრავს საზოგადოების ზნეობრივ ფიზიონომიას“<sup>16</sup>.

განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის მართლ საწინააღმდეგო, დასჯად ქმედობად აღიარებით კანონმდებელი მან დანაშაულად აცხადებს. ამ საკანონმდებლო აქტით ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება იურიდიულად აისახება სისხლის სამართლის კანონის დებულებაში. ამის შედეგად ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებას, რომელიც დანაშაულის ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს, ემატება კიდევ ერთი არსებითი ნიშანი კერძოდ ის, რომ ქმედობა უნდა არღვევდეს სისხლის სამართლის ნორმას. ამრიგად, გარდა საზოგადოებრივი საშიშროებისა, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი საფუძველია, აუცილებელია აგრეთვე მართლწინააღმდეგობის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვა საფუძვლის არსებობაც.

რასაკვირველია, აქ ჩამოთვლილი ნიშნები თავიანთ სრულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ მაშინაც, როდესაც კანონმდებელი ორ ან მეტ მოქმედებას ერთი დანაშაულის შემადგენლობაში ითვალისწინებს. მაგრამ აქეთ შემთხვევაში კანონმდებელი ანგარიშს უწევს ამ მოქმედებების სხვა სოციალურ თვისებებსაც, ეს თვისებები იმაში გამოისატება, რომ ორი ან მეტი მოქმედება, რომლებიც ერთიან დანაშაულს ქმნიან, მართალია, ხელყოფენ სხვადასხვა ობიექტს. მაგრამ, როგორც მართებულად აღნიშნავს ე. კუდრიავცევი, მათ შორის კავშირი იმდენად ტიპურია, ისე ხშირად ხდება მათი ერთად ჩადენა, რომ ეს ერთობ ზრდის მათ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს ყველაზე უფრო ნათლად ჩანს შენადგენი დანაშაულის მაგალითზე<sup>17</sup>.

ამ ნიშნებს, მომენტებს მნიშვნელობა აქვთ მაშინ, როდესაც კანონმდებლის წინაშე დგება საკითხი: ცნოს თუ არა განსაზღვრულ ქცევათა კომპლექსი ერთიან დანაშაულად.

დანაშაულის ერთობლიობის საკითხს სხვა ასპექტიც აქვს. კერძოდ, ზოგჯერ თვით გამოძიებელმა და სასამართლომ უნდა გადაწ-

<sup>16</sup> К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 13, стр. 516:

<sup>17</sup> იხ. В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, Госюриздат, М., 1963, стр. 283—284.

ევიტოს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ორი ან მეტი მოქმედება ერთ (ერთიან) დანაშაულს თუ რამდენიმე დანაშაულს?

აღნიშნული შემთხვევებისათვის ვ. კუდრიავეცევი მისაღებად მიაჩნია ჩვენი შეხედულება იმის შესახებ, რომ დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით განისაზღვრება. მაგრამ ამასთან იგი თვლის, რომ ასეთი შეხედულება აღარ გამოდგება, როდესაც საქმე ეხება რთულ დანაშაულობებს (შენადგენი, განგრძობადი<sup>18</sup> და ა. შ.). ამ მიზნით იგი ცდილობს გამოიწიოს ისეთი ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის გადაწყდეს საკითხი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დანაშაულის ერთიანობის შესახებ.

ასეთ კრიტერიუმებად კუდრიავეცევი მიაჩნია ის სოციალური თვისებები, რომელთა საფუძველზე კანონმდებელი ქცევას ან ქცევათა ერთობლიობას ერთიან დანაშაულად თვლის (გავრცელებულობა, ტიპიურობა და სხვ.). ამის მაგალითად მას მოჰყავს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლის მე-2 ნაწილით ვათვალისწინებული დანაშაული (ბოროტი ხულიგნობა). წინათ მოქმედ კანონმდებლობაში მითითებული არ იყო ამ დანაშაულის ისეთ შაკვალისფიცირებელ გარემოებაზე, როგორცაა ხულიგნობა, რომელსაც თან ერთვის ძალადობა მოქალაქეთა მიმართ ან წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი ან სასოგალოებრიობის წარმომადგენლისადმი, რომელიც საზოგადოებრივ წესრიგს იცავს. პრაქტიკაში კი ასეთი შემთხვევები ხშირია და თან ისინი მოკვებებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდებიან. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შედგენისას კანონმდებელმა გაითვალისწინა ეს გარემოება და შეაფერისი მუხლის რედაქცია ისეთნაირად ჩამოაყალიბა, რომ წინააღმდეგობის გაწევასთან დაკავშირებული ხულიგნობა განიხილება არა როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, არამედ როგორც ერთიანი დანაშაული<sup>19</sup>.

ჩვენი ფიქრით, კუდრიავეცევის მოტანილ შეხედულებაში ორი სხვადასხვა საკითხია გაიგივებული, კერძოდ საკითხი იმის შესახებ, თუ რა შემთხვევებში ცნობს კანონმდებელი გარკვეულ ქცევათა კომპლექსს ერთიან დანაშაულად და საკითხი იმის შესახებ, თუ როდის უნდა ჩაითვალოს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი კომპლექსი ერთიან დანაშაულად. როგორც აღინიშნა, პირველი შე-

<sup>18</sup> განგრძობადი და შენადგენი დანაშაულის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის პირველი თავის მე-3 პარაგრაფი.

<sup>19</sup> იხ. В. Н. Кудрявцев, დასახ. ნაშრომი, გვ. 280.

მთხვევის მიმართ კუდრიაცვეს სწორი შეხედულება. აქვეს წაძოყენებული. ძაგრამ მეორე შემთხვევის მიმართ თისი შეხედულება მიუღებელია.

როდესაც სასამართლო აკვალიფიცირებს წინააღმდეგობასთან დაკავშირებულ ხულიგნობას, იგი არ შედის იმის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნას შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე, ცალკე აღებული ელემენტი, რომელიც ახასიათებს ან სუბიექტს, ან ობიექტს, ან ობიექტურ მხარეს, ან სუბიექტურ მხარეს? ცალკე განხილული ერთიანი სუბიექტი არ შეიძლება ვცნოთ ერთიანი დანაშაულის უნივერსალურ ნიშნად, ვინაიდან ერთი დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობის სახით შეიძლება რამდენიმე სუბიექტმა მიიღოს მონაწილეობა.

ასევე შეუძლებელია ყველა შემთხვევაში ხელყოფის ობიექტის ერთიანობა ერთიანი დანაშაულის აუცილებელ ნიშნად ჩავთვალოთ. ზოგიერთი ერთიანი დანაშაული ერთდროულად ორი ან მეტი ობიექტის წინააღმდეგაა მიმართული მაგალითად, სს კოდექსის 192-ე მუხლში გათვალისწინებული დანაშაული — უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში — გულისხმობს ხელყოფას წინასწარი გამოძიების ორგანოების ნორმალურ საქმიანობასა და პიროვნების ინტერესებზე ხელყოფის ობიექტების სიმრავლით ხასიათდება აგრეთვე ყველა შენადგენი დანაშაული (მაგალითად, ყაჩაღობა, ზოგიერთ შემთხვევაში ხულიგნობა და ა. შ.). უფრო მეტიც, ერთ ობიექტზე ხელყოფას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულთა როგორც იდეალური, ისე რეალური ერთობლიობის, აგრეთვე განმეორების შემთხვევებშიც<sup>20</sup>.

ახლა განვიხილოთ საკითხი ერთიანი დანაშაულის ცნების განსაზღვრისათვის სუბიექტური მხარის დამახასიათებელი ელემენტების მნიშვნელობის შესახებ.

უცილობელია ერთიანი ბრალის მნიშვნელობა ერთიანი დანაშაულისათვის. მართლაც, ბევრ შემთხვევაში ერთი დანაშაულის ჩა-

<sup>20</sup> იხ. А. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1960, стр. 18.

დენა ბრალის ერთიანობით ხასიათდება. ერთიანი დანაშაულისათვის ერთიანი ბრალის მსიშენელობაზე მიუთითებდა ცნობილი რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტი, პროფ. ნ. ტაგანცევი<sup>21</sup>. ერთიანი ქმედობისათვის ერთიან ბრალს აუცილებელ ნიშნად თვლის დასავლეთ გერმანიის კრიმინალისტი კ. ვალდოვსკი<sup>22</sup>. ანალოგიურ მოსაზრებას საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში ავითარებს ა. იაკოვლევი.

შეუძლებელია დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც ერთიან ბრალს ყველა შემთხვევაში ერთიანი დანაშაულის სუბიექტურ კრიტერიუმად თვლიან. საბჭოთა-სისხლის სამართლისათვის ცნობილია დანაშაულთა ისეთი შემადგენლობები, რომლებიც ბრალის ორი ფორმით ხასიათდებიან.

ასეთ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება სს კოდექსის 86-ე მუხლის 1 ნაწილი. აქ გათვალისწინებულია მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევის შედეგად მძიმე შედეგების (აღაშინათა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია და სხვ.) დადგომა/ამის შესაბამისად ამ დანაშაულის ჩადენისას ცალ-ცალკე დადგენილ უნდა იქნას ბრალი უსაფრთხოების წესების დარღვევისადმი და ბრალი დამდგარი შედეგების მიმართ. მძიმე შედეგების დადგომისას ეს დანაშაული, როგორც წესი, გულისხმობს ორმაგ ბრალს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას.

სს კოდექსის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია. აქაც საქმე გვაქვს რთულ შემადგენლობასთან, კერძოდ შემადგენლობასთან ბრალის ორი ფორმით: სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება და გაუფრთხილებელი მკვლელობა (ე. წ. მძიმე შედეგებით კვალიფიცირებული დანაშაული). ამრიგად, მოცემულ შემთხვევაშიც საველდებულოა დადგენილ იქნას ერთიანი დანაშაულის ფარგლებში ბრალეული დამოკიდებულება როგორც სხეულის მძიმე დაზიანებისადმი, ისე მკვლელობისადმი<sup>23</sup>.

<sup>21</sup> იხ. Н. С. Таганцев. Лекции по русскому уголовному праву. Часть Общая. С.-Петербург, 1892, стр. 1671—1672.

<sup>22</sup> იხ. Н. Waldowski, Ist eine klare Abgrenzung zwischen Tatenheit und Tatumehrheit möglich und gerecht? Inauguraldissertation zur Erlangung des akademischen Grades eines Doktors der Rechte. Köln, 1956, S. 32, 42—47.

<sup>23</sup> საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშაულის გან-

ზოგჯერ ბრალის ორი ფორმით ხასიათდება ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სს კოდექსის 186-ე მუხლი) და ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიციური სახე (სს კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი). საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით. ამ დანაშაულთა სუბიექტური მხარე გამოისატება განზრახვაში თვით მოქმედების მიმართ, ხოლო დამდგარი შედეგების მიმართ ბრალი შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი<sup>24</sup>. მაშასადამე, თანამდებობის პირის დამოკიდებულება მოქმედებისადმი შეიძლება იყოს განზრახი. ხოლო დამდგარი შედეგებისადმი — გაუფრთხილებელი.

✓ ყველა შემოჩამოთვლილ შემთხვევაში თუმცა ბრალი გაორებულია, მაგრამ საქმე მაინც ერთ, დანაშაულთან გვაქვს; პირი პასუხს აგებს ერთი დანაშაულის ჩადენისათვის.

✓ ამრიგად, ბრალი არ შეიძლება ეცნოთ ერთიანი დანაშაულის უნივერსალურ კრიტერიუმად.

ასევე არ შეიძლება ეცნოთ ერთიანი დანაშაულის ამომწურავნიშნად ობიექტური მხარის — მოქმედების (უმოქმედობის) ან შედეგის ერთიანობა.

თავდაპირველად განვიხილოთ საკითხი ერთიანი დანაშაულისათვის ერთიანი შედეგის მნიშვნელობის შესახებ. ზოგიერთი დანაშაული ერთი შედეგის განხორციელებას გულისხმობს (მაგალითად, სხეულის დაზიანება). პირიქით, ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობა რამდენიმე შედეგს მოიცავს. ასე მაგალითად, სს კოდექსის 104-ე მუხლის მე-4 პუნქტი ითვალისწინებს ორი ან რამდენიმე პირის განზრახ მკვლელობას. თუ ერთი ქმედობით ჩადენილი ზქნება ორი ან მეტი პირის განზრახი მკვლელობა, ეს მოცემულ ქმედობას არ გადააქცევს დანაშაულთა სიმრავლედ. რამდენიმე შედეგით ხასიათდება აგრეთვე შენადგენი დანაშაულიც.

მრავალ შემთხვევაში ერთი მოქმედება და ერთი დანაშაულის ობიექტური მხარე ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს განსაკუთრებით ით-

ზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში. როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლოთ კიდევ გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა.

<sup>24</sup> В. Ф. Кириченко, Виды должностных преступлений по советскому уголовному праву, Издательство АН СССР, М., 1959, стр. 28.

ქმის; თანამდებობრივ დანაშაულთა შესახებ. „თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენისას საკითხი განსაზღვრული საქმიანობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაცილებით უფრო ხშირად წარმოიშობა, ვიდრე სხვა დანაშაულთა ჩადენისას. ეს იმითაა დაპირობებული, რომ ერთი ცალკე მოქმედება თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის ყველა შემთხვევაში როდი იწვევს კანონით განსაზღვრულ შედეგებს (რასაც აგრეთვე შეიძლება ჰქონდეს ადგილი); განხორციელებული შედეგები მეტწილად წარმოადგენს თანამდებობის პირის სხვადასხვა მოქმედებების ან მთელი საქმიანობის შედეგს, ამასთან თითოეული ცალკე მოქმედება ამ შემთხვევებში შეიძლება არც ქმნიდეს თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტურ მხარეს/ (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)“<sup>25</sup>.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მოსაზრება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ: ერთიანი მოქმედება (ან უმოქმედობა) ყველა შემთხვევაში შეუძლებელია მივიჩნიოთ ერთიანი დანაშაულის უნივერსალურ და ამომწურავ კრიტერიუმად.

ჩვენი შეხედულებით, ჩადენილი დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით განისაზღვრება. დანაშაულის ჩადენა დანაშაულის აბსტრაქტული და ამასთან ტიპიური შემადგენლობის რეალიზაციაზე მიუთითებს.

ერთიანი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც განხორციელდება ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. ერთიანი დანაშაულისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, განხორციელდა იგი ერთი, თუ რამდენიმე მოქმედებით, მთავარია, რომ იგი წარმოადგენდეს ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაციას. აქედან გამომდინარეობს, რომ დანაშაულთა სიმრავლე გულისხმობს სხვადასხვა ან ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობის რამდენჯერმე განხორციელებას. ამის გამო, დანაშაულთა სიმრავლისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენი მოქმედებით განხორციელდა იგი, ან ბრალის რამდენი ფორმით ხასიათდება ცალკეული დანაშაულობანი. არსებითია, რომ განხორციელდეს სხვადასხვა დამოუკიდებელ დანაშაულთა შემადგენლობები/ თუ დანა-

<sup>25</sup> В. Ф. Кирриченко, Ответственность за должностные преступления по советскому уголовному праву (Общие вопросы). Издательство Академии наук СССР, М., 1956, стр. 76.

შაულის შემადგენლობა გულისხმობს ორი ან მეტი მოქმედების ხორციელებას, მაშინ ან ორი ან მეტი მოქმედების შესრულება იძლევა არა ორ, არამედ ერთ დანაშაულს. საკითხს ერთიანიობის ან სიმრავლის შესახებ წყვეტს შესაბამის დანაშაულთა შემადგენლობების კონსტრუქცია. ერთიანი დანაშაულის განსაზღვრისა და დადგენისათვის ერთიანი მოქმედება კი არ უნდა იქნას გამოყენებული, არამედ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა.

ერთიანი დანაშაულისათვის შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის მნიშვნელობა ნათლად ვლინდება ე. წ. ალტერნატიული შემადგენლობების მაგალითზეც. ალტერნატიული შემადგენლობები ხასიათდება იმით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად საჭიროა კანონში მითითებული არა ყველა ელემენტის არსებობა, არამედ ან ერთის არსებობა ან მეორის<sup>26</sup>. მაგალითად, სს კოდექსის 66-ე მუხლში ჯაშუშობა ასეა განსაზღვრული: „სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ისევე როგორც ამგვარი ცნობების გატაცება ან შეგროვება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე სხვა ცნობების გადაცემა ან შეგროვება უცხოეთის დაზვერვის დავალებით სსრ კავშირის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის, უკეთუ ჯაშუშობა ჩაიდინა უცხოელმა ან მოქალაქეობის ქარმქონე პირმა“. ამრიგად, პირის მოქმედებაში ჯაშუშობის შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისია სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა, გატაცება ან შეგროვება. თუ პირი განახორციელებს ყველა ჩამოთვლილ მოქმედებას, საქმე მაინც ერთ და არა რამდენიმე დანაშაულთან გვექნება, ვინაიდან აქაც ყველა ეს მოქმედება ერთი დანაშაულის შემადგენლობაშია გათვალისწინებული.

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ერთიანობას ყოველთვის შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა განსაზღვრავს. საერთო წესისამებრ, ეს დებულება ძალაში რჩება თანამონაწილეობის დროსაც. „როდესაც უარყოფით თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის უდავო დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან, ჩვენ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამსრულებელი მაინც წარმოადგენს სწორედ ისეთ პირს, რომელიც საერთო წესისამებრ

<sup>26</sup> А. Н. Трайнин, *Общее учение о составе преступления*, Госюриздат, М., 1957, стр. 109.

ანორციელებს ყველა თანამონაწილის ჩანაფიქრს. ამიტომ, თუ მან შეძლო დანაშაულის ჩადენა და ადგილი არ ჰქონია ექსცესს, დანარჩენ მონაწილეთა პასუხისმგებლობა, ბუნებრივი უნდა განისაზღვროს განსაკუთრებული ნაწილის იმ მუხლის მიხედვით. რომელიც ითვალისწინებს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულს<sup>27</sup> /

ზემოაღნიშნული წესიდან შეიძლება ადგილი ჰქონდეს გამოხაკლისს, როდესაც ერთი თანამონაწილე პასუხს აგებს ძირითადი შემადგენლობისათვის, ხოლო მეორე — უფრო მეტად საშიში ან უფრო ნაკლებად საშიში შემადგენლობისათვის და, მაშასადამე, სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით<sup>28</sup> ამრიგად. თანამონაწილენი ყოველთვის პასუხს აგებენ ერთისა და იმავე დანაშაულისათვის. მაგრამ ზოგჯერ მათი პასუხისმგებლობა შეიძლება სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის მიხედვით განისაზღვროს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ა-ს ანგარების მოტივით სურს მოკლას გ. ამ დანაშაულის ჩასადენად ა-ს დახმარებას უწევს ბ. ამასთან ბ-მ არ იცის, რომ ა-ს გ-ს მკვლელობა ანგარების მოტივის გამო აქვს გადაწყვეტილი. ა. კლავს გ-ს. მოცემულ შემთხვევაში როგორც ა.. ისე ბ. პასუხს აგებენ ერთისა და იმავე დანაშაულის — განზრახი მკვლელობის ჩადენისათვის, მაგრამ არა ერთისა და იმავე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისათვის, კერძოდ, ა. პასუხს აგებს სს კოდექსის 104 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, ხოლო ბ. სს კოდექსის 19—105 მუხლის მიხედვით.

ძალაში რჩება თუ არა ასეთ შემთხვევებში წამოყენებული დებულება, რომ დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით უნდა განისაზღვროს? ასეთ შემთხვევაში იძის დასადგენად, ერთი დანაშაულია ჩადენილი თუ რამდენიმე. უნდა გამოვიდეთ შესაბამისი დანაშაულის ძირითადი შემადგენლობიდან. თუ თანამონაწილეთა მიერ განხორციელებული დანაშაული თავისთავად ერთი ძირითადი შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს, ეს საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ჩადენილია ერთი დანაშაული. მართლაც, განზრახი მკვლელობა სს კოდექსში სამი შემადგენლობის სახითაა წარმოდგენილი: 1) ძირითადი ანუ მარტივი შემადგენლობა (მუხლი 105); 2) კვალიფიციური შემადგენლობა (მუხლი 104) და

27 П. И. Гришадеев, К. Р. Кригер, Соучастие по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1959, стр. 173.

28 А. Н. Трайнин, Уголовное право, М., 1959, стр. 288.



3) პრივილეგიური შემადგენლობა (მუსლი 106). ზემომოტანილ მაგალითში. იმის დასადგენად, ა-მ და ბ-მ ერთი დანაშაული ჩაიდინეს თუ ორი, გამოყენებული უნდა იქნას განზრახვი მკვლევლობის ძირითადი შემადგენლობა (მუსლი 105). ამრიგად, აქაც ძალაში რჩება დებულება, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა იმდენად მიიჩნევა დანაშაულად, რამდენადაც მას განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა შეესაბამება. აქაც შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის გარეშე არა გვაქვს დანაშაული.

მაშასადამე, მსოლოდ ერთი დამოუკიდებელი დანაშაულის განხორციელება იძლევა ერთიან დანაშაულს.

როდესაც ვამტკიცებთ, რომ დანაშაულის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობით უნდა განისაზღვროს, ამით სრულებითაც არ ვესურს დანაშაულისა და დანაშაულის შემადგენლობის გაიგივება. დანაშაული სოციალური მოვლენაა, რეალური ფაქტია, ხოლო შემადგენლობა — მისი იურიდიული გამოხატულება. ქმედობა იმდენად ჩაითვლება დანაშაულად, რამდენადაც იგი დანაშაულის შემადგენლობას შეესაბამება. აქ, ვფიქრობთ, შეიძლება ვილაპარაკოთ ფაქტისა და სამართლის მიმართებაზე. მხოლოდ ფაქტი, მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა აძლევს, უხეშად რომ ვთქვათ, პრაქტიკულ ღირებულებას დანაშაულის შემადგენლობას. დანაშაული — აღნიშნავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი კრიმინალისტი, დოქტორი ჰ. გერაცი — არ წარმოადგენს შემადგენლობის ნაწილს, იგი ამავე დროს არ არის შემადგენლობის იდენტური. ამიტომ შემადგენლობის ნიშნებს არ შეუძლიათ შექმნან დანაშაული. არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ადამიანი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედობის სუბიექტია, შემადგენლობის ნაწილს წარმოადგენს. განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სახალხო საკუთრება, რომელიც სოციალისტური სექტორის საფუძველია, შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს? არც სახალხო საკუთრება და არც სამეურნეო დაგეგმვა, არც დემოკრატიული სახელმწიფო არ არიან ნიშნები, რომლებიც ქმნიან შემადგენლობას, არამედ ისინი ჩვენნი წყობილების შემადგენელი ნაწილებია. იგივე შეიძლება ითქვას თვით მოქმედების შესახებაც. მკვლევლობა შემადგენლობის ნიშნების ჯამი როდია. არამედ იგი რეალური საზოგადოებრივი პროცესია თავისი საზოგადოებრივი მიზეზებით და თავისი საზოგადოებრივი შედეგებით, მაშინ როდესაც შემადგენლობა კანონის შემადგენელი ნა-

წილია და ამით ჩვენი ზედნაშენის იურიდიული წარმონაქმნი. ამიტომ არ შეიძლება შემადგენლობის გაიგივება დანაშაულთან<sup>29</sup>.

დანაშაულებრივი ქმედობის მატერიალური ნიშნის — საზოგადოებრივი საშიშროების — და ფორმალური ნიშნის — მართლწინააღმდეგობის დამოკიდებულება შეიძლება დავახასიათოთ როგორც ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულება. საზოგადოებრივი საშიშროება წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედობის შინაარსს. ხოლო მართლწინააღმდეგობა იმ ფორმას, რომელშიც ესა თუ ის ქმედობა დანაშაულად ცხადდება<sup>30</sup>. საკმარისია მოხდეს ამ ორი მომენტის დაშორება, გათიშვა და მაშინ შეუძლებელი იქნება ვილაპარაკოთ პირის ქმედობაში დანაშაულის ნიშნების არსებობაზე.

თუ ქმედობა საზოგადოებრივად საშიში არ არის, მაშინ იგი, თუნდაც გარეგნულად შეიცავდეს განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, არ შეიძლება დანაშაულად მივიჩნიოთ. სწორედ ამ უაღრესად მნიშვნელოვან პრინციპზეა დაფუძნებული 1958 წ. სატუძელების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილში (სს კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი) გათვალისწინებული დებულება „დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას“. გარდა ამისა, თუ ქმედობა განსაზღვრული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, მაგრამ სისხლის სამართლის კანონის მიერ არ განიხილება როგორც მართლსაწინააღმდეგო და დასჯადი ქმედობა, მაშინ იგი დაუშვებელია დანაშაულად ვცნოთ. ეს კი გამორიცხავს პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

### § 3 ერთიანი დანაშაულის სპეციალური ფორმები: განხრძობადი, დენადი და შენადგენი დანაშაული

ერთიანი დანაშაულის ცნების განსაზღვრის შემდეგ სირთულეს აღარ წარმოადგენს ერთიანი დანაშაულის სპეციალური ფორმების: განხრძობადი, დენადი და შენადგენი დანაშაულის ნიშნების დადგე-

<sup>29</sup> იხ. H. Gerats, Die Strafrechtliche verantwortlichkeit in der Deutschen Demokratischen Republik. Berlin, 1952, S. 35.

<sup>30</sup> Л. Шуберт, Об общественной опасности преступного деяния (перевод со словацкого языка), Госюриздат, М., 1960, стр. 69.

ნა. ამ ნიშნების დადგენას არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. მხედველობაში გვაქვს ერთიანი დანაშაულის ამ ფორმების გამოიჭნა დანაშაულთა ერთობლიობისაგან/ დანაშაულთა ერთობლიობისას თითოეული დანაშაული ცალკე კვალიფიცირდება და ამის შემდეგ ერთი საბოლოო სასჯელი განისაზღვრება. საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოს 1958 წ. საფუძვლებში 35-ე მუხლის (სს კოდექსის მე-40 მუხლი) შესაბამისად შეუძლია გამოიყენოს სასჯელთა შთანქმის ან შეჯამების პრინციპი. ერთიანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში კი შეუძლებელია დაისვას საკითხი სასჯელთა შთანქმის ან შეჯამების შესახებ, რადგან ერთი დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი ძირითადი სასჯელი ინიშნება.

ზემოაღნიშნულის გამო საჭიროა დანაშაულთა ერთობლიობისაგან გამოიჭნულ იქნას ერთიანი დანაშაულის ისეთი სპეციალური ფორმები, როგორცაა განგრძობადი, დენადი და შენადგენი დანაშაული.

სისხლის სამართლის კანონი არ შეიცავს განგრძობადი დანაშაულის ცნების განსაზღვრას. მის განსაზღვრას იძლევა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილება „დენად და განგრძობით დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობისა და ამნისტიის შეფარდების პირობების შესახებ“. ამ დადგენილებით განგრძობადად ცნობილია ისეთი ერთიანი დანაშაული, რომელიც შეიცავს ერთი საერთო მიზნისაკენ მიმართული ერთისა და იმავე სახის დანაშაულებრივ მოქმედებებს<sup>31</sup>.

მოტანილ დადგენილებაში ერთი უზუსტობაა დაშვებული, კერძოდ, თითქოს განგრძობადი დანაშაულისათვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს ერთიანი მიზანი და არა ერთიანი ბრალი. განგრძობადი დანაშაულის განხორციელების პროცესში მიზანი შეიძლება იცვლებოდეს, და გარდა ამისა, მიზანი, როგორც შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი, ახასიათებს არა ყველა განზრახ დანაშაულს და საერთოდ არ ახასიათებს გაუფრთხილებელ დანაშაულს<sup>32</sup>. სწორედ ამის გამო საჭიროა მიეთითოს, რომ (განგრძობადი დანაშაული გუ-

<sup>31</sup> იხ. «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963». М., 1964, стр. 189.

<sup>32</sup> А. М. Яковлев, *Уголовное право*, т. 24—25. *Генеральный доклад о развитии уголовного права* (и др.). М., 1950, стр. 45.

ლისსმობს ბრალის ერთიანობასა და განუწყვეტელობას. თუ პირველად განხორციელებული ქმედობა განზრახია, ასევე განზრახი უნდა იყოს დანარჩენი ქმედობებიც. პირიქით, თუ პირველი ქმედობა გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება, მაშინ აქეთივე უნდა იყოს სხვა ქმედობებიც. სმრიგად, ერთიანი ბრალი განგრძობადი დანაშაულის არსებით ნიშანს წარმოადგენს.)

ერთიან ბრალს განგრძობადი დანაშაულის დროს უწყვეტი ხასიათი აქვს. თითოეული მისი შემადგენელი ქმედობა ამ ერთიანი (განუწყვეტელი) ბრალით არის გარემოცული. ერთიანი ბრალის ცნება უნდა განვასხვავოთ საერთო ბრალის ცნებისაგან. ასეთი განსხვავების გარეშე შეუძლებელი იქნება ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ განგრძობადი დანაშაული და განმეორებით ჩადენილი დანაშაული. თუ ერთიანი ბრალის ნაცვლად განგრძობადი დანაშაულისათვის საკმარისად მივიჩნევდით ერთი და იგივე ბრალის განმეორებას თითოეულ შემთხვევაში. (საერთო ბრალი), მაშინ არსებითად განგრძობადი დანაშაულის ცნება განმეორების ცნებით შთაინთქმებოდა.

(განგრძობადი დანაშაული, თუკი იგი განზრახი ბრალით ხასიათდება, წარმოადგენს ერთიანი გეგმის განხორციელებას. გაუფრთხილებელი ბრალის დროს კი განგრძობადი დანაშაული ხასიათდება ერთი და იმავე სუბიექტური დამოკიდებულებით მოქმედების ან შედეგისადმი, უფრო ზუსტად, ერთი და იმავე ან ერთგვაროვანი გამაფრთხილებელი ღონისძიების დარღვევისადმი.)

(განგრძობად დანაშაულთან საქმე გვიქნება მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ ჩადენილი რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედობა, რომელთაგანაც თითოეული, ცალკე აღებული, დამოუკიდებელ დანაშაულად მიიჩნევა, ერთმანეთთან ისე მჭიდრო სუბიექტურ და ობიექტურ კავშირში იმყოფებიან, რომ ერთიან დანაშაულს ქმნიან, განგრძობადი დანაშაულის ცალკეული შემადგენელი მოქმედებები წარმოადგენენ ამ მთლიანი დანაშაულის შემადგენელ ნაწილებს. ამრიგად, განგრძობადი დანაშაული არ გულისხმობს მხოლოდ დროში ერთმანეთის თანმიმდევარ მოქმედებებს.) თუ დანაშაულთა რეალური ერთობლიობის დროს კავშირი ცალკეულ დანაშაულებრივ ქმედობებს შორის მთლიანად გამჭრალაია, ანდა ეს კავშირი უაღრესად სუსტია, პირიქით, განგრძობადი დანაშაულის დროს ცალკეულ ქმედობათა დამოუკიდებლობა აღარ არსებობს მათი მჭიდრო სუბიექტური და ობიექტური კავშირის გამო.)

„დენადი და განგრძობადი დანაშაულის არსებობა, — წერს პროფ. ნ. ღურმანოვი, — იურიდიული ფიქცია როდია, იგი იურიდი-

ული გამოსატულებაა მოქმედების (ან უმოქმედობის) თავისებურებებისა, მოქმედების, რომელიც ერთიანია თავისი ბუნებით, მაგრამ შედგება ცალკეული შემადგენელი ნაწილებისაგან — რგოლებისაგან. (ამიტომ განგრძობადი დანაშაული, საერთო წესისამებრ, განიხილება როგორც ერთი დანაშაული“<sup>33</sup>. (განგრძობადი დანაშაულის შემადგენელ ქმედობათა ერთი მიმართულება, ერთნაირი შინაარსი, ხასიათი შესაძლებლობას იძლევა განხილულ იქნან ისინი როგორც ერთი დანაშაული.

(განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ცალკე აღებული ქმედობისა და ამით განხორციელებული დანაშაულის შემადგენლობის დამოუკიდებლობა, თავისთავადობა გამქრალია, იგი არ საჭიროებს დამოუკიდებელ კვალიფიკაციას. თანმიმდევრულად განხორციელებული. ერთიანი და განუწყვეტელი ბრალით დაკავშირებული ქმედობები მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავენ.) მაშასადამე, განგრძობად დანაშაულში საქმე გვაქვს ცალკეულ ქმედობებთან, მაგრამ იურიდიული შეფასებისათვის ამ დამოუკიდებლობას მნიშვნელობა არა აქვს. ყველა ქმედობა ერთი საერთო მიზეზობრიობის რგოლებს წარმოადგენს, ისე რომ მათ შორის გარკვეული ინტერვალები არსებობს. მხოლოდ ამ ინტერვალების უგულვებელყოფით არის შესაძლებელი ჩადენილ ქმედობათა საზოგადოებრივი საშიშროების მართებული შეფასება.

განგრძობადი დანაშაულის დროს მისი შემადგენელი ცალკეული მოქმედებები თავიანთ მთლიანობაში ერთისა და იმავე დანაშაულის შემადგენლობებს ახორციელებენ. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მოქმედება დამამძიმებელ გარემოებას შეიცავს, მიზანშეწონილი იქნებოდა გავვეხილა დანარჩენი ქმედობები, როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი. აქედან გამომდინარეობს, რომ (განგრძობადი დანაშაული გულისხმობს ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობის და არა ერთისა და იმავე ძირითადი შემადგენლობის განხორციელებას.)

(განგრძობადი დანაშაულის დროს ცალკეულ ქმედობებს შორის უნდა არსებობდეს კავშირი დროში, ე. ი. მომდევნო ქმედობა წინათ განხორციელებული ქმედობის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს.)

<sup>33</sup> Н. Д. Дурманов. Понятие преступления. Издательство АН СССР. М., 1948, стр. 64.

ამასთან, ინტერვალები მათ შორის დიდი არ უნდა იყოს, თორემ შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს ერთიანი ბრალის არსებობის დამტკიცება.)

როგორ უნდა იქნეს გამიჯნული განგრძობადი დანაშაული, როგორც ერთიანი დანაშაული, დანაშაულთა ერთობლიობისა და განმეორებისაგან?

ნ. კუზნეცოვას შეხედულებით, განგრძობადი დანაშაული ერთიან ობიექტს ერთიან ზიანს უყენებს. ხოლო დანაშაულთა ერთობლიობის დროს სხვადასხვა ობიექტები სხვადასხვა ზიანს განიცდიან. რაც შეეხება განმეორებას, აქ ერთ ობიექტს ზიანს აყენებენ ორჯერ და მეტჯერ<sup>34</sup>.

ჩვენი ფიქრით, ეს შეხედულება არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ერთი და იგივე პირი თავდაპირველად ითვისებს სხვის პირად ნივთს (სს კოდექსის 155-ე მუხლი), ხოლო შემდეგ იპარავს სხვის პირად ქონებას (სს კოდექსის 150-ე მუხლის I ნაწილი). ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან აელყოფის ობიექტები ერთნაირია (პირადი საკუთრება), კუზნეცოვას მიხედვით, შეუძლებელია არსებობდეს დანაშაულთა ერთობლიობა. სინამდვილეში აქ დანაშაულთა ერთობლიობის არსებობა ეჭვს არ ბადებს.

განმეორება არ გულისხმობს მხოლოდ ერთი და იგივე დანაშაულის განმეორებით ჩადენას<sup>35</sup>. ამის გამო კუზნეცოვას საწინააღმდეგოდ, თუ ორი დანაშაული სხვადასხვა ობიექტის ხელყოფაში გამოიხატა, ეს არ გამორიცხავს განმეორებას.

ამრიგად, ხელყოფის ობიექტის ნიშნის მიხედვით შეუძლებელია განგრძობადი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობისა და განმეორებისაგან განვასხვავოთ.

ვყიპრობთ, (განგრძობადი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობისაგან განსხვავებული უნდა იქნას შემდეგი ნიშნების მიხედვით: 1) განგრძობადი დანაშაული გულისხმობს ერთისა და იმავე დანაშაულის ობიექტური მხარის — ქმედობის — მრავალგზის განხორციელებას. ამის გამო განგრძობადი დანაშაულის არსებით ნიშნად ერთიანი ობიექტის მიჩნევა ზედმეტი და ზოგჯერ არასწორიცაა, ვინაიდან იგი უკვე იგულისხმება, როდესაც ვუთითებთ ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობაზე. დანაშაულთა ერთობლიობა კი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებული ახორციელებს სხვადა-

<sup>34</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий для уголовной ответственности. Госюриздат, М., 1958, стр. 130.

<sup>35</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-2 თავის პირველი პარაგრაფი.

სხვა დანაშაულის შემადგენლობას<sup>36</sup>; 2) განგრძობადი დანაშაულის დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ერთიანი და განუწყვეტელი ბრალი. დანაშაულთა ერთობლიობისას (და აგრეთვე განმეორებისას) კი იმდენი ცალკე ბრალი იგულისხმება, რამდენი დანაშაულიც იქნა ჩადენილი.)

არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს იაკოვლევის შეხედულება, თითქოს იქ, სადაც განმეორება თვით დანაშაულის შემადგენლობაშია შეტანილი, პრინციპულად გამორიცხულია განგრძობადი დანაშაული<sup>37</sup>. განგრძობადი დანაშაული ერთიანი დანაშაულია და მისი ერთიანობა შეუძლებელია განმეორების მოქმენტი იქნას დარღვეული. ქმედობის განგრძობად დანაშაულად მიჩნევა, ჩვეულებრივ, ფაქტის საკითხია და არა საკანონმდებლო კონსტრუქციის ნაყოფი. თუ ცალკეულ ქმედობებს შორის არსებობს მკიდრო ობიექტური და სუბიექტური კავშირი, მაშინ, იმისდა მიუხედავად, შეტანილია თუ არა განმეორების ნიშანი მოცემული დანაშაულის შემადგენლობაში, ისინი მაინც განგრძობად დანაშაულად უნდა იქნან ცნობილი. პირიქით, დანაშაულის განმეორებისას თითოეული ქმედობა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტურის მხრივ სრული დამოუკიდებლობითა და თავისთავადობით ხასიათდება.

განგრძობადი დანაშაულის დროს ცალკეულ ქმედობათა შორის სავალდებულო არაა სრული იდენტურობა არსებობდეს. მთავარია, რომ ეს ქმედობები ერთისა და იმავე დანაშაულის შემადგენლობით იყოს გათვალისწინებული.) მაგალითად, კერძო პირი ერთიანი და განუწყვეტელი განზრახვის განსახორციელებლად სისტემატურად აზიანებს სახელმწიფო საწარმოს მანქანებს, ხოლო შემდეგ ასევე სისტემატურად ანადგურებს იმავე საწარმოს ელექტროგაყვანილობას. აქ ორივე დანაშაული სახელმწიფო ქონების წინააღმდეგაა მიმართული და, თუმცა განსხვავდებიან ობიექტური მხრივ (ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს სახელმწიფო ქონების განადგურებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — სახელმწიფო ქონების დაზიანებასთან), ისინი მაინც ერთ განგრძობად დანაშაულს ქმნიან. ეს ამით აიხსნება, რომ სახელმწიფო ქონების (აგრეთვე საზოგადო ქონების) როგორც

<sup>36</sup> ამ საკითხის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-2 თავი.

<sup>37</sup> А. М. Яковлев. Совокупность преступлений по советскому уголовному праву. Госюриздат, М., 1960, стр. 33. იხ. აგრეთვე ვ. მაისურაძე, სოციალისტური საყურობის დაცვა დატაცებისაგან საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით, გამოცე. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1964, გვ. 141.

განადგურება, ისე დაზიანება ერთისა და იმავე დანაშაულის შესახებ გენლობითაა ვათვალისწინებელი (სს კოდექსის მე-100 მუხლი).

განგრძობადი დანაშაულის ცნება შესაძლებელია გამოვიყენოთ ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც შესაბამისი დანაშაულის ერთსა და იმავე შემადგენლობაში რამდენიმე მოქმედებაა ვათვალისწინებელი (ალტერნატიული დანაშაულის). ასე მაგალითად, სს კოდექსის 169-ე მუხლით ვათვალისწინებელი დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოატყოს ისეთ მოქმედებებში, როგორცაა მაგალითად, წონასა და ზომაში მყიდველების მოტყუება, გაყიდვის დროს არასწორი სასწორის, ვირისა და სხვა არასწორი საზომი ხელსაწყოების გამოყენება, ფართო მოხმარების საქონელზე დაწესებული ცალკეობითი ფასების დარღვევა, დაბალი ხარისხის საქონლის მაღალი რისხის საქონლის ფასად გაყიდვა, თუ პირი ერთდანი განზრახვი ბრძანებით, ეთქვათ ერთ დღეს წონაში მოატყუებს მყიდველებს, სოლო მეორე დღეს საცალო ფასის დარღვევით გაყიდის საქონელს. მან პასუხი უნდა აგოს არა ორი დანაშაულისათვის, არამედ ერთი განგრძობადი დანაშაულისათვის.

პირაქით, განგრძობად დანაშაულზე შეუძლებელია ვილაპარაკოთ იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ისეთ მოქმედებებს ჩაიდენს, რომლებიც ს ს ვ ა დ ა ს ს ვ ა დ ა ნ ა შ ა უ ლ ი ს ო ბ ი ე კ ტ უ რ მ ხ ა რ ე ს წ ა რ მ რ ა დ გ ე ნ ს. თუნდაც ეს დანაშაულობანი ერთი და იმავე მუხლით იყოს ვათვალისწინებელი.

სხეულებრივი ხელშეუხებლობის, ღირსების, პატივის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმე ქმედობა განგრძობით დანაშაულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ მათა ხელყოფის ობიექტს ერთი და იგივე პირი წარმოადგენს<sup>38</sup>. ასეთი იგივეობა საჭირო არ არის, მაგალითად, ქონებრივ სიკეთეზე ხელყოფისას. აქ შესაძლებელია ნივთები სხვადასხვა პირებს ეკუთვნოდეს.

სოციერთი დანაშაულის განგრძობადი ხასიათი თვით მისივე ბუნებითაა დაპირობებული (მაგალითად, მკვლელობა, ომის პროვოკაცია, და, ხელსუფლების ბოროტად გამოყენება, ზოგჯერ ხელიგნობაც<sup>39</sup> და სხვ.).

<sup>38</sup> მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წ. 4 მარტის დადგენილებაში განგრძობით დანაშაულად დასახელებულია სისტემატური ცემა, რომელსაც წამების ხასიათი აქვს (იხ. „Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963“. М., 1964, გვ. 189).

<sup>39</sup> Е. А. Фролов, Я. К. Щедрина, Ответственность гангста, Свердловск, 1957, стр. 20—21.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილება „დენად და გახვრტობად დანაშაულოთ მიმართ სანდახშელობისა და ამნისტიის შეუარდების პარობების შესაფხუბ“ განვრტობად დანაშაულად ასახელებდა ვაფლანგვას. რაც სიღვნილი იქიებოდა მინდობილი ფულების ხანვრტობივი დროის განმავლობაში წვრილ-წვრილად მითვისების გზით<sup>10</sup>. სისტემატიური კოფლანგვის აეთი შეფასება გამომდინარეობდა კანონის სწორი შეფარდებისა ინსტრესებიდან. მართლაც, ვაფლანგვის შემადგენლობის კვალიფიციტორ ვარემოებად საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 122-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ცნობილი იყო ვაფლანგვის შედეგად „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულები-სათვის მსიშვნელოვანი ჭონებრივი ზიანის მიყენება“. რამდენიმე წერილ-სანი ვაფლანგვა ამასთან განიხილებოდა როგორც ერთი მსხვილი ვაფლანგვა.

სასამართლო პრაქტიკა 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგაც ზოგჯერ იყენებდა ვანვრტობადი დანაშაულის ცნებას იმ შემთსვევებში, როდესაც თანამდებობის პირი სისტემატიურად ან არაერთგზის თავის საკუთრებად აქცევდა მითვისის მიხდობილ ფულს ან სხვა მატერიალურ დოვლათს<sup>11</sup>.

ანეთი პრაქტიკის წინააღმდეგ პრინციპულად ვაილაშქრა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა, რომელმაც 1948 წ. 19 ნოემბერს ბ-ს საქმეზე გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნა, რომ რამდენადც გ-მ მითვისება ჩაიღინა სისტემატიურად 1947 წლის დეკემბრიდან 1948 წლის მარტამდე, ამიტომ მისი მოქმედება საქირთა განიხილულ იქნას როგორც ვანვოტრება. ამის გამო პლენუმმა მოითსოვა, რათა გ-ს მოქმედება კვალიფიციტრებული ყოფილიყო 1947 წლის 4 ივნისის შესაბამისი ბრძანებულების არა 1, არამედ მე-2 მუსლით<sup>12</sup>.

<sup>10</sup> „კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მოქმედი დადგენილებებისა“, სახელგამი, თბილისი, 1955, გვ. 72.

<sup>11</sup> ანეთ სასამართლო პრაქტიკას სამართლიანად თვლიდა პროფ. ნ. დურმანოვი (Н. Дурманов, Наказуемость за хищения государственного и общественного имущества, кражу личного имущества и разбой по Указам от 4 июня 1947 г., „Социалистическая законность“, 1947, № 10, стр. 4). პროფ. ნ. დურმანოვის ამ მოსაზრებამ იმ პერიოდში მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

<sup>12</sup> А. А. Понотковский, В. Д. Мельшагин, Курс советского уголовного права. Особенная часть, т. I, Госюриздат, М., стр. 453. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის სასამართლო კოლეგიის განიხინება ბ-ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, № 5, стр. 13), იმავე კოლეგიის განიხინება ს-ს და სხვების საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, № 5, стр. 13)

საბჭოთა კრიმინალისტების ერთ ნაწილს სწორად მიჩნედა ასეთი სასამართლო პრაქტიკა. ანუ მაგალითად, პროფ. ა. პონტკოვსკი თვლიდა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მოძველებული ცნებების გამოყენება ეწინააღმდეგება 1947 წლის 4 ივნისის ბრძახებულე-ბას, რომელმაც ცნო, რომ ყოველგვარი განმეორებითი გატაცება ნა-სიათდება მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით და ასეთ-მა დანაშაულმა უნდა გამოიწვიოს უფრო მკაცრი საჯარი<sup>13</sup>. ასევე, ა. იაკოვლევის შეხედულებით, ვინაიდან აღნიშნული ბრძახებულე-ბა დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდა მხოლოდ განმე-ორებას, ამიტომ აქ განგრძობადი დანაშაულის ცნების გამოყენება დაუშვებელი იყო<sup>14</sup>.

უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ვერ-წმუნებს, რომ გატაცების ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება გან-გრძობადი დანაშაულის ცნება. ეს უპირველეს ყოვლისა ითქმის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სუბიექტი ერთეულ დამზადებული ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სისტემატურად ითვისებს ფულის განსაზღვრულ თანხას. თავდაპირველად სასამართლო პრაქტიკა ასეთ მოქმედებას განიხილავდა როგორც სახელმწიფო ქონების გან-შეორებით გატაცებას (მე-2 მუხლი 1947 წ. 4 ივნისის ბრძახებულე-ბისა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“), მაგრამ შემდეგ სსრ კავ-შირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა შეიცვალა. /

სახალხო სასამართლოს განაჩენით ს. მიჩნეულ იქნა ბრალეულად იანათავის, რომ 1949 წლის ეუპინსკის რაიონის სოფლის მეურნეო-ბის განყოფილებაში სამუშაოდ მოწყობისას განუწყვეტელი სტაჟის შენარჩუნებისა და წელთა ნამსახურობისათვის ხელფასზე წანამატიის მიღების მიზნით სიყალბე ჩაიდინა; შრომის წიგნაკში მან შრომითი სტაჟი ორი წლით გაზარდა. ამის შემდეგ ს-მ 1951 წ. აპრილიდან 1952 წლის ნოემბრამდე წელთა ნამსახურობისათვის უკანონოდ მი-იღო 2000 მანეთი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საბჭოთა სასამართ-ლო კოლეგიის 1949 წ. 19 თებერვლის განჩინება ვ-ს საქმეზე („Судебная пра-ктика Верховного Суда СССР“. 1949, № 5, стр. 15—16) და სხვ.;

<sup>13</sup> А. А. Понятковский, В. Д. Меньшагин, Курс советско-го уголовного права, Особенная часть, т. I, Госюриздат, М., стр. 453.

<sup>14</sup> А. Яковлев, Дасახ. ნაშრომი, გვ. 34. იხ. აგრეთვე М. И. Якушова, Об уголовной ответственности за хищение государственного и общественного имущества, М., Госюриздат, 1948, стр. 24; М. И. Якушова

ნოვოაბიბრკის ოლქის კუპინსკის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ს-ს მოქმედება დააკვალიფიცირა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისის გამოცემული ბრძანებულების მე-2 მუხლით.

სარ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლია სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად ცნო ასეთი კვალიფიკაცია იმ მოსაზრებით, რომ ს-ს მიერ ხელფასზე წელთა ნამსახურობისათვის წანამატის მიღების საფუძველს წარმოადგენდა ყალბი მონაცემები შრომითი ტაყის შესახებ დოკუმენტებში, რომლებიც ს-ს სამუშაოზე მოწყობისას წარადგინა. ასეთ პირობებში წანამატია უკანონოდ მიღების ყოველი მომდევნო ფაქტი არ შეიძლება განიხილულ იქნას როგორც განმეორებითი გატაცება. ამის გამო კოლეგიამ ს-ს მოქმედება გადააკვალიფიცირა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული ბრძანებულების მე-2 მუხლიდან 1 მუხლზე<sup>45</sup>.

შოკავშირე რესპუბლიკების ახალმა სისხლის სამართლის კოდექსებმა კიდევ უფრო გააფართოეს განგრძობადი დანაშაულის ცნების მოცულობა როგორც ცნობილია. ახალ სისხლის სამართლის კოდექსებში დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება განიხილება გატაცების უფრო მძიმე სახედ, ვიდრე იმავე ქონების განმეორებით გატაცება. ამის გამო, თუ პირი ერთი და იგივე ხერხის გამოყენებით ერთისა და იმავე წყაროდან რამდენჯერმე იტაცებს ქონებას, რომელიც საბოლოოდ დიდ ოდენობამდე აღწევს, მაშინ ასეთი დანაშაული განიხილულ უნდა იქნას არა როგორც განმეორებითი გატაცება, არამედ როგორც დიდი ოდენობით ჩადენილი ერთი განგრძობადი დანაშაული<sup>46</sup>.

ს როგორც აღინიშნა, განგრძობადი დანაშაული განმეორებისაგან განირჩევა იმით, რომ განგრძობადი დანაშაული წარმოადგენს ერ-

в и ч. Советское уголовное законодательство в борьбе за охрану социалистической собственности, «Учение записки МЮИ», вып. IV, 1949, стр. 106.

<sup>45</sup> იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1953, № 6, стр. 10—11.

იხ. აგრეთვე მარის ასრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება ა-ს საქმეზე (Сборник постановлений Президиума и определенной судебной коллегии по уголовным делам Верховного суда РСФСР. 1957—1959. гг., М., 1960, стр. 121).

<sup>46</sup> იხ. А. А. Пионтковский, Учение о преступлении по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1961, стр. 638.

თსულ წარმოშობილი განზრახვის რეალიზაციას, ხოლო განმეორება ეულისხმობს იმდენ ბრალს, რამდენი მოქმედებაც იქნა განხორციელებული. ამ გარემოებას განგრძობადი ქურდობის მაგალითზე მართებულად ნათელყოფს ბ-ს ნიკიფოროვი. „ამგვარი მოქმედებები. — აღნიშნავს იგი. — შეადგენენ განგრძობად მოქმედებას. თუ ბრალდებულის ჩანაფიქრისა და საქმის გარემოებების მიხედვით წარმოადგენენ არსებითად ერთ ქმედობას რომელიც „ტექნიკური“ მოსახრებებით ორი ან მეტი ხერხით სრულდება“<sup>47</sup>.

ასეთ შემთხვევაში ჩადენილის განგრძობად დანაშაულად ცნობადი სირთულეს არ წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გატაცება ერთ მთლიან საგანზეა მიმართული. საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიტანოთ: ა-მ საკუთარი ავტომანქანის ასაწყობად გადაწყვიტა სახელმწიფო დაწესებულების გარაჟიდან ავტომანქანის ნაწილების მოპარვა. ყოველდღიურად იგი გარაჟიდან იპარავს ავტომანქანის ცალკეულ ნაწილებს. ამ განგრძობადი დანაშაულის არსებობა ექვეს არ ზადებს. მოცემულ შემთხვევაში ერთიანი და განუწყვეტელია ბრალი, ასევე ერთიანია ხელიყოფის საგანი. განგრძობადი დანაშაულის დასადგენად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე დანაშაულს ჩადენის ადგილსა და დროს (მაგალითად, როდესაც პირი ერთი და იგივე საწყობიდან ხანმოკლე დროის განმავლობაში იპარავს პროდუქტებს). ეს მომენტიც მიუთითებს ერთიანი და განუწყვეტელი ბრალის არსებობაზე.

განგრძობადი დანაშაულის ცნება შესაძლებლობას იძლევა ერთ მთლიანობაში შეფასდეს მის შემადგენელ ქმედობათა საზოგადოებრივი საშიშროება. ეს კი უზრუნველყოფს სათანადო სასჯელის დანიშვნას. მართლაც, თუ მოლარე სახელმწიფო დაწესებულების სალაროდან ცალკეულ წვრილმან გატაცებათა გზით საბოლოოდ ითვისებს არაწვრილმან ფულად თანხას, მაშინ თითოეული ამ წვრილმანი გატაცების იზოლირებული განხილვა გამოიწვევდა შეუსაბამო კანონის და ამით ლმობიერი სასჯელის დანიშვნას. კერძოდ, ზემოთ მოტანილ შემთხვევაში სს კოდექსის 94-ე მუხლის I ნაწილის ნაცვლად უმართებულად იქნებოდა შეფარდებული სს კოდექსის 95-ე მუხლი.

ამ გარემოებაზე საგანგებოდ მიუთითა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წ. 31 მარტის დადგენილე-

<sup>47</sup> Б. С. Никифоров, Уголовно-правовая охрана личной собственности в СССР, Издательство АН СССР, М., 1954, стр. 86.

ბაში „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

„როდესაც გატაცებულის საერთო ოდენობა, — ნათქვამია აღნიშნულ დადგენილებაში, — აღემატება წვრილმანი გატაცების ფარგლებს, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არა ერთსეულ წვრილმანი გატაცება ჩადენილი ერთ და იგივე წყაროდან ან სხვა ისეთ გარემოებებში, რომლებიც მოწმობენ ბრალდებულის ერთიან განზრახვას, განხილულ უნდა იქნას ერთიან განგრძობად დანაშაულად და დაკვალიფიცირდეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლებით როგორც მნიშვნელოვანი ან დიდი ოდენობით ქურდობა, მითვისება ან გატაცების სხვა ფორმა“<sup>16</sup>.

განგრძობადი დანაშაულის ცნების გამოყენება სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი ყველა შემთხვევაში უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნას გამოიწვევს. როგორც მოტანილი დადგენილებიდან ჩანს, ამ დანაშაულის ცნების გამოყენებამ შეიძლება უფრო დაამძიმოს ბრალდებულის მდგომარეობა.

განგრძობადი დანაშაულის ცნების ნიშნების დადგენისა და ამ ცნების ცალკეულ დანაშაულთა მიმართ გამოყენების შესაძლებლობის გარკვევის შემდეგ ასეთი საკითხი დგება: რა იურიდიული და პრაქტიკული შედეგები მოადევს დანაშაულის განგრძობად დანაშაულად აღიარებას?

✓ 1) იგი სიგრძისა და დროის თვალსაზრისით ჩადენილად ითვლება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც განხორციელდა უკანასკნელი აქტი/

საფუძვლების მე-4 მუხლის 1 ნაწილის (სს კოდექსის მე-5 მუხლის 1 ნაწილი) მიხედვით, „ყველა პირი, ვინც დანაშაული ჩაადინა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, პასუხს აგებს დანაშაულის ჩადენის ადგილას მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით“. ასეთად განგრძობადი დანაშაულის მიმართ უნდა ჩაითვალოს მისი შემადგენელი უკანასკნელი ქმედობის ჩადენის ადგილი. ასეთი სისხლის სამართლის საქმე იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის მოქმედების რაიონშიც დამთავრდა ან შეწყდა დანაშაული.

<sup>16</sup> „Бюллетень Верховного Суда СССР“ 1962, № 3, გვ. 32. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. დეკემბრის დადგენილება პ-ს საქმეზე (იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963, № 2, стр. 23).

საფუძვლების მე-6 მუსლის I ნაწილის (სს კოდექსის მე-7 მუს-ლის I ნაწილი) შესაბამისად „ქმედობის დანაშაულებრიობა და დ-ჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებს ამ ქმედო-ბის ჩადენის დროს“. განგრძობადი დანაშაულის ჩადენის დროდ უკანასკნელი ქმედობის ჩადენის დრო ითვლება. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ შეიცვალა განგრძობადი დანაშაულის განმორციელებისას მოქმედი შესაბამისი სისხლის სამართლის კანონი, მაშინ შედარდუ-ბული უნდა იქნას ის კანონი, რომელიც მოქმედებდა მისი შემადგე-ნელი უკანასკნელი აქტის ჩადენისას.

1) განგრძობად დანაშაულში თანამონაწილეობისას პირი სუნს აგებს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის. რომელშიც მან შიილო უშუალო მონაწილეობა. იმის გამო ასეთ შემთხვევაში შეიძლება თა-ხამონაწილის მოქმედება არ დაკვალიფიცირდეს იმავე დანაშაულის შემადგენლობით: რომელსაც ამსრულებლის მოქმედება შეიცავს.

2) განგრძობად დანაშაულში სისხლის სამართლის პასუხისგე-ბაში მიცემის ხანდაშაულობის ვადების დენა იწყება უკანასკნელი ქმედობის ჩადენის დღიდან<sup>49</sup>.

შეიძლება განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ზოგიერთი მოქმედება გამოვლინებულ იქნეს განაჩენის გამოტანის შემდეგ. ეს ყოველთვის როდი იძლევა საფუძველს ხელახალი გამოძიებისათვის. ზოგჯერ მათ შთანთქავს განაჩენი, რომელიც ერთიანი, განგრძობადი დანაშაულის მიმართ უკვე იყო გამოტანილი. საკითხის ასეთი გადაწყვეტა მართებული იქნება მაშინ, თუ ეს შემოქმედებას არ მოა-დებს წინათ გამოტანილ განაჩენში მიცემულ კვალიდიკაციანე.

<sup>49</sup> რეკოლუციადეოი როსი კრიმინალისტი გ. საბლერი განგრძობადი დანაშაულის დროს ხანდაზნულობის ვადების გამოანგარიშებას მოითხოვდა არა უკანასკნელი ქმედობის, არაიედ თითოეული ცალკეული ქმედობის ჩადენიდან. ე. საბლერის ასეთ შეხედულებას საფუძველად ედო განგრძობადი დანაშაულის ცნების არასწორი გაგება. იგი ფიქრობდა, რომ განგრძობად დანაშაულში თი-თოეული ქმედობა დანაშაულის სრულ შემადგენლობას შეიცავს. ბრალდებულს მიერ ჩადენილი უკანასკნელი დანაშაული არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წინათ ჩადენილი ქმედობის დასრულებად. ამის გამო იგი განგრძობად დანაშაულს და-ნაშაულთა ერთობლიობად თვლიდა. განგრძობადი დანაშაულის ცნება. მისი აზ-რით, წამოყენებული იყო მაშინ, როდესაც კანონმდებლობა დანაშაულთა ერთო-ბლიობისათვის სასჯელის დანიშნვის დროს სასჯელთა შეჯამების პრინციპს ითვალისწინებდა. ამ წესის სიძკაცრის თავიდან ასაცილებლად და რამდენად ე ცოტად თუ ზევრად ერთგვაროვნი დანაშაულის ჩასდენი ბრალდებულის ხედრის შესამსუბუქებლად შეროდებულ იქნა განგრძობადი დანაშაულის ცნება (იხ. В. С а б л е р. О значении давности в уголовном праве, М., 1872, стр. 181—187).

- (1) განზრახვადი დანაშაულის სუბიექტს ამნისტია შეეფარდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენელი უკანასკნელი მოქმედება ჩადენილ იქნება ამნისტიის შესახებ საკანონმდებლო აქტის გამოცემამდე.

ი. 1952—1953 წწ. მუშაობდა აზერბაიჯანის სსრ შაუშიანის რაიონის სოფ. ვირზლარში რაიონული სამომხმარებლო კოოპერაციის მდლახის გამგედ და ერთდროულად რაისამომხმარებლო კოოპერაციის კვერცხის აკრეფისა და ჩაბარების რწმუნებულად. ი-მ 1953 წ. 1 იანვრიდან 27 მარტამდე კოლმეურნეობა „სერპ ი მოლოტიდან“ და კოლმეურნეებიდან აკრეფილი 2800 ცალი კვერცხი არ ჩააბარა რაისამომხმარებლო კოოპერაციის საწყობს, ამასთან არ წარუდგინა დამზადების ანგარიში სამომხმარებლო კოოპერაციის ბუღალტერს. ხოლო აკრეფილი კვერცხი მიითვისა.

აზერბაიჯანის სსრ შაუშიანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1953 წ. 5 ნოემბრის განაჩენით ი. მსჯავრდებულ იქნა „სახელმწიფო და საზოგადო ქონების ვატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისის გამოცემული ბრძანებულების 1 მუხლით. „ამნისტიის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულების საფუძველზე ი-სადმი შეფარდებული სასჯელი 1/2-ით იქნა შემცირებული.

აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1953 წ. 19 ნოემბრის განჩინებით ანაჩენი ძალაში დატოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრატცხტით ი-ს საქმე განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. კოლეგიამ არასწორად ჩათვალა ი-სადმი „ამნისტიის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 27 მარტის ბრძანებულების შეფარდება; ი-მ რამდენიმე კვითარი გააფორმა 1953 წლის 27 მარტის, ე. ი. ამნისტიის შესახებ ბრძანებულების გამოცემის შემდეგ. კერძოდ, 1953 წლის 23 ივლისს შედგენილი აქტიდან ჩანდა, რომ კვითარი 477 ცალი კვერცხის შესახებ დათარიღებული იყო 1953 წლის 7 აპრილით, ხოლო კვითარი 400 კვერცხის შესახებ — 1953 წ. 14 აპრილით. ამ კვითრებით მიღებული კვერცხები ი-ს საწყობში არ ჩაუბარებია. კოლეგიამ გააუქმა ი-ს საქმეზე გამოტანილი განაჩენი და განჩინება. კოლეგიამ თავისი ასეთი გადაწყვეტილების ერთ-ერთ მოტივად ის გარემოება ჩათვალა, რომ ი-მ რამდენიმე კვი-

თარი გააყორმა 1953 წლის 27 მარტის შემდეგ, ე. ი. ამნისტის შემდგომ კოლეგიამ თავის განჩინებაში აღნიშნა: „იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ი. განაგრძობდა დანაშაულს „ამნისტის შესახებ“ ბრძანებულების გამოცემის შემდეგაც, მაშინ სასამართლომ უნდა ისლმძღვანელოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილებით „უენად და ვანგოდობად დანაშაულთა მიმართ ხანდაზმულობისა და ამნისტის შეფარდების პირობების შესახებ“, რომლის თანახმად ამნისტია შეფარდება მხოლოდ იმ დანაშაულებებს, რომლებიც მთლიანად დასრულებიან ამნისტის გამოცემამდე“<sup>50</sup>.

ამრიგად, თუ განგრძობადი დანაშაულის შემადგენელ ქმედობათაგან ერთი ნაწილი ჩადენილი იქნა ამნისტამდე, ხოლო მეორე ნაწილის ამნისტის გამოცემის შემდეგ, ამნისტია არ შეიძლება შეფარდოს პირს, რომელიც დასჯილი იქნება დანაშაულებრივ ქმედობათა მთელი ერთობლიობისათვის.

რასაკვირველია, სასჯელის დახიშვნის დროს სასამართლომ შედეგობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ განგრძობადი დანაშაულის შემადგენელ მოქმედებათა ერთი ნაწილი ამნისტამდე იქნა ჩადენილი. ეს უსათუოდ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად უნდა იქნას განხილული.

(5) თუ განგრძობადი დანაშაულის შემადგენელი ერთ-ერთი აქტი იდეალურ ერთობლიობაშია სხვა დანაშაულთან, ეს იმას ნიშნავს, რომ მთლიანად განგრძობადი დანაშაული იდეალურ ერთობლიობაშია სხვა დანაშაულთან. მართლაც, იმ შემთხვევაში, როდესაც ქურდი განგრძობადი ქურდობის ერთ-ერთი აქტის ჩადენისას ანადგურებს სხვა პირის ძვირფას ნივთს, გვეჩვენა ორი დანაშაულის შემადგენლობის: ქურდობისა (სს კოდექსის 99 მუხლის I ნაწილი) და ძოქალაქეთა პირადი ქონების განზრახ განადგურების (სს კოდექსის 100 მუხლის I ნაწილი) იდეალური ერთობლიობა.

(6) განგრძობადი დანაშაულის ჩამდენ პირს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობისათვის დაწესებული მხოლოდ ერთი ძირითადი სასჯელი შეეფარდება.

(7) განგრძობადად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაული, რომლის შემადგენელი ყველა ქმედობა, გარდა ერთისა, პირმა ჩა-

<sup>50</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1954, № 3, стр. 23—25. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება ა-ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1947, вып. 1 (XXV), стр. 2а).



იღინა ისეთ ასაკში, როდესაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაპროცესდება<sup>51</sup>।

ერთიანი დანაშაულის მეორე ფორმას წარმოადგენს დენადი დანაშაული.।

ჩვეულებრივ დანაშაულის ჩადენა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ხდება. უფრო ზუსტად, უმრავლეს შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედობა შემოსაზღვრულია მისი განხორციელების საწყისი და საბოლოო მომენტებით. ასე მაგალითად, მკვლელობა დამთავრებულია დაზარალებულის სიკვდილის მომენტში, ქურდობა — სხვისი ქონების დაუფლების მომენტში და ა. შ. ამასთან ერთად, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის ცნობილია ისეთ დანაშაულთა შემადგენლობები, რომელთა განხორციელება და დამთავრება არ ხდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ მომენტში. ასეთ დანაშაულს ხანგრძლივი, დენადი ხასიათი აქვს.

დენადი დანაშაული ჩადენისთანავე არ მთავრდება, არამედ განსაზღვრულ მომენტამდე განუწყვეტლივ მიმდინარეობს. დანაშავე ამ მომენტამდე დანაშაულის განუწყვეტელი ჩადენის მდგომარეობაში იმყოფება.

ამრიგად, დენადი დანაშაული ხასიათდება ანსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედობის შემადგენლობის განუწყვეტელი განხორციელებით.।

დენადი დანაშაულია, მაგალითად, ნამდვილ სამხედრო სასწახურში მორიგი გაწვევისათვის მობილიზაციით გაწვევისათვის თავს არიდება (სს კოდექსის 81 და 82-ე მუხლები), დეზერტირობა (სს კოდექსის 256-ე მუხლი). დანაშაულის დაფარვა (სს კოდექსის 295-ე მუხლი), პატიმრობიდან გაქცევა (სს კოდექსის 203-ე მუხლი)<sup>52</sup>, სისხლის სამართლის კანონით დანაშაულად მიჩნეული გახუც-

<sup>51</sup> იხ. მაგ., ხარ კავშირია უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1945 წლის 10 ოქტომბრის განჩინება ვ-ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“, 1947, вып. 1 (XXV), стр. 22—23).

<sup>52</sup> იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილება „დენად და განგრძობად დანაშაულის მიმართ ხანდაზმულობისა და ანთიკიბა პირობების შეფარდების შესახებ“ ახალი რედაქციით („Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1963“, М., 1964, стр. 189).

სადებლობა (სს კოდექსის 90-ე და 206-ე მუხლები). ორკოლონიანობა ან მრავალკოლიანობა (სს კოდექსის 231-ე მუხლი) და სხვ.<sup>53</sup>

დენადი დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია. რათა განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს ქმედობის ის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც კანონი ხედავს მის დანაშაულებრივ არსს. ამის გამო ქურდობა, რომელიც გამოიხატება ფარულად სხვისი ქონების გატაცებაში. შეუძლებელია დენად დასაშაულად: ვცნოთ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ხანს დარჩა ქურდთან გატაცებული ხივთი.

როგორც დენადი, ისე განგრძობადი დანაშაული გრძელდება დროში, მაგრამ თუ განგრძობადი დანაშაული შედგება პერიოდულად განმეორებული აქტებისაგან, პირიქით, დენადი დანაშაული არ გულისხმობს დანაშაულებრივი აქტების ხელმეორედ განხორციელებას. განგრძობადი დანაშაულისაგან განსხვავებით, დენადი დანაშაული წარმოადგენს ერთ მთლიანობას და შეუძლებელია იგი ცალკეულ ქმედობებად დაეყოთ.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტი ფიქრობს. რომ დენადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დენა დროში, რასაც დასაბამი მიეცა უკვე ერთხელ ჩადენილი მოქმედებით. ასე მაგალითად, ნ. კუზნეცოვა წერს: „დენადი დანაშაულის სპეციფიკა ელინდება დანაშაულებრივი ზიანის განხორციელების სტადიაში. ერთხელ განხორციელებული ზიანი შემდგომ გრძელდება დროსა და სივრცეში. ვიდრე აღკვეთილი არ იქნება თვით სუბიექტის მიერ ან მასზე დამოუკიდებელი გარემოებებით“<sup>54</sup>. მოტანილი დებულება, ვფიქრობთ, უმართებულოა. მიყენებული ზიანის ხანგრძლიობით

<sup>53</sup> ა. სვლეზნიოვს მიაჩნია, რომ პატიმრობიდან გაქცევა არ წარმოადგენს დენად დანაშაულს (იხ. А. Селезнев, Спорные вопросы в практике Верховного Суда Украинской ССР, „Социалистическая законность“, 1960, № 10, стр. 62) თავისი ამ მოსაზრების დასაბუთებლად იგი მიუთითებს „დენად და განგრძობით დანაშაულზე ხანდაზნულობისა და ამნისტიის შეუარდების პირობების შეახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1929 წლის 4 მარტის დადგენილებაზე. რომელიც უშუალოდ არ შეიცავს მითითებას დაპატიმრებულის გაქცევაზე, როგორც დენად დანაშაულზე სვლეზნიოვის მოსაზრება უმართებულოა. აღნიშნული დადგენილება შეიცავდა დენად დანაშაულთა მხოლოდ სანიმუშო და არა ამომწურავ ჩამოთვლას.

<sup>54</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий для уголовной ответственности, Госюриздат, М., 1958, стр. 128.

სასაბუღალტრო დანაშაული (რთული დანაშაული), არამედ მარტივი დანაშაულიც. მაგალითად, ხანგრძლივობით სასაბუღალტრო დანაშაულია. ასევე, მოპარული ნივთი ქურდმა შეიძლება საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნოს და ა. შ. მაშასადამე, ზოგიერთი მარტივი დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი განუწყვეტლივ მიმდინარეობს დროსა და სივრცეში. ამის გამო, შედეგის პროცესების განუწყვეტლობის მომენტი არ შეიძლება ვცხოვრობოთ ისეთი რთული დანაშაულის სპეციფიკად. როგორც დენადი დანაშაული.

დენადი დანაშაულის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განუწყვეტლივ ხორციელდება ერთი და იგივე დანაშაულის შემადგენლობა. ამ დანაშაულს დასაბამი შეიძლება მიეცეს როგორც მოქმედების (სამხედრო ნაწილის მიტოვება), ისე უმოქმედობის (განუცხადებლობა) საშუალებით. დენადი დანაშაულის ხანგრძლივობას განსაზღვრავს არა პირველი აქტი, არამედ მომდევნო უმოქმედობა. რომელიც დროში გრძელდება. ამ უმოქმედობის არსი იმაში გამოიხატება, რომ ბრალდებული არ ასრულებს კონკრეტულ მოვალეობას — დაბრუნდეს სამხედრო ნაწილში, ჩააბაროს იარაღი ხელისუფლების ორგანოებს და სხვა. ამრიგად, დენად დანაშაულს საფუძვლად უდევს პირის მიერ შეუსრულებელი იურიდიული მოვალეობა, რომელიც მისი ქცევის გამო წარმოიშვა<sup>55</sup>.

რა იურიდიული და პრაქტიკული შედეგები მოსდევს დენადი დანაშაულის ერთიან დანაშაულად აღიარებას?

1) დენადი დანაშაულის ჩადენის ადგილად 1958 წლის საფუძვლების მე-4 მუხლის I ნაწილის (სს კოდექსის მე-5 მუხლის I ნაწილი) მიხედვით უნდა ჩაითვალოს ის ადგილი, სადაც ფაქტიურად დამთავრდა დანაშაულის განუწყვეტელი განხორციელება.

2) დენადი დანაშაულის დასაშაულებრიობა და დასჯადობა 1958 წლის საფუძვლების მე-6 მუხლის I ნაწილის (სს კოდექსის მე-7 მუხლის I ნაწილი) მიხედვით განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა მაშინ, როდესაც ფაქტიურად დამთავრდა დენადი დანაშაულის განხორციელება (დებურტირი დააკავეს ან თვითონვე გამოცხადდა, თავისუფლება აღკვეთილება შეძლო განთავისუფლება და ა. შ.)

დენადი დანაშაულის, როგორც ერთიანი დანაშაულის, კვალი უიკაცინისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირი თავისი ნებით

<sup>55</sup> В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, Госюриздат, М., 1963, стр. 94—95. იხ. აგრეთვე, „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1963, № 6, стр. 22.

აიღებს ხელს დანაშაულზე, თუ მას დააკავებენ. სასჯელის ინდი-  
დუალიზაციის თვალსაზრისით, რასაკვირველია, დენადი დანაშ-  
ლის ჩამდენი პირის გამოცხადება ბრალის აღიარებით განხილულა  
უნდა იქნას როგორც ბრალის შესამსუბუქებელი გარემოებანი<sup>36</sup>.

გამოცხადება ბრალის აღიარებით არ შეიძლება განხილულ  
ნას როგორც დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის  
ბა. ეს ვასაგებიცაა: დენადი დანაშაული დამთავრებულია ქმედო-  
ბის ჩადენისთანავე და ამიტომ უკვე განსორციელებული დანაშა-  
ულის შედეგის სტადიაზე მის ჩადენაზე ხელის აღება შეუძლებელ-  
ლია.

დენადი დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობითი ხელის აღება  
შეიძლება მისი მომზადების სტადიაზე და არა აღსრულებითი ქმედ-  
ობის შემდეგ. ეს იმით აისხნება, რომ დენადი დანაშაული დამ-  
თავრებულად მიიჩნევა იმ მოქმედების (უმოქმედობის) ჩადენისთანა-  
ნავე, რომელმაც დასაბამი მისცა დენად დანაშაულს.

ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სსრ კავშირის უმ.ლ-  
ლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო  
კოლეგიის განჩინება ლ-ს და უ-ს საქმეზე.

3. მიჩნეულ იქნა ბრალეულად იმისათვის, რომ სასჯელის მოს-  
დისას გაჩქცა სატუსალოდან. პ. დააკავეს სატუსალოდან 4 კმ-ის  
შორებით. პ., რომელმაც ვაქცევა გადაწყვიტა, დაიკოლა კიდევ  
ვ. და ლ. ერთად გაქცეულიყვნენ. ვ. და ლ. დათანხმდნენ ვაქცევა-  
მაგრამ არ გაქცეულან. ტაშვენტის საოლქო სასამართლომ ვ. და  
დამნაშავეებად არ ცნო უზბეკეთის სსრ 1926 წ. სს კოდექსის 106  
მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

უზბეკეთის სსრ უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა ვ-ს და ლ-ს  
მიმართ გამოტანილი ვანაჩენი არასწორი გამართლების მოტივით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა უზბეკეთის სსრ უმაღლესი  
სასამართლოს განჩინება ვ-ს და ლ-ს საქმეზე და სწორად ჩათ-  
ვალა იმავე საქმეზე ტაშვენტის საოლქო სასამართლოს მიერ გამო-  
ტანილი ვანაჩენი. კოლეგიამ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ ვ. და  
ლ. შეთანხმდნენ გაქცეულიყვნენ პ-სთან ერთად და განახორციე-  
ლეს მოსამზადებელი მოქმედება. მაგრამ არ გაქცეულან. უზბეკე-  
თის სსრ სს კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ასეთ პირობებში

<sup>36</sup> იხ. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო  
კოლეგიის 1957 წლის 16 ნოემბრის განჩინება ბ-ს საქმეზე („Бюллетень Вер-  
ховного Суда СССР“, 1958, № 1, стр. 26—27).

პასუხისმკებლობა შეიძლება მხოლოდ იმ მოქმედებისათვის. რომელიც ფაქტიურად იქნა შესრულებული. მაგრამ რამდენადაც ფ-ს და ლ-ს არავითარი სისხლის სამართლის წესით დასჯადი მოქმედება არ განუხორციელებიათ. ამიტომ საოლქო სასამართლომ მართებულად გამოიტანა მათ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი, ხოლო უზბეკეთის სსრ უმაღლესმა სასამართლომ უსაფუძვლოდ გააუქმა საოლქო სასამართლოს განაჩენი<sup>57</sup>.

ანრივად, დენად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მის მოსამზადებელ სტადიაზე.

3) თანამონაწილეობა დენადი დანაშაულის განხორციელების რომელიმე სტადიაზე ნიშნავს თანამონაწილეობას მთლიანად ამ დანაშაულში. ამის გამო, ეთქვათ. დეზერტირის დაფარვა ვანნილული უნდა იქნას არა როგორც დანაშაულის დაფარვა (სს. კოდექსის 205-ე მუხლი). არამედ როგორც თანამონაწილეობა დეზერტირობაში (სს. კოდექსის 19—265-ე მუხლი).

4) დენადი დანაშაული არ გამოირიცხავს დანაშაულთა ერთობლიობას. ასე მაგალითად, თუ სამხედრო ნაწილის დატოვების შემდეგ დეზერტირი ჩადის ქურდობას, ხულიგნობას და სხვ., ასეთ შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს დეზერტირობის, როგორც დენადი დანაშაულისა და ქურდობის, ხულიგნობისა და სხვ. დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის.

5) დენადი დანაშაულის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადები გამოიანგარიშება დანაშაულის განხორციელების ფაქტიური შეწყვეტის მომენტიდან.)

ლენინგრადის. საქალაქო სასამართლოს 1933 წ. 28 იანვრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისას ფ. 1933 წ. 25 მაისს გაიქცა სატუსალოდან.

სვერდლოვსკის საქალაქო სასამართლომ გაქცევის ფაქტი დამტკიცებულად ცნო, მაგრამ ფ-ს მიმართ მაინც გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. გამართლების მოტივად სასამართლომ ის გარემოება ჩათვალა, რომ ფ. გაიქცა სატუსალოდან 11 წელზე მეტი ხნის წინათ და ამასთან იგი ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდა, 1942 წ. გაიწვიეს წითელ არმიის. იყოფებოდა სამამულო ომის ფრონტზე. სადაც დაინვალი-

57 იხ. «Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда Союза ССР 1944», Юриддат, М., 1948, стр. 154.

იხ. აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სარკინიგზო კოლეგიის 1944 წლის 21 მარტის განჩინება ფ-ს და პ-ს საქმეზე (იქვე, გვ. 155).

დდა. ამის გამო სვერდლოვსკის საქალაქო სასამართლომ რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის მე-14 მუხლით ფ-ს სასჯელი არ შეუფარდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1944 წ. 7 ოქტომბერს გამოტანილი განჩინებით სვერდლოვსკის საქალაქო სასამართლოს განაჩენი ფ-ს საქმეზე არასწორად სცნო. კოლეგიამ განჩინებაში აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ წამოყენებული მოტივები არ შეიძლება ცნობილი იქნეს საფუძვლად ფ-ს საქმეზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის. რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის მე-14 მუხლი არასწორად იქნა შეფარდებული ფ-ს მიმართ, ვინაიდან ეს ქმედობა წარმოადგენს დენად დანაშაულს და ამიტომ დანაშაულის დამთავრების მომენტად მიჩნეული უნდა იქნას არა თვით გაქცევის, არამედ დაკავების ან მონანიებით გამოცხადების მომენტი. ფ. დაკავებული იქნა 1944 წ. 28 თებერვალს და ამიტომ ხანდაზმულობის ვადების დენა უნდა დაიწყოს ამ დღიდან და არა გაქცევის მომენტიდან. 1944 წ. 29 თებერვლიდან ჯერ კიდევ არ გასულა ხანდაზმულობის ვადები, რომლებაც გამორიცხავენ სისხლისსამართლებრივ დევნას. რაც შეეხება იმას, რომ ფ. 11 წლის განმავლობაში ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ამჟამად იგი სამამულო ომის ინვალიდია. ეს გარემოებები რსფსრ 1923 წ. სისხ. სამ. საპ. კოდექსის 326 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ პუნქტებში მითითებული საფუძვლების არ არსებობისას, შეიძლება და ყოფილიყო საბაბი არა გამამართლებელი განაჩენის გამოტანისათვის, არამედ სასჯელისაგან განთავისუფლებისათვის რსფსრ სისხ. სამ. საპ. კოდექსის 326 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე და რსფსრ სს კოდექსის მე-8 მუხლის ძალით<sup>58</sup>.

თუ დენადი დანაშაულის ჩადენიდან გაეიდა 15 წელი და ამასთან ხანდაზმულობის დინება არ შემწყდარა ახალი დანაშაულის ჩადენით, მაშინ პირი არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში<sup>59</sup>.

(6) ამნისტია შეიძლება შეეფარდოს ისეთ დენად დანაშაულს, რომლის განუწყვეტელი განხორციელება შეწყდა (დებურტირი თვითონვე გამოცხადდა ან დააკავეს ხელისუფლების ორგანოებმა. უკანონოდ თავისუფლებადაღკვეთილი გაანთავისუფლეს ან თვითონვე

<sup>58</sup> «Сборник постановлений Пленума и определенний Коллегии Верховного Суда Союза ССР 1944», М., 1948, стр. 152—153.

<sup>59</sup> «Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1953», М., 1954, стр. 190.

შეძლო განთავისუფლება ან თვით დაქნაშავემ გაანთავისუფლა ა. შ.) მის გამოცემამდე. თუ დენადი დანაშაულის განუწყვეტელი განხორციელება გაგრძელდება ამნისტიის შესახებ აქტის გამოცემაზე შემდეგაც. მაშინ ამნისტია არ შეიძლება შეფარდებული იქნას<sup>60</sup>.)

რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 162 მუხლის „დ“ პუნქტის საფუძველზე ჩ-ს 1940 წ. დეკემბერში მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. სასჯელის მოხდისას ჩ. 1942 წ. 7 მარტს გაიქცა სატყუარლოდან და იმალებოდა 1946 წ. მარტამდე, ე. ი. მის დაკავებამდე.

კრანსოიარსკის მხარის სუხოზუხომსკის რაიონის სახალხო სასამართლომ ჩ-ს მსჯავრი დასდო რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 82 მუხლის I ნაწილის მიხედვით. ამასთან იგი გაანთავისუფლა სასჯელის მოხდისაკენ „პიტილურულ გერმანიაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1945 წ. 7 ივლისს გამოცემულ ბრძანებულების საფუძველზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად ჩათვალა ჩ-ს მიმართ ამნისტიის შეფარდება. ჩ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული, რომელიც გამოიხატა 1942 წელს ბანაკიდან გაქცევაში. წარმოადგენს დენადს, და რადგან იგი დაკავებულ იქნა 1946 წ. მარტში, ე. ი. ამნისტიის გამოცემის შემდეგ, ამიტომ უკანასკნელის ჩ-სადმი შეფარდება შეუძლებელია<sup>61</sup>.

ერთიანი დანაშაულის მესამე ფორმას წარმოადგენს შენადგენი დანაშაული

შენადგენი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული, რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნიან.

ამ დანაშაულის შემადგენელ თითოეულ ქმედობას თავისთავად დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა შეესაბამება. მაგრამ აქ ისინი კარგავენ თავიანთ დამოუკიდებელ ხასიათს. და ერთიან დანაშაულს ქმნიან.) შენადგენი დანაშაულის შემადგენლობის შექმნა კანონმდებლის წმინდა სუბიექტიზმის ნაყოფს არ წარმოადგენს. რამდენიმე დანაშაულის ერთიან, შენადგენ დანაშაულად გაერთიანებისას კანონმდებელი, უპირველეს ყოვლისა, გამოდის თვით-

<sup>60</sup> П. С. Ромашкин, Амнистия и помилование в СССР, Госюриздат. М., 1959, стр. 33.

<sup>61</sup> «Судебная практика Верховного суда СССР», 1947, I (XXXV), стр. 25.

ქმედობის ბუნებიდან, ხასიათიდან. კანონი ასახავს ქმედობათა შორის არსებულ იმ შინაგან კავშირს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ისინი ერთ მთლიანობაში იქნან განხილული. ქმედობებს შორის არსებული შინაგანი კავშირი მათ ახალ თვისებას. ახალ ხასიათს აძლევს.

შენადგენი დანაშაული როდი წარმოადგენს ცალკეული ქმედობებისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი საშიშროების უბრალო მათემატიკურ ჯამს; შენადგენი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცალკე აღებულ შესაბამის დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. მავალითად. ავიღოთ ისეთი შენადგენი დანაშაული, როგორცაა ყაჩაღობა. ყაჩაღობა ერთდროულად მიმართულია ქონებისა და პიროვნების წინააღმდეგ. მაშასადამე, იგი ორი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და 2) ხელყოფას პიროვნების ან სახელმწიფოს ან საზოგადოების ქონებრივ ინტერესებზე. კრასაკვირველია, ყაჩაღების. როგორც შენადგენი დანაშაულის, საზოგადოებრივი საშიშროება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იმ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროება, რომელთა ნიშნებსაც იგი შეიცავს. ამ მოსაზრებას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ სს კოდექსის 152-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის სასჯელის მაქსიმუმად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ექვსი წლიდან ოთხ თვემდე წლამდე. დასაბლებით ხუთ წლამდე ან უამისოდ. ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. სს კოდექსის 150 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კვალიფიციური ქურდობისათვის დამნაშავეს შეიძლება შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტს, რომელიც ქურდობას ჩაიდენს, შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლიდან ათ წლამდე. ასევე ყაჩაღობასთან შედარებით უფრო ნაკლებად მკაცრი სასჯელია დაწესებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (სს კოდექსის 110 მუხლი).

უმრავლეს შემთხვევაში შენადგენი დანაშაულის დროს ერთი ქმედობა. მეორე ქმედობის განხორციელების საშუალებას წარმოადგენს. უფრო ზუსტად, ისინი ერთმანეთისაღმი მიზნისა და საშუალების მიმართებაში იმყოფებიან. ავიღოთ ისევ ყაჩაღობა. ყაჩაღობის დროს პიროვნებაზე ხელყოფა წარმოადგენს საშუალებას ქონების დაუფლებისათვის. ასევე ბანდიტიზმი, რომელიც, რო-



ვორც წესი, შენადგენ დანაშაულს წარმოადგენს და რომელიც ბან-  
ღიტური თავდასხმების განხორციელებისათვის საშუალებად გუ-  
ლისხმობს იარაღსაც. ანალოგიურ სიტუაციასთან გვაქვს საქ-  
მე მაშინ. როდესაც პირი ნამდვილ სამხედრო სამსახურში მო-  
რიგი გაწვევისათვის თავის ასარიდებლად ყალბ დოკუმენტს გამო-  
აყენებს (სს კოდექსის 81 მუხლის მე-2 ნაწილი). ამ დანაშაულის  
კვალიფიციური შემადგენლობისათვის ყალბი დოკუმენტის გამო-  
ყენება საშუალებას წარმოადგენს ნამდვილ სამხედრო სამსახური-  
საგან თავის ასარიდებლად. ყალბი დოკუმენტის საშუალებით ნამ-  
დვილი სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება, როგორც შენად-  
გენი დანაშაული, ორი დანაშაულის — ნამდვილი სამხედრო სამ-  
სახურისაგან თავის არიდებისა და სიყალბის — ნიშნებს აერთიან-  
ებს. სწორად იმის გამო, რომ ეს ორი დანაშაული ერთი შეიადგენ-  
ნი დანაშაულის შემადგენლობაშია გათვალისწინებული, შეუძლე-  
ბელია მათ დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა შექმნან. ამას-  
თან. სრულებითაც არაა გამორიცხული ნამდვილი სამხედრო სამ-  
სახურისაგან თავის არიდებისა და სიყალბის რეალური ერთობ-  
ლიობის შესაძლებლობა.

ამრიგად. **შენადგენი** ანუ რთული დანაშაულისათვის დამახა-  
ლიათებელია ის, რომ პირველი დანაშაულებრივი მოქმედება მეო-  
რე დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელების საშუალებად  
გვევლინება. უკეთეს დანაშაულებრივი ქმედობა არა მეორის ჩადე-  
ნის საშუალებას, არამედ, მაგალითად, დანაშაულის დაფარვის სა-  
შუალებას წარმოადგენს, მაშინ გვექნება არა რთული დანაშაული,  
არამედ ორი დანაშაულის რეალური ერთობლიობა<sup>62</sup>.)

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ. თითქოს შენადგენ და-  
ნაშაულში ერთი ქმედობა ყოველთვის უნდა წარმოადგენდეს მეო-  
რის ჩადენის საშუალებას. ზოგჯერ შენადგენი დანაშაული არ ხა-  
სიათდება ასეთი მიზან-საშუალებრივი დამოკიდებულებით: უფ-  
რო ზუსტად, ზოგიერთი შენადგენი დანაშაულის შემადგენლობის  
შექმნის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მით გარემოცული ქმე-  
დობები ერთმანეთთან მჭიდრო განუყრელ კავშირში იმყოფებიან,  
შათი იზოლირებული სისხლისსამართლებრივი შეფასება მიზანშე-  
უწყონელი და არა პრაქტიკული იქნებოდა. ამ დებულების ნათელ-  
საყოფად შეიძლება დავასახელოთ ისეთი შენადგენი დანაშაული,  
როგორცაა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ხელისუფ-

<sup>62</sup> об. А. Д. Соловьев, Вопросы применения наказания по со-  
ветскому уголовному праву, Госюриздат, М., 1958, стр. 167.

ლების გადამეტება (სს კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილი). აქ ერთიან დანაშაულადაა მიჩნეული ერთი მხრივ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და მეორე მხრივ, ცალადობა ან იარაღის ხმარება, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფელი მოქმედება. მოცემულ შემთხვევაში ორი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, კერძოდ ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ერთი შენადგენი დანაშაულის შემადგენლობაშია გათვალისწინებული. განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია ეს ორი ქმედობა ერთმანეთს დავაცილოთ იმ ობიექტური და სუბიექტური კავშირის გამო, რომელიც სინამდვილეში მათ შორის არსებობს. სწორედ ამ გარემოებით არის ნაკარნახევი მათი შენადგენ დანაშაულად ცნობა.

სს კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ბრალი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლადაა ცნობილი. ეს დებულება, ცხადია, თანაბრად ვრცელდება როგორც მარტივ, ისე რთულ დანაშაულთა მიმართ.

შენადგენი დანაშაულის ჩადენისას პირის განზრახვით ერთდროულად მოცული უნდა იყოს ის ფაქტიური გარემოებები, რომლებიც შესაბამის დანაშაულებრივ ქმედობათა ობიექტურ მხარეს მიეკუთვნება. ორი (ან მეტი) დანაშაულის ობიექტური მხარის ერთდროულად გათვალისწინების გზით შესაძლებელი ხდება იმ სუბიექტური კავშირის გაბმა, რაც მათ ერთიან, შენადგენ დანაშაულში აერთიანებს. აქ ისევ უნდა მოვიხსენიოთ ბანდიტიზმი. ბანდიტიზმი მოიცავს ისეთ დანაშაულებებს, როგორცაა ბანდის ორგანიზაცია, ბანდის თავდასხმაში მონაწილეობა, მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ქონების მოსპობა, მიმოსვლის საშუალებათა დაზიანება ან მოსპობა და სხვ.<sup>63</sup> ბანდის მიერ განხორციელებული თავდასხმების დროს თავდამსხმელთა ბრალი ერთიანი განზრახვით ხასიათდება.

<sup>63</sup> სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წ. 20 აპრილის განჩინებაში ო-ს, ბ-ს და სხვების საქმეზე აღნიშნულია, რომ ბანდა გულისხმობს პირთა მყარ შეიარაღებულ ჯგუფს, რომელიც ეხმარება ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენას. ბანდის მიერ ჩადენილი გატაცება, გაძარცვა ან სხვა ძალმომრეობითი მოქმედება, მათ შორის მკვლელობა და იარაღის ტარება, მოცულია ბანდიტიზმის შემადგენლობით. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საჭირო არ არის დანატებითა კვალიფიკაცია სხვა კანონების მოშველებით, თუ ამასთან ჩადენილი არ ყოფილა ისეთი მოქმედება, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა ბანდიტიზმთან შედარებით უფრო მძიმე შემადგენლობით (იხ., „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, № 3, стр. 371).

კერძოდ, ბანდის წევრებს გათვალისწინებული აქვთ, რომ ისინა ბანდას ეკუთვნიან და სურთ ამ ბანდაში მონაწილეობა. გარდა ამისა. ისინი ითვალისწინებენ იმას, რომ მონაწილეობენ თავდასხმებში და სურთ მონაწილეობა მიიღონ ამ თავდასხმებში/

დანაშაულის შენადგენი ბუნების დადგენა ძნელდება მაშინ, როდესაც კანონში დასასელებულია მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედობა. ასეთ შემთხვევებში საჭიროა გულდასმით გავუკეთოთ ანალიზი შესაბამის დანაშაულთა შემადგენლობების ელემენტებს. პ.ოფ. ა. ლიუბლინსკის მართებული შეხედულებით, შენადგენი დანაშაულის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ფარავს მართვ შემადგენლობას, როგორც თავის ერთ-ერთ ნიშანს, და ამიტომ მის გასაგებად საჭიროა მივმართოთ მარტივი შემადგენლობის ანალიზს<sup>61</sup>. ავიღოთ, მაგალითად ხულიგნობა.

ხულიგნური მოქმედებები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: პირველი ჯგუფი მოიცავს ხულიგნობის ისეთ სახეებს, რომლებიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება. მაგრამ დაკავშირებული არაა პიროვნებასა და ქონებაზე უშუალო ხელყოფასთან (მაგალითად, უმისამართოდ უცენზურო სიტყვების წარმოთქმა საზოგადოებრივი თამოყარის ადგილებში, ცრუ სახანძრო განგაშის განზრახ გამოწვევა და შ.). ხულიგნურ მოქმედებათა მეორე ჯგუფი ხასიათდება უშუალო ხელყოფით პიროვნებასა ან ქონებაზე. სწორედ ამ მეორე შემთხვევაში დგება საკითხი ხულიგნობისა და სხვა დანაშაულთა გამიჯვნის შესახებ.

შენადგენი დანაშაულის არსებობის დადგენისათვის უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება კანონის ტექსტის. მასში გამოყენებულ სიტყვებისა და ტერმინების სწორ განმარტებას, მოქმედებათა საზოგადოებრივი საშიშროებისა და დასასრულ, სასჯელის ზომის გათვალისწინებას. ეს შესაძლებელს ხდის. ვაირკვეს, სახელდობრ, რომელ დანაშაულს ფარავს შენადგენი დანაშაული.

როგორც ცნობილია, სს კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი სხვა გარემოებებთან ერთად ხულიგნობის დამამძიმებელ გარემოებებად თვლის ძალადობას მოქალაქეთა მიმართ და განსაკუთრებულ თავზედობას. ასეთებად სასამართლო პრაქტიკა თვლის ისეთ მოქმედებებს, როგორიცაა დაზარალებულის ცემა. მისთვის სხეულის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიყენება, მკვლელობის მუქარა, დამამძიმებელი გარემოების გარეშე ქონების განადგურე-

<sup>61</sup> П. И. Люблинский. Техника, толкование и казуистика уголовного кодекса, Петроград. 1917, стр. 29.

ბა და დაზიანება. ცეცხლის წაქიდება. თითოეული ეს მოქმედება თავისთავად დამოუკიდებელი დანაშაულია, მაგრამ მათთან შედარებით ხულიგნობის ობიექტი, ობიექტური მხარე და სუბიექტური მხარე უფრო ფართო და სრულია. ამასთან, ხულიგნობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში უფრო მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული. ამიტომ თუნდაც ხულიგნობას თან ახლდეს ჩამოთვლილი მოქმედებები, იგი განხილული უნდა იქნას მხოლოდ როგორც ერთიანი დანაშაული.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხულიგნობა დაკავშირებულია დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანებასთან, ან მის მკვლელობასთან, დამამძიმებელ გარემოებებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ან პირადი ქონების განადგურებასთან ან მოსპობასთან. ასეთი ქმედობები დაკვალიფიცირდება როგორც ხულიგნობისა და შესაბამისი დანაშაულის ერთობლიობა<sup>65</sup>.

1 ხულიგნური მოტივით ჩადენილი განზრახი მკვლელობა არ მოითხოვს ჩადენილის კვალიფიკაციას ხულიგნობისა და განზრახი მკვლელობის ერთობლიობად. ამასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საეცებით შესაძლებელია ამ დანაშაულთა რეალური ერთობლიობა.

საგამომძიებლო ორგანოებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს კ. რსფსრ სს კოდექსის 74 მუხლის მე-2 ნაწილით და 136 მუხლის 1 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენისათვის.

კ-მ, რომელიც მთვრალი იყო, მოცემულ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ პ-სთან ერთად, 1958 წ. 7 თებერვალს ჩაიღინა ხულიგნური მოქმედებები. კერძოდ, იგი ცდილობდა ლობეზი გადახტომას და მოქ. ზ-ს ცემას. აკაკუნებდა მოქ. პ-ს კარებზე. ამასთან მის მოქმედებას თან ახლდა მუქარა და უცენზურო სიტყვები. პ-ს და კ-ს ხულიგნური მოქმედება რომ შეეწყვიტათ, მათთა მივიდა ამ უკანასკნელის ქეზობელი მოქ. ა. ა. შეეკითხა პ-ს „რაშია საქმე?“ ამის საპასუხოდ ა-სათვის მოულოდნელად კ-მ მას თავში დაარტყა ლითონის საგანი. მოქ. ა. გარდაიცვალა.

სვერდლოვსკის საოლქო სასამართლომ 1958 წ. 4 აპრილს ამ საქმის მოსამზადებელ სხდომაზე განხილვისას გამორიცხა კ-ს

<sup>65</sup> საზოგადოებრივი წესრიგის დამკვეთი მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების ხელყოფასთან დაკავშირებული ხულიგნობის კვალიფიკაციის საკითხზე. იბ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1963 წ. 3 ივლისის დადგენილება.

ბრალდებიდან რსფსრ სს კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ამასთან მიუთითა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს 1925 წ. 16 მარტის დადგენილებაზე. ამ დადგენილებაში განმარტებული იყო, რომ ხულიგნური მოტივით ჩადენილი მკვლელობა განიხილება როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა და კვალიფიცირებული უნდა იქნას რსფსრ სს კოდექსის 136 მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტით.

სვერდლოვსკის ოლქის პროკურორმა არასწორად სცნო სასამართლოს განჩინება პ-ს საქმეზე; მან გააპროტესტა ეს განჩინება და აღნიშნა, რომ ბრალდებულმა ხულიგნური მოქმედებები ჩაიდინა დაზარალებულის მოკვლამდე და ეს მოქმედებები დაკავშირებული არ ყოფილა მოქ. ა-ს მკვლელობასთან. ეს მოქმედებები, პროკურორის აზრით, დამოუკიდებელი დანაშაულია და საქირთა დაკვალიფიცირდეს რსფსრ სს კოდექსის 74 მუხლის მე-2 ნაწილით.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ პროტესტი დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ მითითება საოლქო სასამართლოს განჩინებაში რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1925 წ. 10 მარტის დადგენილებაზე, როგორც პ-ს ბრალდებიდან რსფსრ სს კოდექსის 74 მუხლის მე-2 ნაწილის გამორიცხვის საფუძველზე, დაუსაბუთებელია. ეს დადგენილება მხოლოდ განმარტავს, რომ ხულიგნური მოტივით ჩადენილი მკვლელობა საქირთა კვალიფიცირებულ იქნას როგორც დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობა. აღნიშნული დადგენილება სრულებითაც არ გამორიცხავს რსფსრ სს კოდექსის 74 მუხლის მიხედვით ბრალდებულის იმ მოქმედებათა დამოუკიდებელ კვალიფიკაციას. რომლებიც ჩადენილ იქნა მკვლელობამდე ან მკვლელობის შემდეგ<sup>66</sup>.

შენადგენი დანაშაულის შემადგენლობა უნდა განვასხვავოთ ე. წ. ალტერნატიული შემადგენლობისაგან. ეს უკანასკნელი ხასიათდება იმით, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საქირთა კანონში მითითებული არა ყველა ელემენტის, არამედ თუნდაც ერთ-ერთის არსებობა<sup>67</sup>. ასე მაგალითად, სს კოდექსის 211-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად მიიჩნევა მაშინ, როდესაც დამნაშავე ან გაიტაცებს, ან მოსპობს, ან დააზიანებს ანდა დამალავს სახელმწიფო ან საზო-

66 იხ. «Советская юстиция», 1958, № 10, стр. 90.

67 იხ. А. Н. Трайнин, Общее учение о составе преступления, Госюриздат, М., 1957, стр. 109—110.

გადოებრივ დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ან საწარმოში არსებულ დოკუმენტს, ბეჭდის. შტამპის ან განსაკუთრებული ანგარიშგების ბლანკებს. თუ პირი განახორციელებს ზემოაღნიშნულ რამდენიმე მოქმედებას, ამით მარტივი დანაშაული არ გადაიქცევა შენადგენ დანაშაულად.

ზოგიერთი სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციით გათვალისწინებულია ორი ან მეტი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა. მაგალითად, სს კოდექსის 27 მუხლი ითვალისწინებს სამი დანაშაულის — ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, ხელისუფლების გადამეტებისა და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულების — შემადგენლობებს. თუ პირი სამივე აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენს, იგი, ჩვენი აზრით, პასუხს აგებს არა ერთი შენადგენი დანაშაულისათვის, არამედ დანაშაულთა ერთობლიობისათვის.

## თ ა ვ ი მ ე ო რ ე

### დანაშაულთა ერთობლიობის ცნება და სახეები

#### § 1 დანაშაულთა ერთობლიობა და დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეები

წინა თავში იმ დასკვნამდე მივედით, რომ დანაშაულის ერთიანობას განსაზღვრავს შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა. აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ რამდენიმე დანაშაულს რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა შეესაბამება!

(ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენით ხასიათდება როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, ისე დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეებიც.) ამრიგად, დანაშაულთა სიმრავლის ყველა სახეს და მათ შორის დანაშაულთა ერთობლიობაააც ერთი საერთო მნიშვნელი აქვს, რაც ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში გამოიხატება. აქედან ცხადია, რომ დანაშაულთა ერთობლიობის ცნების ნიშნების დადგენას ვერ შევძლებთ ისე, თუ თავდაპირველად არ დავახასიათებთ დანაშაულთა სიმრავლის სხვა, დანარჩენ სახეებს.

ჩვენ დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთ სახეს განმეორება წარმოადგენს. დანაშაულის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, მოწმობს პირის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. ამის გამოსაბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა განმეორებას ყოველთვის განიხილავდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

1958 წ. საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის (სს კრდექსის 39-ე მუხლის 1 პუნქტი) თანახმად სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ცნობილია დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჩაუდენია დანაშაული. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს არ მისცეს პირველ დანაშაულს მისი ხასიათის მიხედვით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

(განმეორების შემთხვევაში პირველსა და მეორე დანაშაულს შორის დროის დიდი ინტერვალი არ უნდა არსებობდეს.) სხვანაირად

შეუძლებელი გახდება ამ ნიშნის საფუძველზე პირის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების დადგენა. მართლაც, თუ ჩვენ იმ წინამძღვრიდან გამოვალთ, რომ განმეორების ინსტიტუტი ააახავს ანტი-საზოგადოებრივი ყოფაქცევის განსაზღვრულ „მემკვიდრეობას“ და არა უბრალო კანონის მეორეჯერ დარღვევის ფაქტს, მაშინ არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ პირველი დანაშაულიდან მეორე დანაშაულის ჩადენამდე გასული დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მსჯავრდებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდა<sup>1</sup>.

(ამ ინტერვალების საზომს ხანდაზმულობისა და ნასამართლობის მოხსნის ვადები წარმოადგენს. ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან ნასამართლობის მოხსნის შემდეგ მიზანშეუწონელი იქნებოდა ახალი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს წინათ ჩადენილი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გვეცნო. ეს გარემოება არასწორად აქვს წარმოდგენილი პროფ. ა. გერცენზონს.

მისი შეხედულებით. საფუძველების 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასამართლოს უფლება აქვს ხანდაზმულობის ვადების გასვლის ან ნასამართლობის მოხსნის მიუხედავად დანაშაულის განმეორება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სცნოს<sup>2</sup>. ასეთი შეხედულება, ჩვენი აზრით, უგულებელყოფს კანონით დადგენილ ობიექტურ კრიტერიუმს და უპირატესობას ანიჭებს სასამართლოს მიხედულებას.

მართალია, 1958 წ. საფუძველების 34-ე მუხლი არ შეიცავს მითითებას, რომ განმეორება არ ჩაითვლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი ცნობილია სამართალში არყოფილად, ან როდესაც პირველი დანაშაულის ჩადენისა ან ამ დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის დროი-

<sup>1</sup> იხ. В. Н. Кудрявцев. Теоретические основы квалификации преступлений. Госюриздат. М., 1963, стр. 309.

<sup>2</sup> იხ. А. А. Герцензон. Об основах уголовного законодательства Союза ССР и союзных республик, Госюриздат, М., 1959, стр. 59. იხ. აგრეთვე, С. Бородин, Примечение нового Уголовного кодекса РСФСР по делам об убийствах («Социалистическая законность», 1961, № 9, стр. 23); В. Соловьев. О некоторых вопросах применения общей части нового Уголовного кодекса РСФСР («Советская юстиция», 1961, № 8, стр. 10).



დან განვლო ხანდაზმულობის ვადამ<sup>2</sup>. საკავშირო კანონმდებელმა აღნიშნული საკითხის მოწესრიგება მოკავშირე რესპუბლიკების უფლებად სცნო. მხოლოდ ესტონეთის სსრ 1960 წ. სს კოდექსის 38-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული ამ გარემოებაზე. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ასეთ დათქმას არ შეიცავენ. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას. თითქოს ამ კოდექსების მიხედვით არ უნდა იქნას გათვალისწინებული ეს გარემოება.

(ნასამართლობის იურიდიული მნიშვნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს წინათ ჩადენილი დანაშაული სასამართლოს შეუძლია ცნოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მარტოოდენ იმ შემთხვევაში. თუ ნასამართლობა პირველი დანაშაულისათვის გაქარწყლებული ან მოხსნილი არ არის.

როგორც ცნობილია, 1924 წ. ძირითადი საწყისების 10<sup>1</sup> მუხლის თანახმად ნასამართლობის ავტომატური მოხსნა დაშვებული იყო მხოლოდ მაშინ, როდესაც პირს მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე. ამ წესის უარყოფითი მხარე ის იყო, რომ პირი, რომელსაც მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე მეტი ვადით, სიკვდილამდე ნასამართლობის მქონედ ითვლებოდა. ნასამართლობა ასეთ პირს შეიძლებოდა მოხსნოდა მხოლოდ ამნისტრით ან შეწყალებით.

ასეთი წესის მიზანშეუწონლობა აშკარად ნათელი იყო. ამის გამო 1958 წ. საფუძვლებმა ნასამართლობის მოხსნის ახალი შეღავათიანი წესები გაითვალისწინეს. ~~44-ე~~ მუხლის (სს კოდექსის 57-ე მუხლი) თანახმად სასჯელის მოხდიდან განსაზღვრული ვადების გასვლის შემდეგ ხასამართლობა ავტომატურად მოეხსნება იმ პირებს. რომელთაც მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე; ხოლო იმ პირებს, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით, ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სასამართლოს განჩინებით.

რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი, როდესაც იგი 1924 წ. ძირითად საწყისებთან შედარებით ნასამართლობის მოხსნის შედარებით უფრო შეღავათიან პირობებს აწესებდა? ნათელია, მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანური მოსაზრებით, რაც იმაში გამოიხატება, რომ ახალი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის

<sup>2</sup> ასეთ მითითებას შეიცავდა საქართველოს სსრ 1928წ. სსრ კოდექსის 44-ე მუხლის „დ“ პუნქტი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები. ამ საკითხზე მითითებული იყო აგრეთვე საქართველოს სსრ 1960 წ. სს კოდექსის პროექტის მე-2 ვარიანტში.

დროს წინა ნასამართლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს განხილული დამამძიმებელ გარემოებად, როდესაც ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის. სასჯელის სიმძიმის მიხედვით ნასამართლობის მოხსნის ვადების განსაზღვრას სხვა აზრი არა აქვს.

დასასრულ, სს კოდექსის 44-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან დაფარულია კანონით დადგენილი წესით. თუ გაეითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივი საერთოდ განმეორების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, მაშინ აღნიშნული ავტორების შეხედულება არალოგიკურ დასკვნამდე მიგვიყვანდა. განმეორების ყველაზე საშიშ შემთხვევაში ნასამართლობის მოხსნა შეუძლებელს ხდის პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობას, ხოლო განმეორების შედარებით უფრო ნაკლებად საშიშ შემთხვევაში ნასამართლობის მოხსნის მიუხედავად წინანდელი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად უნდა ჩაგვეთვალა. სინამდვილეში, თუ კანონმდებელი აღიარებს ნასამართლობის მოხსნის მნიშვნელობას განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, მით უმეტეს, არ შეიძლება უგულვებელყოთ ამ პრინციპის მნიშვნელობა განმეორების სხვა, უფრო ნაკლებად საშიშ შემთხვევებში.

ხანდაზმულობის ან ნასამართლობის მოხსნის ვადების გასვლამდე ახალი დანაშაულის ჩადენა ავტონატურად არ ავალებს სასამართლოს დანაშაულის განმეორება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად სცნოს (საფუძვლების 34-ე მუხლის I პუნქტის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს უფლება აქვს არ მისცეს პირველ დანაშაულს მისი ხასიათის მიხედვით დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა. ამრიგად, თავისთავად მეორე დანაშაულის ჩადენა არ იძლევა საფუძვალს სასჯელის ზომის ამძლეებისათვის. შესაფარდებელი სასჯელის ღონისძიებაზე უფრო მეტ ზეგავლენას იქონიებს პირის მიერ იმავე ან ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენა, ვინაიდან ეს გარემდება უფრო თვალსაჩინოს ხდის მის მიდრეკილებას განსაზღვრული დანაშაულისაკენ. ეს დოგმა როდია. იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაშიც კი პირველი დანაშაულის ჩადენის ფაქტი შეიძლება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არ ვცნოთ. ასეთ შემთხვევასთან საქმე გვექნება მაგალითად მაშინ, როდესაც პირი ორთავე შემთხვევაში გაუფრთხილებელ მკვლელობას ან ისეთ დანაშაულობებს ჩაიდენს, რომლებიც საზო-

გადოებრივი საშიშროების მხრივ მკვეთრად განსხვავებულიან ერთმანეთისაგან.

1958 წ. საფუძვლების 34-ე მუხლის I პუნქტში არაფერია ნათქვამი წინათ ჩადენილი დანაშაულის ხასიათსა ან პირველად დანიშნული სასჯელის მოხდის შესახებ. „როგორც ჩანს. — მართებულად აღნიშნავს პროფ. ა. გერცენზონი, — საფუძვლები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად თვლიან მოცემული პირის მიერ ყოველგვარი დანაშაულის, ე. ი. არა მარტო ისეთივე, არამედ ერთგვაროვანი და საერთოდ ყოველი დანაშაულის განმეორებით ჩადენას“<sup>4</sup>. გარდა ამისა, სასამართლოს დამამძიმებელ გარემოებად შეუძლია სცნოს არა მარტო წინანდელი ნასამართლობა, როდესაც დამნაშავემ უკვე მოიხადა სასჯელი, არამედ ისეთი დანაშაულიც, რომლისთვისაც დამნაშავეს სასჯელი არ მოუხდია იმის გამო. რომ იგი თავის დროზე არ ყოფილა გამოვლინებული<sup>5</sup>.

თუ ზემოთ მოტანილი დებულებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ დანაშაულის განმეორება შეიძლება დაეყოს შემდეგ სახეებად: 1) არაერთგვაროვანი განმეორება, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი არაერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენას; 2) ერთგვაროვანი განმეორება. განმეორების ეს სახე გულისხმობს ორი ან მეტი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენას; 3) სპეციალური განმეორება, რომელიც მოიცავს ერთი და იმავე დანაშაულის ხელმეორედ ჩადენას; 4) არაერთგვაროვანი რეციდივი, როდესაც მსჯავრდებული პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ ჩაიდენს სხვა არაერთგვაროვან დანაშაულს; 5) ერთგვაროვანი რეციდივი, რომლითაც აღინიშნება პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენა; 6) სპეციალური რეციდივი, რომელიც მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირი პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ განმეორებით ჩაიდენს იმავე დანაშაულს; 7) განსაკუთრებით საშიში რეციდივი, რომელიც შეიძლება ერთისა და იმავე არაერთგვაროვან და ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენაში გამოისატოს.

არაერთგვაროვანი და ერთგვაროვანი განმეორება. როგორც ეს თვით სახელწოდებიდან ჩანს, ერთმანეთისაგან განსხვავდება ჩადენილ დანაშაულთა ხასიათის მიხედვით. ამ განსხვავების დადგენა

<sup>4</sup> იხ. А. А. Герцензон, 'დასახ. ნაშრომი, გვ. 58

<sup>5</sup> იხ. «Советское уголовное право, Часть общая». учебное пособие, Изд-во Ленинградского университета, 1960, стр. 502.

შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ თვით „ერთგვაროვნობის“ ცნებას არ განესაზღვრავთ.

როგორც ცნობილია, სისხლის სამართლის კანონი არ იძლევა დანაშაულთა ერთგვაროვნების ცნების განსაზღვრას.

დანაშაულთა ერთგვაროვნების ცნება საგანგებოდ განმარტა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1962 წ. 3 დეკემბრის დადგენილებაში „ასალი ერთგვაროვანი ან არა საკლები მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სასამართლოების მიერ სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის შესახებ“. აღნიშნულ საკითხზე დადგენილებაში ნათქვამია: „განმარტებულ იქნას, რომ ერთგვაროვნად უნდა ჩაითვალოს ისეთი დანაშაულნი. რომელნიც მიმართული იყვნენ ერთნაირი ან მსგავსი უშუალო ობიექტის წინააღმდეგ და ჩადენილი არიან ორივენი განზრახ ან ორივენი გაუფრთხილებლობით“<sup>6</sup>.

მაშასადამე, ორი დანაშაული რომ ერთგვაროვნად მივიჩნიოთ, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული მნიშვნელობა ექვს ხელყოფის ობიექტების იგივეობას. თუ ორი სხვადასხვა დანაშაული სხვადასხვა ობიექტს ხელყოფს, მაშინ, როგორც წესი, მათი ერთგვაროვნება შეუძლებელია. მაგრამ თავისთავად ობიექტების იგივეობა არ წყვეტს საკითხს დანაშაულთა ერთგვაროვნების შესახებ. ასე მაგალითად, სახელმწიფო ქონების გატაცება და პირადი ქონების გატაცება სხვადასხვა ობიექტის წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ მათი ერთგვაროვნება ექვს არ ბადებს (ის. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლისა და 150-ე მუხლის შენიშვნები).

აღნიშნული ორი დანაშაულის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთგვაროვნებას ზოგჯერ განსაზღვრავს ხელყოფის ობიექტების მსგავსება.

ხელყოფის მსგავს ობიექტებად ზოგიერთი კრიმინალისტის აზრით, უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ერაზა და იმავე თავში გათვალისწინებული ობიექტები. ასეთი მოსაზრება მიუღებელია. როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცება და პირადი ქონების გატაცება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა თავებშია გათვალისწინებული, მაგრამ მათ თვით კანონი ერთგვაროვან დანაშაულობებად თვლის (ასეთი მაგალითები შეიძლება სხვაც მოვიტანოთ). გარდა ამისა, შეიძლება ორი დანაშაული სისხლის სამართლის

<sup>6</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 6, стр. 14.

კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ერთსა და იმავე თავში იყოს გათვალისწინებული, მაგრამ ისინი ერთგვაროვან დანაშაულობებად არ ჩაითვალოს. (მაგალითად, ისეთი დანაშაულობანი, როგორცაა საფლავის შეზღუდვა, უკანონო ექიმობა და სამშენებლო სამუშაოთა წარმოების წესების დარღვევა; სისხლის სამართლის კოდექსის ერთსა და იმავე, მე-10 თავშია გათვალისწინებული; მაგრამ მათ ერთგვაროვან დანაშაულობებად, ცხადია, ვერ მივიჩნევთ.

ამრიგად, საკითხი დანაშაულებრივი ხელყოფის ობიექტების მსგავსების შესახებ უნდა გადაწყვიტოთ კონკრეტულად, დანაშაულის ძირითადი მიმართულების გამორკვევით. ამით დავადგენთ პირის ანტისაზოგადოებრივი ყოფაქცევის ერთიან ხაზს. ამასთან, უნდა შევადაროთ დანაშაულთა არა გვაროვნული, არამედ უშუალო ობიექტები<sup>7</sup>.

(ხელყოფის ობიექტების იგივეობის (ან მსგავსების) ნიშნის მიხედვით ერთგვაროვნად უნდა ვცნოთ ისეთი ორი დანაშაული, რომელთაგანაც ერთი შენადგენი ხასიათისაა და მიმართულია ორი ან მეტი ობიექტის წინააღმდეგ, ხოლო მეორე დანაშაული ერთ-ერთ ამ ობიექტს ხელყოფს. ასე მაგალითად, ისეთი შენადგენი დანაშაული, როგორცაა ყაჩაღობა, რომელიც მიმართულია პიროვნებისა და ქონების წინააღმდეგ, ერთგვაროვანია განზრახი მკვლელობისა, რომლის ობიექტს მხოლოდ ადამიანის სიცოცხლე წარმოადგენს.

ერთგვაროვანია აგრეთვე ხულიგნობა და ყაჩაღობა, სხეულის დაზიანება და გაუპატიურება, ხულიგნობა და მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, მკვლელობის მუქარა და ხულიგნობა და ა. შ.

მაგრამ არ შეიძლება ხელყოფის ობიექტების იგბეობა ან მსგავსება ყველა შემთხვევაში დანაშაულთა ერთგვაროვნების ამომწურავ კრიტერიუმებად ვცნოთ; სახელმწიფო ქონების გატაცება და სახელმწიფო ქონების გაუფრთხილებელი განადგურება არ არიან ერთგვაროვანი დანაშაულობები, თუმცა ორივე შემთხვევაში ხელყოფის ობიექტები ერთი და იგივეა.

როგორც პლენუმის მოტანილი დადგენილებიდან დავინახეთ, ობიექტების იგივეობასა ან მსგავსებასთან ერთად აუცილებელია ბრალის ფორმების იგივეობა. კერძოდ, თუ პირველი დანაშაული განზრახ იყო ჩადენილი, ასევე განზრახ უნდა იყოს ჩადენილი მეორე დანაშაულიც. ასევე, თუ პირველი დანაშაული გაუფრთხილებე-

<sup>7</sup> იხ. *Д. Терехов, Ю. Северин, К понятию однородного и не менее тяжкого преступления («Бюллетень Верховного Суда СССР», 1962, № 6, стр. 27).*

ლი ბრალით ხასიათდებოდა, მაშინ ერთგვაროვნებისათვის საჭიროა. რომ მეორე დანაშაულიც გაუფრთხილებლობით იყოს ჩადენილი. რასაკვირველია, სხვა თანაბარი პირობების არსებობისას განმეორებით განზრახი დანაშაულის ჩადენა უფრო მეტ საფუძველს ქმნის პირის მკაცრად დასჯისათვის, ვიდრე იმავე დანაშაულთა გაუფრთხილებლობით ჩადენა. პირველ შემთხვევაში დამნაშავე უფრო დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ მასში ძლიერია დანაშაულებრივი მიდრეკილებისა და ანტისაზოგადოებრივი მოტივების ძალა.

(ერთგვაროვანი განმეორება შეიძლება უშუალოდ იყოს გათვალისწინებული, როგორც დამამძიმებელი გარემოება სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში. ასე მაგალითად, სს კოდექსის 91-ე მუხლის შენიშვნის შესაბამისად<sup>8</sup>, 91 (სახელმწიფო ან საზოგადო. ქონების გატაცება ქურდობით), 92 (სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცება გაძარცვით), 93 (სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცება თაღლითობით) და 94 (სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) მუხლებში განმეორებითად ჩაითვლება დანაშაული, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი ჰქონდა რომელიმე დანაშაული, გათვალისწინებული ამ მუხლებში ან 78 (ბანდიტიზმი), 96 (ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადო ქონების გატაცების მიზნით), 96<sup>1</sup> (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება), 150—153 მუხლებში (მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ქურდობა, გაძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა). ამ შენიშვნიდან გამომდინარეობს, რომ თუ პირი, ვთქვათ, თავდაპირველად ჩაიდენს ბანდიტიზმს, ხოლო შემდეგ მოიპარავს სახელმწიფო ან საზოგადო ქონებას, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს სს კოდექსის 91-ე მუხლის არა 1 ნაწილით, არამედ მე-2 ნაწილით, რომელიც ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად განმეორებას ითვალისწინებს და ბანდიტიზმისათვის.

ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა ზოგჯერ უშუალოდ არის გათვალისწინებული მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ერთ-ერთ ელემენტად. ასეთ შემთხვევაში განმეორება სისხლს სამართლის კანონში ორი სახით შეიძლება მოგვევლინოს: 1) განმეორება აპირობებს გარკვეული ქმედობის დანაშაულად მიჩნევას (საპას-

<sup>8</sup> ანალოგიურ შენიშვნას პიოლდი ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენისას ითვალისწინებს სს კოდექსის 150-ე მუხლის შენიშვნა.

პორტო წესების განმეორებით დარღვევა — სს კოდექსის 217 მუხლის I ნაწილი); 2) განმეორება შეიძლება წარმოადგენდეს ისეთ გარემოებას, რომელიც აპირობებს განსაზღვრული დანაშაულის მარტივი შემადგენლობის კვალიფიციურად გარდაქმნას (სახელმწიფო ან საზოგადო ქონების განმეორებით მოპარვა — სს კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი). განმეორების ამ ორ შემთხვევას შორის ის განსხვავებაა, რომ დანაშაულთა იმ შემადგენლობებისათვის, რომლებშიც განმეორება მაკვალიფიცირებელ გარემოებადაა გათვალისწინებული, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა პირი მსჯავრდებული პირველი დანაშაულისათვის. რაც შეეხება იმ დანაშაულთა მარტივ შემადგენლობებს, სადაც განმეორება კონსტრუქციულ ელემენტადაა გათვალისწინებული, აქ ორი ქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება დანაშაულად, თუ ისინი სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე იქნა განსორციელებული. ზოგიერთ შემთხვევაში განსაზღვრულ დანაშაულთა სპეციფიკის გამო კანონმდებელი აფართოებს სპეციალური განმეორების ცნებას და დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს განსაზღვრული ქმედობის სისტემატურად ან არაერთგვის ჩადენას.

თუ დანაშაულის შემადგენლობაში არც კონსტრუქციული და არც მაკვალიფიცირებელი გარემოების სახით გათვალისწინებული არ არის სპეციალური განმეორება, მაშინ ამ უკანასკნელის მნიშვნელობა გამოვლინდება სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს. ასეთ შემთხვევაში საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის შეაბამისად სპეციალური განმეორება განიხილება როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და სასჯელი/განსაზღვრული უნდა იქნას სათანადო მუხლის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში.

დანაშაულთა ერთობლიობას და სპეციალურ განმეორებას განასხვავებს ის, რომ პირველი გულისხმობს ორი ან მეტი, სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას. ამასთან, ორთავე შემთხვევაში ყველა დანაშაული ერთ-ერთ მათგანზე განაჩენის გამოტანამდე უნდა იყოს ჩადენილი.

განმეორების შემდგომი სახეებია: არაერთგვაროვანი, ერთგვაროვანი, სპეციალური და განსაკუთრებით საშიში რეციდივი. თავდაპირველად შევეხეთ საკითხს საერთოდ რეციდივის შესახებ.

<sup>9</sup> რეციდივის პრობლემა საკითხების ძალიან ფართო წრეს მოიცავს. ამ პრობლემას ჩვენ იმდენად ვეხებით, რამდენადაც ეს აუცილებელია რეციდივისა და დანაშაულთა ერთობლიობის გამიჯვნისათვის.

რეციდივის სპეკულირება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში გამოხატავს არა უბრალოდ რაიმე ფაქტის, მოვლენის განმეორებას, არამედ მის ისეთ განმეორებას, როდესაც წინა მოვლენა, ჯერ ერთი, ფიქსირებული იყო განსაზღვრული სახით, მეორე, მიღებული იყო მისი თავიდან აცილებისაკენ მიმართული ზომები და შესაძლევად მიუსვდა ამისა. მოვლენა მაინც განმეორდა<sup>10</sup>.

(რეციდივი, როგორც წესი, უფრო დიდი საზოგადოებრივი და შიშროების ძაღვარებელია. ვიღოვ იმეგლოთაჲ, არაერთგვაროვნად ან ერთგვაროვანი განმეორება, დანაშაულთა ერთობლიობა და ს. ვ. რეციდივის განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ პირი, რომელიც დანაშაულის გზას დაადგა, ჯიუტად გაუბრბა პატიოსან შრომას, ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, აბამს თავის დანაშაულებრავ საქმიანობაში ახალ პირებს, ვანსაკუთრებით ასაღვაზრდებს.

სისხლის სამართლის დოქტრინაში სხვადასხვა შეხედულება იყო გამოთქმული რეციდივის ბუნების და კერძოდ, მისი მოცულობის შესახებ. ერთნი რეციდივად ცნობდნენ მხოლოდ წინა დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენას იმ მოსაზრებით, რომ სწორედ სასჯელის მოხდის შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ მისი ზეგავლენის ეფექტურობაზე. ასე მაგალითად, პროფ. ს. პოზნიშევი აღნიშნავდა, რომ ქმედობის ერთგვაროვნობა სასჯელის მოხდასთან ერთად თვალნათლივ მეტყველებს ნების განსაკუთრებულ სიჭიუტესა და ენერჯიზუხშირად სასჯელის ზომის არასაკმარისობაზე. ამის გამო იგი შეუძლებლად თვლიდა ერთ გჯუფად გაეერთიანებინათ ის შემთხვევა, როდესაც დამნაშავე მხოლოდ მსჯავრდებულია ქმედობისათვის და ის შემთხვევა, როდესაც მან უკვე მოიხადა სასჯელი. სასჯელის მოხდის ფაქტს მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ იგი შეიძლება საფუძველს წარმოადგენდეს დასკვნისათვის: მოცემული პირის მხრივ განმეორების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სერიოზულად შეიცვალოს სადამსჯელო ღონისძიების ხასიათი<sup>11</sup>. ავტორთა მეორე ნაწილი რეციდივის საწყის მომენტად თვლიდნენ მსჯავრდების, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მომენტს. მათი აზრით, პირველი

10 იხ. А. М. Яковлев, Сополупность преступлений по советскому уголовному праву, Госюриздат., М., 1960; стр. 37—38.

11 იხ. С. В. Познышев, Основные начала науки уголовного права. Общая часть уголовного права, М., 1912, стр. 630—631.



დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ მეორე დაანაშაულის ჩადენა უკვე ქმნის საფუძველს პირის რეციდივისტად ცნობისათვის<sup>12</sup>.

საბჭოთა კრიმინალისტების ერთი ნაწილი პრინციპულად უარყოფდა ჩვენში რეციდივისტ-დამნაშავეთა არსებობას. ამის შედეგად სისხლის სამართლის ლიტერატურასა და უპირველეს ყოვლისათვის სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებში მთლიანად უარყოფილი იყო რეციდივის ცნება. ეს იმას იწვევდა, რომ შრომა-გასწორების დაწესებულებებში დამნაშავე-რეციდივისტები და პირველად მსჯავრდებული დამნაშავეები ძალიან ხშირად ერთად იხდიდნენ სასჯელს. ეს გარემოება მეტად ართულებდა მსჯავრდებულთა გამოსწორებას და აღზრდას, ხელს უწყობდა რეციდივისტების ზეგავლენას პირველად მსჯავრდებულ დამნაშავეებზე.

(საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რეციდივის ცნება უშუალოდ განსაზღვრული არაა. რსფსრ 1922 წ. სს კოდექსის 24-ე მუხლის „ე“ პუნქტი, რომელიც სასჯელის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად თვლიდა დანაშაულის ჩადენას პროფესიონალი დამნაშავის ან რეციდივისტის მიერ, არ შეიცავდა რეციდივის ცნების განსაზღვრას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლების ახსნა-განმარტებით შეიძლება დავასკვნათ, რომ რეციდივად ცნობილი იყო იმავე ერთგვაროვანი დანაშაულის განმეორებით ჩადენა პირველი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მოხდის შემდეგ<sup>13</sup>.)

თუ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეციდივისტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანებიდან გამოვალთ, მაშინ ვფიქრობთ, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ წინა დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის და არა სასჯელის მოხდის მომენტს. მთავარია არა სასჯელის მოხდა, არამედ გაკიცხვა. უარყოფითი შეფასება, რასაც სასამართლო აძლევს დამნაშავეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ის პირი, რომელიც ახალი დანაშაულის ჩადენით უგულებელყოფს ამ გაკიცხვას, უდავოდ რეციდივისტის „რეპუტაციას“ იმსახურებს<sup>14</sup>.

<sup>12</sup> იხ. Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право. Общая часть. Петроград, 1915, стр. 375.

<sup>13</sup> იხ. Уголовный кодекс. Практический комментарий, под ред. М. Н. Гернета и А. Н. Трайнина, Издательство «Право и жизнь», М., 1925, стр. 75.

<sup>14</sup> ეს მოსაზრება იმითაც დასტურდება, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის განსაზღვრისას სს კოდექსის 44-ე მუხლში ლაპარაკია პირის წინა დანაშაულისათვის სწორედ მსჯავრდების შესახებ.

ამით კიდევ უფრო მადლდება საბჭოთა პასამართლო განაჩენის. როგორც სოციალისტური სახელმწიფოს სახელით გამოტანილი აქტის, ავტორიტეტი, ძალა და მნიშვნელობა. ამასთან მხედველობაშია მისაღები ერთი მომენტი: უმეტეს წილად დამნაშავე შედარებით უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს მაშინ, როდესაც იგი მეორე დანაშაულს სასჯელის მოხდის შემდეგ ჩაიდენს; ვიდრე მაშინ, როდესაც იგი იმავე დანაშაულს განაჩენის გამოტანის შემდეგ ჩაიდენს. ეს იმით აიხსნება, რომ პირველ შემთხვევაში თვით სასჯელის მოხდამაც სათანადო მოტივაციური ზემოქმედება ვერ მოახდინა მოცემულ პირზე.

ყოველგვარი დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდება როდო იძლევა საფუძველს პირის რეციდივისტად ცნობისათვის. ასე მაგალითად, თუ პირი თავდაპირველად მსჯავრდებული იქნა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის, ხოლო ამ დანაშაულისათვის სასჯელის მოხდის შემდეგ სასამართლომ იგი დამნაშავედ სცნო უკანონო ნადირობისათვის, აქ ფორმალურად არსებობს მეორე დანაშაული და მეორე ნასამართლობა. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ სასამართლომ ამ მეორე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას პირის პირველი ნასამართლობა შეუძლებელია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალოს. მოკლედ რომ ვთქვათ, პირის რეციდივისტად ცნობისას სასამართლომ გულდასმით უნდა შეათასოს ჩადენილ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, სამართალში მიცემულის პიროვნება და საქმის გარემოებები. თუ ასეთი შეფასების შემდეგ სასამართლო წინანდელ ნასამართლობას ახალი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს, მაშინ პირი რეციდივისტად უნდა იქნას ცნობილი.

ჩადენილ დანაშაულთა ხასიათის მიხედვით როგორც არაერთგვაროვანი, ისე ერთგვაროვანი რეციდივი არაფრით არ განსხვავდება არაერთგვაროვანი და ერთგვაროვანი განმეორებისაგან. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში საჭიროა, რათა ერთი დანაშაული მეორესაგან მსჯავრდების მომენტით იყოს გათიშული, ასე მაგალითად, სს კოდექსის 91-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე, თუ პირი მსჯავრდებული იქნა დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე სახელმწიფო ქონების მოპარვისათვის. ხოლო შემდეგ ბანდიტიზმისათვის, აქ უნდა ვცნოთ არა ერთგვაროვანი განმეორება, არამედ ერთგვაროვანი რეციდივი. მოცემულ შემთხვევაში პირი დაისჯება სს კოდექსის იმავე 91-ე მუხლის მე-2

ნაწილით. რომელიც ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად განმეორებას ითვალისწინებს. მაგრამ არ უნდა დაგვეიწყდეს. რომ მისი ძკაცრად დასჯისათვის მოცემულ შემთხვევაში უფრო მეტი საფუძველი არსებობს.

ერთგვაროვანი რეციდივი უფრო მეტ საფუძველს ქმნის პირის ძკაცრად დასჯისათვის. ვიდრე არაერთგვაროვანი რეციდივი, რადგან სწორედ ერთგვაროვან დანაშაულთა ჩადენა აშკარად მოწმობს დამნაშავის განსაკუთრებით დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. მის შევნებაში დანაშაულებრივი მიდრეკილებისა და მოტივების არსებობას.

(სპეციალური განმეორების მსგავსად სპეციალური რეციდივიც ერთისა და იმავე დანაშაულის განმეორებით ჩადენას გულისხმობს. ზოგჯერ სპეციალური რეციდივი უშუალოდ არის გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობაში როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება. ასე მაგალითად, სს კოდექსის 137-ე მუხლის მე-2 ნაწილში ცილისწამების ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია ცილისწამება იმ პირის მიერ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო ცილისწამებისათვის<sup>15</sup>. ცილისწამების შემთხვევაში. თუ პირი წინა ცილისწამებისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, მაშინ მის მოქმედებაში გვექნება არა სპეციალური რეციდივი, არამედ სპეციალური განმეორება. ასეთ შემთხვევაში პირი დაიჭება 131-ე მუხლის 1 ნაწილით. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნისას სასამართლოს შეუძლია წინანდელი ცილისწამების ფაქტი საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალოს. მოტანილი მაგალითის საფუძველზე შეიძლება ასეთი, ზოგადი დასკვნა გავაკეთოთ: იმ შემადგენლობებში, სადაც დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია განმეორება. იგულისხმება როგორც სპეციალური განმეორება, ისე სპეციალური რეციდივი. იმ შემადგენლობებში. რომლებიც დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებენ წინა დანაშაულისათვის მსჯავრდებას, იგულისხმება მხოლოდ სპეციალური რეციდივი. სპეციალური განმეორება ამ მეორე შემთხვევაში საფუძვლების 34-ე მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე შეიძლება გათვალისწინებული იქნას როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

<sup>15</sup> სპეციალური რეციდივი უშუალოდ არის გათვალისწინებული აგრეთვე სს კოდექსის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილში (მყიდველთა შოტყუება), 190-ე მუხლის მე-2 ნაწილში (ქრთამის მიცემა), 228-ე მუხლის მე-2 ნაწილში (ხულიგნობა) და. ა. შ.

განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნება განსაზღვრულია სს კოდექსის 44-ე მუხლში. ამ მუხლში დანაშაულის მატერიალური ნიშნის — საზოგადოებრივი საშიშროებას ხარისხის მიხედვით დიფერენცირებულია ის დანაშაულობანი. რომელთა ჩადენა ქმნის საფუძველს განსაკუთრებით საშიში რეციდივისათვის. კერძოდ. 44-ე მუხლის პირველი ნაწილის 1 პუნქტის მიხედვით განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლოს განაჩენით შეიძლება ცნობილი იქნას პირი, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-73 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78). ყალბი ფულის ან ფასიანი ქალაქების გასაღების მიზნით დამზადების ან გასაღებისათვის (მუხლი 88). საჯალღუტო-თპერაცეების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გატაცებისათვის (96 მუხლის მე-3 ნაწილი, 92-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 93-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი, მუხლი 96), ყაჩაღობისათვის (96. კრი მუხლები), განზრახ მკვლევლობისათვის (104, 105 მუხლები, 258 მუხლის „გ“ პუნქტი), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110), გაუპატიურებისათვის (მუხლი 117). ქრთამის აღებისათვის, მექრთამეობაში შეამავლობისა და ქრთამის მიცემისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მე-2 ნაწილი, 189 მუხლის მე-2 ნაწილი, 190-ე მუხლის მეორე ნაწილი), მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი 209) და რომელმაც კვლავ ჩაიდინა რომელიმე ზემოთ დასახელებული დანაშაული, იმისდა მიუხედავად, თუ ამ დანაშაულთან გან რომლისთვის იყო ეს პირი მსჯავრდებული პირველად.

44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილია ისეთი დანაშაულობანი, რომლებიც 1 პუნქტში გათვალისწინებულ დანაშაულობებთან შედარებით ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდებიან. აქ ნათქვამია, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლოს განაჩენით შეიძლება ცნობილი იქნას პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო ~~საშიში~~ რ. რომელიც გინდა თანმიმდევრობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის ქურდობით (მუხლი 91). გაძარცვით (მუხლი 92) და თაღლითობით (მუხლი 93), აგრეთვე პირადი საკუთრების გატაცებისათვის ქურდობით (მუხლი 150), გაძარცვით (მუხლი 151), თაღლითობით (მუხლი 153), სპეკულაციისათვის (მუხლი 165). წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენის ან

განსაღებისათვის, რომელიც ჩადენილია სელობის სახით ან დიდი ოდენობით (229 მუხლის მე-2 ნაწილი). ბოროტი ხელიგნობისათვის (228 მუხლის მე-2 ნაწილი), ან მსჯავრდებული იყო ორჯერ მაინც რომელიმე ან დანაშაულისათვის და ერთჯერ იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩამოთვლილია ამ მუხლის პირველი ნაწილია პირველ პუნქტში, და ამის შემდეგ მან კვლავ ჩაიდინა რომელ შე ამ დანაშაულთაგანი, რომელიც დასახელებულია ამ მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში.

[44-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად სასამართლომ შეიძლება ცნოს პირი, რომელიც, ისდის რა სასჯელს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ჩაიდენს მძიმე დანაშაულს, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილში. თუ ამისათვის მსჯავრდებული იყო თავისუფლების აღკვეთით არა ნაკლებ ხუთი წლისა ან ჩაიდენს განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულს.

ამრიგად, 44-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულობანი მეტნაკლებად საფუძველს ქმნიან განსაკუთრებით საშიში რეციდივისათვის იმის მიხედვით, თუ ვერ ერთი, როგორია მათი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი და მეორე, რამდენჯერ მოხდა მათი ჩადენა; ერთ შემთხვევაში საცმარისია განსაზღვრული დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ მეორე დანაშაულის ჩადენა, სხვა შემთხვევებში კი — შესაბამის დანაშაულთა ორჯერ ან სამჯერ ჩადენა.]

განსაკუთრებით საშიში რეციდივი მოიცავს როგორც ერთსა და მეორეს და ერთგვაროვან დანაშაულობებს, ისე არაერთგვაროვან დანაშაულობებს. მართლაც, განზრახი მკვლელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ერთგვაროვანი დანაშაულობებია, მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას ისეთ დანაშაულთა შესახებ, როგორიცაა. მაგალითად, გაუპატიურება და დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება.

განსაკუთრებით საშიში რეციდივის ცნებაში ერთგვაროვან დანაშაულთა გარდა არაერთგვაროვან დანაშაულთა შეტანა შემთხვევითი არაა; სასამართლო პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი დამნაშავე მყარ ანტისაზოგადოებრივ მიდრეკილებას იჩენს ისეთ დანაშაულთა ჩადენისაკენ, რომლებიც შეიძლება იურიდიულად არაერთგვაროვანი იყოს, მაგრამ დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება. ასეთებია, მაგალითად, განზრახი მკვლელობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება. ბანდო-

ტიზმი, ყაჩაღობა და სხვა. ასეთ დანაშაულთა ჩადენა. განსაკუთრებით ერთ-ერთისათვის დანიშნული სასჯელის მოხდის დროს ან მოხდის შემდეგ, დამოუკიდებელივ მათი შეხამებისა, ჩვეულებრივ ანა-სიათებს დამნაშავეს როგორც სპეციფიკური საშიშროების მატარებელს საზოგადოებრივი წესრიგისათვის<sup>16</sup>.

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მკაცრად დასჯას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თვით დამნაშავეს პიროვნების დიდი საზოგადოებრივი საშიშროება. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს ჩადენილ დანაშაულთა, დამნაშავეს საზოგადოებრივი საშიშროებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე არ სცნოს სუბიექტი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. ცნობიერება ყლველგვარ რთულ განსაზღვრებებზე რთულია და ასეთი უადრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას უკანასკნელი სიტყვა უნდა ეკუთვნოდეს სასამართლოს, რომელიც სწავლობს და აფასებს საქმის ყველა გარემოებას.

გარდა ამისა, 44-ე მუხლით დაწესებულია, რომ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისათვის საფუძველად არ შეიძლება ჩაითვალოს ნასამართლობა იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე, ან ნასამართლობა, რომელიც მოხსნილია ან დაფარულია კანონით დადგეხილი წესით.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ყველაზე მეტად შეესაბამება პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციისა და პუმანიზმის პრინციპს<sup>17</sup>.

სუბიექტის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობა, განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, კერძოდ ეს არსებით გავლენას ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე, სასჯელის დანიშვნისა და მისი მოხდის წესისა და პირობების განსაზღვრაზე.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთ მუხლში განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ დანაშაულის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. ასეთი დანაშაულისათვის კანონმდებელი მკაცრ სასჯელს აწესებს. თუნდაც

16 იხ. Б. С. Никитиоров, Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Доклад на научной сессии ВЮОН («Важный этап в развитии советского права». Труды научной сессии, М., 1960, стр. 41).

17 იხ. Б. С. Никитиоров, Новый уголовный кодекс РСФСР — важный этап в развитии советского уголовного права («Социалистическая законность», 1960, № 12, стр. 11).

მუხლში ცალკე დამამძიმებელ გარემოებად პირდაპირ არ იქნა მოყოფილი დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, სასამართლო ასეთ პირს სათანადო სანქციის ფარგლებში დაუნიშნავს არა მარტო მკაცრ სასჯელს, არამედ ამასთან თავისუფლების აღკვეთის უფრო მკაცრ სახესა და რეჟიმს.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს იმ შემთხვევებში, რომლებიც ვათვალისწინებულება კანონით, შეიძლება დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე. მას შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება საპყრობილეში მოთავსებით სასჯელის მთელი ვადით ან ნაწილობრივ. შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით თავისუფლების აღკვეთას განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი მოიხდის განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში.

ასეთი დანაშავე არ შეიძლება პირობით-ვადამდე იქნას განთავისუფლებული ანდა შეეცვალოს სასჯელის მოუხდელი ნაწილი უფრო მსუბუქი სასჯელით. გარდა ამისა, სიკვდილით დასჯა შეიძლება შეეფარდოს იმ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილას გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამგზონით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში.

ზემოთ დახასიათებული იქნა არაერთგვაროვანი, ერთგვაროვანი. სპეციალური და განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ნიშნები. ამის შემდეგ სიძნელეს აღარ წარმოადგენს რეციდივისტისა და დანაშაულთა ერთობლიობის გამოჩენა.

დანაშაულთა ერთობლიობისას ყველა მასში შემავალი დანაშაული ერთ-ერთი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანამდე უნდა იყოს ჩადენილი. რეციდივისტის დროს კი იგულისხმება, რომ პირმა მეორე დანაშაული ჩაიდინა წინა დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ. აქ აღარ დგება საკითხი პირის მიერ წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის შესახებ. რეციდივისტის შემთხვევაში სუბიექტს შეიძლება მოხდელი ქონდეს სასჯელი წინა დანაშაულისათვის. სასამართლომ სასჯელი უნდა განსაზღვროს სწორედ ამ უკანასკნელად ჩადენილი დანაშაულისათვის.

დანაშაულთა სიმრავლის თავისებურ სახეს წარმოადგენს ხელობის სახით ჩადენილი დანაშაული. კანონი არ იძლევა ხელობის ცნების განსაზღვრას, იგი მაქ ცნობილად თვლის. ხელობისათვის სისხლის სამართალში დამახასიათებელია ის, რომ იგი წარმოადგენს პირის ისეთ ძირითად ან დამხმარე საქმიანობას, რომელსაც მისთვის

განსაზღვრული შემოსავალი შემოაქვს. მტკლედ რომ მოვკრათ. ხელობის სახით ჩადენილი დანაშაული უნდა წარმოადგენდეს ბრალდებულის არსებობის ერთ-ერთ წყაროს.

ხელობა, როგორც წესი. გულისხმობს განსაზღვრული დანაშაულის სისტემატურად ჩადენას. ამ ნიშნით იგი უახლოვდება განმეორებას, მაგრამ ამ უკანააქნელისაგან განსხვავდება ანგარებითი ხასიათით. გარდა ამისა. ხელობის სახით ჩადენილი დანაშაული სასჯელის შეფარდების დროს ერთიან დანაშაულად განიხილება.

ხელობისა და დანაშაულთა ერთობლიობის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი თავისი სპეციფიკური, ანგარებითი ხასიათის გამო განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობაში გათვალისწინებულია როგორც ძირითადი (ყალბი სამგზავრო დოკუმენტების გაკეთება ხელობის სახით — სს კოდექსის 170-ე მუხლი) ან როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება (აშკარად დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება ხელობის სახით — სს კოდექსის 229-ე მუხლის მე-2 ნაწილი). პირიქით. დანაშაულთა ერთობლიობა ყოველთვის სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას გულისხმობს. რა თქმა უნდა. ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაული ხელობის სახით იყოს ჩადენილი.

## § 2. დანაშაულთა ერთობლიობის ცნება

დანაშაულთა სიმრავლის სხვა სახეებისადმი დანაშაულთა ერთობლიობის მიმართების გარკვევის შემდეგ დგება საკითხი თვით ამ უკანასკნელის ნიშანდობლივი თვისებების განსაზღვრის შესახებ.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულთა ერთობლიობის (ქნების თავისებურ განსაზღვრას იძლევა ა. იაკოვლევი. „...თუ პირმა, -- წერს იგი, — ერთგვაროვანი დანაშაულობანი ჩაიდინა, სახეზეა განმეორება, ხოლო თუ არაერთგვაროვანი — დანაშაულთა ერთობლიობა (იმ პირობით, თუ ყველა ეს დანაშაული ჩადენილია ერთ-ერთ მათგანზე განაჩენის გამოტანამდე)“<sup>18</sup>. ა. იაკოვლევის შეხედულებით, ერთგვაროვნად ისეთი დანაშაულობანი უნდა

<sup>18</sup> А. М. Яковлев, Совокупность преступлений по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1960, стр. 47.

ასეთივე განსაზღვრას იძლევა ნ. სტრუჩკოვი (იხ. А. Я. Стручков, Назначение наказания при совокупности преступлений, Госюриздат, М., 1957, стр. 15).



ჩავთვალთ, რომლებიც სს კოდექსის ერთი და იმავე მუხლით არი: გათვალისწინებული<sup>19</sup>. ა. იაკოვლევის მიხედვით. განმეორება გჯ ლისხმობს სისხლის სამართლის კანონის ერთსა და იმავე მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენას. ხოლო დანაშაულთა ერთობლიობა — მხოლოდ სისხლის სამართლის კანონის სხვა და სხვა მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენას.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ გავგვრკვია დანაშაულთა ერთგვაროვნების ცნება. იქ იმ დასკვნამდე მივედი, რომ დანაშაულთა ერთგვაროვნება არ გულისხმობს ერთსა და იმავე დანაშაულობებს. გარდა ამისა, ამჯერად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე.

საზოგადოდ აღიარებულია, რომ „სამართლის სისტემის სწორ აგება მოითხოვს, რათა ერთსა და იმავე ტერმინს და ერთსა და იმავე სიტყვას ყოველ საკანონმდებლო აქტში ერთნაირი მნიშვნელობა ქონდეს“<sup>20</sup>. მიუხედავად ამისა, ა. იაკოვლევი პირდაპირ აღნიშნავს, რომ დანაშაულთა ერთგვაროვნებისა და არაერთგვაროვნების ცნებები სხვადასხვანაირად უნდა იქნას ვაგებული სისხლის სამართლის სხვადასხვა ინსტიტუტების განსაზღვრისას. ასეთი მოსაზრება ძირშივე მცდარია.

სინამდვილეში ერთგვაროვნების ცნება, რომლის განსაზღვრა შეიცავს ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული სარკავშირის უმაღლესი სამართლის პლენუმის 1962 წ. 3 დეკემბრის დადგენილება, გამოყენებული უნდა იქნას როგორც პირობითი მსჯავრის გაუქმებისას, ისე დანაშაულთა ერთობლიობის და სხვა შესაფერის შემთხვევებში ამ დადგენილებამ კი, როგორც აღინიშნა, ერთგვაროვნად სცნო არსს კოდექსის ერთი და იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულობანი, არამედ ისეთი დანაშაულობანი, როგორცაა, ვთქვათ, ყაჩაღობა და ხულიგნობა, ე. ი. დანაშაულობანი, რომლებიც სს კოდექსის სხვადასხვა მუხლშია გათვალისწინებული.

ამრიგად, თუ პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი გდაის განმავლობაში ახალი დანაშაულის ჩადენისას ყაჩაღობა და ხულიგნობა ერთგვაროვან დანაშაულობებად ითვლება. ასეთი დანაშაულობანი, მიუხედავად მათი ერთგვაროვნობისა, შექმნიან დანაშაულთა ერთობლიობას. დანაშაულთა ერთობლიობად მხოლოდ არ

<sup>19</sup> იხ. А. М. Яковлев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 30.

<sup>20</sup> М. Ш. Шаргородский, *Уголовный закон*, Юридизат, М., 1945, стр. 107.

თვეაროვან დანაშაულთა ცნობას შეუძლია არევე-დარევა შეიტა-  
ს სასამართლო პრაქტიკაში. გამოვიდოდა ისე, რომ ერთგვაროვ-  
ნობა პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის განმავ-  
რებაში ახალი ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში  
ეთი აზრით უნდა ყოფილიყო გაგებული, ხოლო დანაშაულთა ერ-  
ობლიობისას კი — სხვა აზრით.

ა. იაკოვლევა ერთგვაროვნობის ნიშნის საფუძველზე არასწო-  
დ დაუპირისპირა დანაშაულის განმეორება და დანაშაულთა ერ-  
ობლიობა. საქმე ისაა, რომ ერთდროულად ორმა ერთგვაროვნობა  
განაშაულმა შეიძლება მოგვეცეს როგორც სს კოდექსის განსაკუთ-  
რებული ნაწილის მუხლით გათვალისწინებული განმეორება, ისე  
დანაშაულთა ერთობლიობა. ასე მაგალითად, სს კოდექსის 91-ე  
მუხლის შენიშვნის შესაბამისად სახელმწიფო ქონების გატაცება  
ქურდობით იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ბანდიტური თავდას-  
ხმა ჩაუდენია, განიხილება განმეორების ნიშნის მიხედვით, როგორც  
ქურდობის დამამძიმებელი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ მო-  
კემულ შემთხვევაში საქმე გვექნება ქურდობის განმეორებასთან.

სამართლომ ცალკე უნდა დააკვალიფიციროს პირის მიერ ჩადენი-  
ლი ბანდიტური თავდასხმა. ამრიგად, მოკემულ შემთხვევაში ერთ-  
დროულად არსებობს როგორც განმეორება, ისე ერთობლიობა.  
ა. იაკოვლევის განსაზღვრის საფუძველზე აქ უნდა გვეცნო მხოლოდ  
დანაშაულთა ერთობლიობა, რადგანაც ეს ორი დანაშაული სს კო-  
დექსის განსაკუთრებული ნაწილის სხვადასხვა მუხლებშია გათვა-  
ლისწინებული.

შემოთქმული, ეკიქრობთ, ნათელს ფენს იმ გარემოებას, რომ  
ზირი ან მეტი დანაშაულის ჩადენა მათი ერთგვაროვნობის შემთხვე-  
ვაშიც არ გამორიცხავს დანაშაულთა ერთობლიობას. ჩვენი ფიქრით.  
დანაშაულთა ერთობლიობა მოიცავს არა მხოლოდ ორ ან მეტ  
დასჯადს და სხვა გვაროვან დანაშაულს. არამედ ორ ან მეტ  
ერთგვაროვან დანაშაულსაც იმ აუცილებელი პირობით. თუ  
წინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ შემადგენლობებშია გათვა-  
ლისწინებული.

დანაშაულთა ერთობლიობას ახასიათებს: 1) ორი ან მეტი სხვა-  
სხვა დანაშაულის ჩადენა, 2) ერთ-ერთის მიმართ განაჩენის გა-  
რტანამდე. ცალკე უნდა შევჩერდეთ დანაშაულის ერთობლიობის  
თვის დამახასიათებელ ამ მეორე ნიშანზე.

განაჩენის გამოტანის მომენტის მიხედვით განაჩენს ვაგებენ დანა-  
შაულთა ერთობლიობის ორ შემთხვევას: 1) როდესაც ბრალდებუ-

ლი ჩაიდენს რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულს ისე, რომ არცერთ დანაშაულის მიმართ განაჩენი არ ყოფილა გამოტანილი და სასამართლოს ერთდროულად გამოაქვს განაჩენი ყველა დანაშაულსათვის და 2) როდესაც ერთ-ერთი დანაშაულის მიმართ განაჩენი გამოტანის შემდეგ დადგენილ იქნება, რომ მსჯავრდებულს ბრალმოუძღვის კიდევ სხვა დანაშაულში, რომელიც მას პირველი განაჩენის გამოტანამდე ჩაუდენია (ე. წ. განაჩენთა ერთობლიობა).

დანაშაულთა ერთობლიობის ამ ორ სახეს შორის არ არსებობს რაიმე პრინციპული განსხვავება: როგორც პირველის (როდესაც არცერთი დანაშაულის მიმართ განაჩენი გამოტანილი არ არის და სასამართლოს ერთდროულად გამოაქვს განაჩენი), ისე მეორის (განაჩენთა ერთობლიობა) არსი, იურიდიული ბუნება ერთი და იგივეა: ყველა დანაშაული ჩადენილი უნდა იყოს პირველი განაჩენის გამოტანამდე. განაჩენთა ერთობლიობისას რამდენიმე დანაშაულის შესახებ საქმეთა სხვადასხვა დროს განხილვა შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოვლინდა სხვა დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ ან სტვა დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდისას, ან თვით სასჯელის მოხდის შემდეგ. გარდა ამისა, შესაძლებელია სასამართლოსათვის ცნობილი იყოს, რომ პირმა ორი დანაშაული ჩაიდინა. მაგრამ განაჩენი მხოლოდ ერთი დანაშაულისათვის გამოიტანოს. მაგალითად, თუ კერძო ბრალდების საქმეზე დაზარალებულს საჩივარი არ აღუძრავს.

ყველა ზემოჩამოთვლილი შემთხვევა მაინც დანაშაულთა ერთობლიობად უნდა ვცნოთ, „ვინაიდან ბრალდებულის მიერ ჩადენილი ერთ-ერთი დანაშაულებრივი ქმედობის არადროულად გახსნა შეიძლება დამოკიდებული იყოს სულ სხვადასხვა, შემთხვევითი მიზეზებისაგან, რომლებმაც რაიმე ზეგავლენა არ უნდა იქონიონ ბრალეულობასა და დასჯადობაზე“<sup>21</sup>.

ამრიგად, პრობლემის არსი იმაში კი არაა, თუ როდის იქნა გამოტანილი განაჩენი, არამედ იმაში, თუ როდის იქნა ჩადენილი დანაშაული<sup>22</sup>.


21 Н. С. Таганцев, Русское уголовное право. Лекции. Часть общая, т. II. С.-Петербург, 1902. стр. 1941.

22 А. Яковлев, Применение принципов сложения и поглощения наказания в судебной практике («Социалистическая законность», 1956, № 11, стр. 277).


მაშასადამე, დანაშაულთა ერთობლიობა არსებობს იმისდა დამოუკიდებლად, ერთდროულად განიხილავს სასამართლო ყველა საქმეს მასში შემავალ დანაშაულთა შესახებ. თუ იგი განიხილავს საქმეს ჯერ ერთი დანაშაულის შესახებ. ხოლო შემდეგ სხვა დანაშაულთა შესახებ. მთავარია, რომ ერთობლიობაში შემავალი ყველა დანაშაული ჩადენილი იყოს პირველი განაჩენის გამოტანამდე. ის ფაქტი, რომ განსახილველ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობას თან ერთვის გარემოებები, რომლებიც ართულდებიან მისი იურიდიულ ბუნებას, არცვლის მის არსს.

ქმედობათა რიცხვის მიხედვით განასხვავებენ დანაშაულთა ერთობლიობის ორ სახეს: იდეალურსა და რეალურს. ამ სახეების შესახებ ჩვენი ქვემოთ სპეციალურად გვექნება საუბარი. ამის გამო ამჯერად დავკმაყოფილდებით მათი მოკლე განსაზღვრებებით. ეს გავვიადვილებს დანაშაულთა ერთობლიობის, როგორც გვაროვნული ცნების, განსაზღვრის შესაძლებლობას.

იდეალური (ფორმალური, აზრობრივი, ლოგიკური) ერთობლიობა გულისხმობს ერთი მოქმედების საშუალებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას. გრაფიკულად დანაშაულთა ~~რეალური~~ ერთობლიობა შეიძლება გამოვხატოთ სამკუთხედის ფორმით:



რეალური ერთობლიობა მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბრალდებული რამდენიმე მოქმედების საშუალებით რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს. გრაფიკულად დანაშაულთა რეალური ერთობლიობა შეიძლება გამოვხატოთ კვადრატის სახით:



თუ პირმა ორი სხვადასხვა დანაშაული ჩაიდანა და ამასთან განაჩენის გამოტანის დროისათვის ერთ-ერთი ამ დანაშაულის მიმართ განვლო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადამ ან თუ ანხისტია იქნა გავრცელებული, მაშინ დანაშაულთა ერთობლიობა აღარ გვექნება. მაშასადამე, დანაშაულთა ერთობლიობისათვის აუცილებელია. რომ პირი მსჯავრდებული იქნას სულ მცირე ორი დანაშაულისათვის.

ჩამრიგად, დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს სუბიექტის მიერ პირველი განაჩენის გამოტანამდე ერთიან რამდენიმე მოქმედებით ორი ან მეტი, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას. უკეთეს იგი მსჯავრდებული უნდა იქნას სულ მცირე ორი დანაშაულისათვის.

დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი შეიძლება ჩადენილი იქნას როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით, როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. ამასთან. შესაძლებელია ერთი დანაშაული დამთავრებული იყოს, ხოლო მეორე მომზადებასა ან მცდელობაში გამოიხატოს.

დანაშაულთა ერთობლიობის ცნების ამჟამად მოქმედი საქანონმდებლო ფორმულა მოცულია 1958 წ. საფუძვლების 35-ე მუხლში. ამ მუხლის მიხედვით. დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს პირის მიერ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლითაა გათვალისწინებული და რომელთაგან არც ერთისათვის იგი მსჯავრდებული არ ყოფილა. საფუძვლები არ განაახვავებენ ერთმანეთისაგან დანაშაულთა იდეალურ და რეალურ ერთობლიობას. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი სასჯელის დანიშვნის ერთიან წესს ითვალისწინებს<sup>23</sup>. ეს უდავოდ მართებულია, რადგან როგორც იდეალური, ისე რეალური ერთ-

<sup>23</sup> სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ დანაშაულთა ერთობლიობის სახეების განსაზღვრას. ასე მაგალითად, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სს კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით რეალურ ერთობლიობად იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც პირი ჩაიდენს რამდენიმე დანაშაულს ერთი ქმედობის, რომლებიც კვალიფიკირდებიან როგორც დანაშაულობანი და გადაცდომები, მანამ, სანამ, იგი მსჯავრდებული იქნებოდეს ერთისათვის. ამ კოდექსის 103-ე მუხლში იდეალურ ერთობლიობად გაგებულია ერთი და იმავე მოქმედებით სისხლის სამართლის კანონის რამდენიმე მუხლის დარღვევა.

თობლიობა რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს<sup>21</sup>. ამით კანონმდებელმა კიდევ უფრო აამაღლა დანაშაულის შემადგენლობის, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის აუცილებელი საფუძვლის, მნიშვნელობა; ქმედობა მხოლოდ მაშინ ღებულობს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას, თუ იგი განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის შემცველია.

საფუძვლების 35-ე მუხლში გათვალისწინებული დადგენილება დანაშაულთა ერთობლიობის შესახებ, ჩვენი აზრით, რედაქციულ უზუსტობას შეიცავს. ამან შეიძლება ისეთი დასკვნები გაგვაკეთებინოს, რაც საკავშირო კანონმდებლის ნამდვილი ნების საწინააღმდეგო იქნებოდა.

საფუძვლების 35-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულთა ერთობლიობა არსებობს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი დანაშაული სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლებშია გათვალისწინებული; ამ მუხლის სიტყვა-სიტყვითი ახსნაგანმარტებით გამოდის, რომ დანაშაულთა ერთობლიობა გამორიცხულია ისეთ შემთხვევებში, თუ ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაული გათვალისწინებულია 1) სისხლის სამართლის კანონის ერთი და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილში და 2) სისხლის სამართლის კანონის ერთი და იმავე მუხლის ერთი და იმავე ნაწილში. განვიხილოთ პირველი შემთხვევა.

საქართველოს სსრ 1960 წ. სს კოდექსის მე-40 მუხლში საფუძვლების 35-ე მუხლში დაშვებული არასიზუსტე ნაწილობრივ გასწორებულია; მე-40 მუხლის მიხედვით, დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი ცნობილია დამნაშავედ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლშია გათვალისწინებული, არამედ ისეთი შემთხვევაც, როდესაც პირი ცნობილია დამნაშავედ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც სისხლის სამართლის კანონის ერთი და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილშია გათვალისწინებული.

ვ. კუდრიავეცევს არასწორად მიაჩნია საფუძვლების 35-ე მუხლის რედაქციის ასეთი დაზუსტება. იგი წერს: „უმრავლეს შემთხვევაში ერთი დანაშაულის შემადგენლობა გათვალისწინებულია სხვადასხვა ნაწილში ან პუნქტში, რომლებიც ერთმანეთისაგან განირჩე-

<sup>21</sup> ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-2 თავის მე-3 და მე-4 პარაგრაფები.

ვიან მხოლოდ სხვადასხვა დამამძიმებელი გარემოებებით (მაგალითად, ასეთებია რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის პუნქტები — განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში). ასეთ ქმედობათა ერთობლიობით კვალიფიკაციისათვის საფუძველი არ არსებობს. საერთოდ იგი ფიქრობს, რომ მე-40 მუხლის სიტყვა-სიტყვით გამოყენება არასწორ დასკვნებს გაგვაცემდინებს<sup>25</sup>.

ჩვენი ფიქრით, ეს მოსაზრებები მიუღებელია. ჯერ ერთი, ვ. კუდრიავეცივი არ უარყოფს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის სხვადასხვა ნაწილში გათვალისწინებულია დანაშაულთა სხვადასხვა შემადგენლობები. ამის მაგალითად იგი სამართლიანად მიუთითებს რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლზე, რომლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია კერძო მფარველობითი საქმიანობა, ხოლო მეორე ნაწილში კომერციული შუამავლობა. თუ პირი ორავე ამ დანაშაულს ჩადენს, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას დანაშაულთა ერთობლიობისათვის დადგენილი სასჯელის დანიშვნის წესები<sup>26</sup>. მეორე, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 102-ე მუხლის პუნქტებს არაფერი აქვთ საერთო განაახილველ საკითხთან, რადგან ამ მუხლში ერთი და არა სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობაა გათვალისწინებული. დასასრულ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული წესის „სიტყვა-სიტყვით“ გამოყენება, რასაკვირველია, არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანს — კანონის სიტყვა-სიტყვითი განმარტების გარდა არსებობს ლოგიკური განმარტებაც, რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში აგვაცილებს არასწორ დასკვნებს. მხოლოდ სიტყვა-სიტყვით განმარტება მცდარ დასკვნებამდე მიგვიყვანს საფუძვლების 35-ე მუხლის გამოყენების დროსაც, ასე მაგალითად, სუბიექტის მიერ მკვლელობის მუქარისა და მკვლელობის ჩადენა ერთი და იმავე დაზარალებულის წინააღმდეგ 35-ე მუხლის მიხედვით უნდა გავვები-ლა როგორც დანაშაულთა ერთობლიობა, რადგანაც ეს ორი მოქმედება სხვადასხვა მუხლშია გათვალისწინებული. სინამდვილეში აქ, როგორც მართებულად შენიშნავს ს.ვა ადვილას თვით ვ. კუდრიავეცივი, სუბიექტი პასუხს აგებს მხოლოდ მკვლელობისათვის, რომელიც შთანთქავს მკვლელობის მუქარას<sup>27</sup>.

<sup>25</sup> В. Н. Кудрявцев, Теоретические основы квалификации преступлений, М., Госюриздат, 1963, стр. 314.

<sup>26</sup> იხ. იქვე.

<sup>27</sup> იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

ზოგჯერ სასხლის სამართლის კანონის ერთი ა და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილში გათვალისწინებულია სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობა. ავღოთ. მაგალითად. სს კოდექსის 67-ე მუხლი (ტერორისტული აქტი). ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებულია სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით. ამ მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია იმავე მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. თუ სუბიექტი სხვადასხვა პირის მიმართ ჩაიდენს 67-ე მუხლის როგორც პირველ. ისე მეორე ნაწილში მითითებულ დანაშაულობებს, მაშინ საფუძვლებს 35-ე მუხლში გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესების გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდება, რადგან ტერორისტული აქტი. რაც მკვლელობაში ვამოქმედდა. და ტერორისტული აქტი. რაც სხეულის დაზიანებაში გამოიხატა, გათვალისწინებული არ არის სს კოდექსის ს ს ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ უ ხ ლ შ ი. ანლა წარმოვიდგინოთ. რომ ა-მ დამამძიმებელ გარემოებებში ჩაიდინა განზრახი მკვლელობა (სს კოდექსის 104-ე მუხლი) ბ-ს მიმართ. ხოლო შემდეგ სხეულის განზრახი მძიმე დაზიანება (სს კოდექსის 110-ე მუხლის 1 ნაწილი) მიაყენა გ-ს. აქ კი საფუძვლების 35-ე მუხლის გამოყენება აუცილებელია. რადგან ეს ორი დანაშაული სს კოდექსის ს ს ვ ა დ ა ს ხ ვ ა მ უ ხ ლ შ ი ა გათვალისწინებული.

შეიძლება სხვა მაგალითის მოტანაც. სს კოდექსის 277-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებშია გათვალისწინებული სამი დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა: 1) სამხედრო ხასიათის ცნობების გახმაურება, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ („ა“ პუნქტი); 2) დაკარგვა სამხედრო ხასიათის ცნობების შემცველი დოკუმენტებისა, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ („ბ“ პუნქტი) და 3) ისეთი ცნობების გახმაურება, რომელთა გამოქვეყნება აკრძალულია. მაგრამ რომელნიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენენ („დ“ პუნქტი). ერთი პირის მიერ სამივე ამ დანაშაულის ჩადენისათვის საფუძვლების 35-ე მუხლი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას. ვი-



დაიდან აქაც ეს სამი დანაშაული სს კოდექსის ერთისა და იმავე მუხლის სხვადასხვა ნაწილშია გათვალისწინებული.

ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს სისხლის სამართლის კანონის მუხლის არა მარტო სხვადასხვა, არამედ ერთსა და იმავე ნაწილში. ასეთ შემთხვევებშიც საფუძვლების 35-ე მუხლის გამოყენება შეუძლებელი იქნება. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად მოვიტანოთ მაგალითი: 24-ე მუხლი კანონისა სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ ითვალისწინებს სამი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას: 1) ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას; 2) ხელისუფლების გადამეტებას და 3) სამსახურისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას. ამავე დანაშაულთა შემადგენლობას ცალ-ცალკე მუხლებში ითვალისწინებენ მაგალითად, რსფსრ 1960 წ. სს კოდექსი (170-ე, 171-ე და 172-ე მუხლები) და საქართველოს სსრ 1960 წ. სს კოდექსი (196-ე, 187-ე და 188-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაშიც, ერთი პირის მიერ ისეთ დანაშაულთა ჩადენა, როგორცაა ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, ხელისუფლების გადამეტება და სამსახურისადმი დაუდევარი დამოკიდებულება სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ გამოცემული კანონის 24-ე მუხლის მიხედვით არ შექმნის დანაშაულთა ერთობლიობას. პირიქით, არა სამხედრო პირის მიერ ამ დანაშაულთა ჩადენა დანაშაულთა ერთობლიობად უნდა იქნას ცნობილი ზემოთ დასახელებული მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლების მიხედვით.

ამ საკითხში კანონმდებლის ნამდვილი ნების დადგენისას, ჩვენი ფიქრით, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი მომენტები:

1. დანაშაულთა ერთობლიობასთან დაკავშირებული საკითხები არ მიეკუთვნება იმ ეროვნულ, კულტურულ და სხვ. თავისებურებებს, რომლებიც დააპირობებდნენ ერთისა და იმავე დანაშაულისათვის დასჯელის დანიშვნის სხვადასხვა წესების შემოღებას სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონების მიხედვით.

2. 1958 წ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-5 მუხლის შესაბამისად. სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს ქმედობაში დანაშაულის

შემადგენლობის არარსებობის გამო. ამავე საფუძვლების მე-15 მუხლის შესაბამისად, „წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს უნდა დამტკიცდეს: 2) ბრალდებულის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში“. ასევე, 43-ე მუხლის მე-5 ნაწილი გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ერთ-ერთ პირობად თვლის სამართალში მიცემულის ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობას. ამრიგად, საპროცესო კანონმდებლობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას მოითხოვს ბრალდებულის მოქმედებაში სწორედ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დადგენას.

კანონის ამ მოთხოვნას გარკვეული მნიშვნელობა აქვს განსახილველი საკითხის გადაწყვეტისათვის. კერძოდ, ამ მოთხოვნიდან გამომდინარეობს, რომ თუ სათანადო სამხედრო სამსახური ჯერ ხელისუფლებას ბოროტად გამოიყენებს, ხოლო შემდეგ ხელისუფლებას გადაამეტებს, მაშინ ამ პირის თითოეული ქმედობა საქირთა ცალცალკე იქნას კვალიფიციკრებული, მიუხედავად იმისა, რომ ისანი ერთი და იმავე მუხლშია გათვალისწინებული. ამას უშუალოდ მოითხოვს სასამართლოსაგან საპროცესო კანონმდებლობა.

3. ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკაცრი სასჯელებია დაწესებული რამდენიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა წინააღმდეგ. ამან სხვა მომენტებთან ერთად გამოვლინება პპოვა დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშნის დროს შეჯამების პრინციპის დაწესებაშიც. ამის გამო, ანალოგიურ დანაშაულთა ჩამდენი პირების წინააღმდეგ ბრძოლის შეზღუდვა ცალკეული სისხლის სამართლის კანონების მიხედვით საბჭოთა კანონმდებლის ნამდვილი ნებისა და მიზნის საწინააღმდეგო იქნებოდა.

4. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ საფუძვლების 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი. რომელიც დანაშაულთა ერთობლიობის კერძო შემთხვევას — განაჩენთა ერთობლიობას ითვალისწინებს. ლაპარაკობს არა სისხლის სამართლის კანონის სსვადასხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე, არამედ „სხვა დანაშაულზე“.

5. ერთისა და იმავე მუხლის დისპოზიციაში რამდენიმე დანაშაულის ნიშნების აღწერა ამ დანაშაულთა შინაგან ნათესაობაზე მიუთითებს და არა იგივეობაზე. ასეთ დისპოზიცებს კანონმდებელი ქმნის მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის მოსაზრებითა და ადგილის, ეკონომიის მიზნით შეიძლება შე-

მოვედღონ და გვითხრან. რომ ერთ დისპოზიციაში ჩამოთვლილ დანაშაულებებს ერთი საერთო სასჯელი ემუქრება და ამის გამო აზრი არა აქვს მოცემულ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის წესების გამოყენებას. ასეთი მოსაზრება დაუსაბუთებელია. თუ ამ შესედულებას მივიღებთ. მაშინ არ უნდა ვცნოთ დანაშაულთა ერთობლიობა, როდესაც პირის მიერ ჩადენილი ორი დანაშაულისაგან ერთ-ერთის შესაბამისი სისხლის სამართლის კანონის სანქცია მეორე კანონის სანქციაზე მიუთითებს (ე. წ. მითითებითი სანქცია). წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ა-მ ჩაიდინა სს კოდექსის 73-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (ორგანიზაციული საქმიანობა, მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისაკენ, აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა) და ამასთან ამ ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილე სხვა პირებთან ერთად ჩაიდინა ღივერსია (სს კოდექსის 69-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა, თუმცა 73-ე მუხლის სანქცია მითითებითია და სხვა მუხლებთან ერთად მიუთითებს სს კოდექსის 69-ე მუხლზეც.

6. საფუძვლების 35-ე მუხლში დაშვებული რედაქციული უზუსტობა გამომდინარეობს იქედან, რომ მასში გააგივებულია შესაბამისი მუხლის დისპოზიცია და დანაშაულის შემადგენლობა. როგორც წესი, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის თითოეულ მუხლში ერთი დანაშაულის შემადგენლობა აღწერილი, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც. როდესაც ერთი მუხლის დისპოზიცია რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას ნიშნებს აღწერს (იხ. მაგალითები ზევით). ეს ვარემოება არ უნდა ყოფილიყო უჯულებელყოფილი.

ამრიგად, დანაშაულთა ერთობლიობა არსებობს როგორც იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაული სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლშია გათვალისწინებული (ამ ნაწილში საფუძვლების 35-ე მუხლის რედაქცია ზუსტია). ისე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაული სისხლის სამართლის კანონის ერთსა და იმავე მუხლშია გათვალისწინებული. ის ვარემოება, რომ ზოგჯერ ორ ან მეტ სხვადასხვა დანაშაულს ერთი საერთო სასჯელი ემუქრება, როდი სპობს მათ დამოუკიდებელ, თავისთავად ხასიათს. ამ საერთო სასჯელის ფარგლებში შესაძლებელია სასჯელთა როგორც შთანთქმის. ისე შექამების პრინციპების გამოყენება. ამის გამო, ვფიქრობთ, საკავ-

შირო კანონმდებლის ნამდვილი ნების ადეკვატური ასახვისა და მკაცრად აღკვეთილი ნათელყოფისათვის უმჯობესი იქნება, თუ 1958 წ. საფუძვლების 35-ე მუხლის დასაწყისი წინადადება ასე შეიცვლება: „თუ პირი ცნობილია დამნაშავედ ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში...“ სწორედ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობის არსს.

### § 3. დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა

1958 წ. საფუძვლების 35-ე მუხლში (სსკ მე-40 მუხლი) კანონმდებელი, როგორც აღვნიშნეთ, ერთმანეთისაგან არ განასხვავებს დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობასა და დანაშაულთა რეალურ ერთობლიობას. ამასთან, ერთობლიობის ამ სახეებისათვის კანონმდებელმა სასჯელის დანიშვნის ერთნაირი წესები დაადგინა. კანონმდებლის ასეთი პოზიცია შეუძლებელია იმ აზრით გავიგოთ, თითქოს საჭირო აღარ არის მათი სპეციფიკური ნიშნების დადგენა<sup>28</sup>. პირაქით [სასამართლო პრაქტიკაში განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს იმას — პირმა ერთი მოქმედებით დანაშაული ორი ან მეტი, სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობა, თუ რამდენიმე მოქმედებით. გარდა ამისა. იდეალური ერთობლიობისათვის დამახასიათებელი ნიშნების განსაზღვრის გარეშე შეუძლებელია დავადგინოთ — პირის ერთ მოქმედებაში ერთ დანაშაულთან გვაქვს საქმე, თუ რამდენიმე დანაშაულთან. უამისოდ კი ვერ მივალწევთ სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას.

თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ტერმინი „რეალური“ (ანუ „ცნებითი“, „სამართლებრივი“, „ფორმალური“, „სუბიექტური“) ერთობლიობა უაღრესად პირობითია. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ სინამდვილეში გვაქვს ერთი დანაშაული. სოლო „იდეაში“ — რამდენიმე. დებულება, თითქოს პირს ვსჯით არა იმიტომ, რომ მან სინამდვილეში რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა, არამედ იმიტომ, რომ აზრობრივად, იდეაში მის მიერ ჩადენილი დანაშაული რამდენიმე დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. უაღრესად მცდარ წარმოდგენას ქმნის დანაშაულის, როგორც რეალური სა-

<sup>28</sup> ასეთი დასკვნა გააკეთა ა. ნიკიფოროვმა, რომლის აზრითაც ერთობლიობის ორ სახედ დავყოფას არა აქვს არავითარი იურიდიული მნიშვნელობა. მისივე შეხედულებით, არსებითია არა მოქმედებათა რაოდენობა, არამედ დანაშაულთა რაოდენობა და საზოგადოებრივი საშიშროება (იხ. А. С. Никифоров, Об ответственности за совокупность преступлений. „Советское государство и право“, 1961, № 5, стр. 63).

ზოგადობრივი მოვლენის, შესახებ. დანაშაული ყოველთვის კონკრეტულია, რეალურია და მისი აზრობრივი გაორება ყოველად დაუშვებელია. ერთი დანაშაული ყოველთვის ერთი დანაშაულია და არა რამდენიმე. განა შეიძლება პირს ასეთი „აზრობრივი“ დანაშაულისათვის პასუხი ვაგებინოთ, უკეთუ მან ფაქტიურად მხოლოდ ერთი დანაშაული ჩაიდინა? სინამდვილეში როგორც იდეალური, ისე რეალური ერთობლიობა ორი ან მეტი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას გულისხმობს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში ხორციელდება ერთი მოქმედება, ხოლო მეორე შემთხვევაში — რამდენიმე მოქმედება<sup>29</sup>.

დანაშაულთა ერთობლიობის დაყოფა იდეალურად და რეალურად განსაკუთრებით დიდ დავას იწვევდა გერმანიის ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში..

გერმანიის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის ცნების წინააღმდეგ ყველაზე უფრო მკვეთრად გაილაშქრა ლისტმა: ლისტი იმ პრინციპული დებულებიდან გამომდინარე, რომ დანაშაული წარმოადგენს მოქმედებას. რამდენიმე დანაშაული გულისხმობს რამდენიმე მოქმედებას<sup>30</sup>. ამ თავის ასე ეთქვათ, რეალისტურ კონცეფციას იგი იცავდა ბინდინგთან პოლემიკაში. ეს უკანასკნელი დანაშაულში უპირატეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმალურ-ლოგიკურ მომენტს.

---

<sup>29</sup> გერმანელი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ცუ დონა მოითხოვდა, რომ „იდეალური ერთობლიობისათვის“ ეწოდებინათ „ერთაქტიანი კონკურენცია“ (იხ. Zu Dohna, Zusammentreffen mehrere Strafgesetze und mehrere strafbärer Handlungen. Die Reform des Reichsstrafgesetzbuchs, Band I, Berlin, 1910, S. 405). ცუ დონას ეს მოსაზრება, ვიქრობთ, მიუღებელია, რადგან იდეალური ერთობლიობის შემთხვევაშიც მოქმედება რამდენიმე აქტს მოიცავს.

ტერმინის „იდეალური ერთობლიობის“ წინააღმდეგ საბჭოთა სისხლის სამართალში ილაშქრებს პროფ. ნ. დურმანოვი, ნ. დურმანოვის აზრით, საბჭოთა მეცნიერებაში ტერმინი „იდეალური ერთობლიობა“ ასახავს ობიექტურ სინამდვილეში ორ დაშლად დაშლად დანაშაულებრივ ქმედობას, რაც ერთი მოქმედებითაა გამოწვეული. ეს ერთი მოქმედება დასაბამს აძლევს მიზეზობრივი კავშირის ორ ხაზს და ორ შედეგს (იხ. Н. Д. Дурманов, Понятие преступления М.—Л., Издательство Академии наук СССР, 1948, გვ. 65). ანალოგიური თვალსაზრისისაა ა. იაკოვლევიც (იხ. იაკოვლევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57).

<sup>30</sup> იხ. Liszt, Strafrechtliche Aufsätze und Vorträge, 1905, S. 235, მისივე—Учебник уголовного права. Общая часть, С.-Петербург, 1903, стр. 258—274.

ლისტისა და ბინდინგის პოლემიკის შინაარსი არსებითად ასე წარმოგვიდგება: ერთ დანაშაულებრივ მოქმედებას ასორცელებს ის. ვინც ერთბაშად სხეულის ერთი მოძრაობით ან ასეთების კომპლექსით არღვევს რამდენიმე სისხლისსამართლებრივ ნორმას, თუ რამდენიმეს? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იქნება ნაგულისხმევი მოქმედების ცნებაში: ნორმის დარღვევის იურიდიულა მომენტი, თუ სხეულის მოძრაობის ფსიქოფიზიკური მომენტი. ბინდინგის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში უნდა გვეცნო იმდენი დანაშაული. რამდენი სისხლის სამართლის ნორმაც იქნა დარღვეული, ხოლო, პარიკით, ლისტის თვალსაზრისით აქ მხოლოდ ერთი დანაშაული შეიძლებოდა გვქონოდა.

ლისტისა და ბინდინგის პოლემიკის შედარებით ამომწურავ შეფასებას იძლევა ს. მოკრინსკი. „ძნელი არაა დავინახოთ, — წერს იგი, — რომ მთელი დავა შეეხება მხოლოდ საკითხს სისტემის შესახებ: მოქმედი სამართლის დოგმატიკური აღწერის თანმიმდევრობისა და სისრულის ინტერესებისათვის რა უფრო ხელაყრელია დაედოს საფუძვლად მოქმედების ცნებას. პრაქტიკულად მნიშვნელოვანია არა ის საკითხი, — ტექნიკურ-იურიდიული აზრით რამდენი მოქმედება უნდა შეერაცხოს მოცემულ სუბიექტს. არამედ ის, თუ რომელი სისტემით — სასჯელთა შთანთქმის თუ შეჯამების სისტემით უნდა აგოს მან პასუხი. თუმცა საკითხი გადაწყდა შთანთქმის პრინციპის სასარგებლოდ (პრაქტიკაში იგი ვლინდება კომპრომისის სახით), იგი სრულებითაც არ უბორკავს ხელებს დოგმატიკოსს. დანაშაულებრივი მოქმედების, როგორც სხეულის ფიზიკური მოძრაობის გაგებას ლოგიკურად სრულიადაც არ მივყევართ შთანთქმის სისტემისაკენ: დაე მინეულ იქნას. რომ მოტანილ მაგალითში მხოლოდ ერთი მოქმედებაა მოცემული. საჭიროა გვახსოვდეს, რომ კანონის მიხედვით სასჯელი დაკავშირებულია არა უბრალოდ მოქმედებასთან, არამედ დანაშაულებრივ მოქმედებასთან, არა მოქმედების ფსიქოლოგიურ, არამედ იურიდიულ შემადგენლობასთან. ნათელია, რაც უფრო მეტ ერთმანეთთან დაუმთხვეველ დელიქტების შემადგენლობას მოიცავს მოქმედება. მით უფრო დანაშაულებრივია იგი, მით უფრო დიდი, მით უფრო მკაცრი უნდა იყოს ფორმალურ-ლოგიკური თვალსაზრისით შესაფარდებელი სასჯელი“<sup>31</sup>.

<sup>31</sup> С. П. Мокрицкий, Система и метод науки уголовного права. С.-Петербург, 1906, стр. 26—27.

გერმანელი ბურჟუაზიული კრიმინალისტი ბური ამტკიცებდა, რომ ერთმა მიზეზმა შეიძლება გამოიწვიოს სამართლის ერთი დარღვევა და მანასადამე, სამართლის რამდენიმე დარღვევა გულისხმობს რამდენიმე მიზეზის არსებობას. აქედან შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ ბური იდეალური ერთობლიობის ცნების წინააღმდეგია. სინამდვილეში ბური კატეგორიულად აღიარებს ერთგვაროვანი იდეალური ერთობლიობის არსებობას. ბურის მიხედვით, როდესაც ერთი გასროლით დაჭრილია ორი ადამიანი, საქმე გვაქვს ორ გადაწყვეტილებასთან, რომლებიც ხორციელდება ერთი მოქმედებით. ეს ერთი მოქმედება, მისი აზრით, როდი აერთიანებს ამ ორ გადაწყვეტილებას. სწორედ იმ მომენტში, როდესაც იწყება მოქმედების განხორციელება (ჩახმახის გამოწვევა და ა. შ.), დასაბამი ეძლევა მიზეზობრიობას. აქ, მისივე შეხედულებით, ხდება ის, რაც მოხდებოდა მაშინ, გასროლა რომ თითოეული დაზარალებულის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული. მოქმედების ერთიანობა ან სიმრავლე არ ცვლის საქმის არსს. მას რომ მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ ყურადღება აუცილებლად უნდა მიგვექცია იმაზეც — ადამიანი ერთი დარტყმით არის მოკლული, თუ რამდენიმე დარტყმით<sup>32</sup>.

ბურის შეხედულების კრიტიკა სიძნელეს არ წარმოადგენს. გამოდის, რომ მიზეზობრიობის იმდენი საზი უნდა ვცნოთ. რამდენი გადაწყვეტილებაც მიიღო სუბიექტმა. ეს ხომ აშკარად სუბიექტივზმია მიზეზობრიობაში!

დასაყვეთ გერმანიის ბურჟუაზიული კრიმინალისტი ჰ. ვალდოვსკი ამტკიცებს, რომ საჭიროა მკვეთრად გავმიჯნოთ დანაშაულთა იდეალური და რეალური ერთობლიობა (ანუ იდეალური და რეალური კონკურენცია). მისი შეხედულებით, რამდენიმე დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებით რამდენიმე კანონის დარღვევა უფრო მძიმეა, ვიდრე რამდენიმე კანონის დარღვევა ერთი მოქმედებით. მოქმედი, რომელიც შეგნებულად არღვევს რამდენიმე კანონს დამოუკიდებელი მოქმედებებით, უგულებელყოფს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ სასჯელს, ავლენს დიდ დანაშაულებრივ ენერგიას. ამის გამო იგი სოციალურად უფრო საშიშია, ვიდრე ის, რომელიც მხოლოდ ერთი მოქმედებით არღვევს რამდენიმე სისხლის სამართლის კანონს იდეალურად და რეალური ერთობლიობისათვის პასუხისმგებლობის ერთიანი წესის დადგენა

<sup>32</sup> იხ. Buri, Einheit und Mehrheit der Verbrechen. Stuttgart, 1879, S 2—3.

ვალდოვსკის მიაჩნია მოქმედების სისხლის სამართლის შეცვლა ნებელობით სისხლის სამართალში<sup>33</sup>.

ვალდოვსკის მოსაზრებები აშკარად მცდარია და ამიტომ მიუღებელია. საქმე ისაა, რომ დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობასა და რეალურ ერთობლიობას საერთო აქვთ არა მარტო ის, რომ აქაც და იქაც რამდენიმე სისხლის სამართლის ნორმის დარღვევა იგულისხმება, არამედ ისიც, რომ ორივე შემთხვევაში ბრალდებული ორი ან მეტი დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ რამდენიმე საზოგადოებრივად საშიშ შედეგს ახორციელებს. რომ განსაზღვრული მოქმედება არ იწვევდეს განსაზღვრულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს, მაშინ კანონმდებელ მოქმედებას დასჯად მოქმედებად არ გამოაცხადებდა. გარდა ამისა, ვალდოვსკი თავისი შეხედულებით აკნინებს მართლწინააღმდეგობის მომენტის უნიშვნელობას სისხლის სამართალში.

რევოლუციამდელი ცნობილი რუსი კრიმინალისტები ნ. ტანგანცევი და ნ. სერგეევსკი იდეალურ ერთობლიობაში არსებითად ერთ დანაშაულს ხედავდნენ. ნ. ტანგანცევი იდეალურ ერთობლიობას, კანონთა კონკურენციისაგან განსხვავებით, ნორმათა კონკურენციას (Normenkonkurrenz) უწოდებდა. მას მიაჩნდა, რომ ასეთ შემთხვევაში პირის მოქმედება მიმართულია რაიმე ერთ დარღვევაზე, რომელიც წარმოადგენს მისი მოქმედების ერთგვარ ცენტრს. ხოლო დანარჩენი ნორმების დარღვევას დამატებითი ხასიათი აქვს. ამასთან, ბრალდებული ხშირად არც კი ფიქრობს, რომ მისი ქმედობა შეიცავს ხელყოფას რამდენიმე ნორმაზე. „ამრიგად, — დაასკვნია იგი, — ეფიქრობთ ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა გაგვეხილა ასეთი შემთხვევები როგორც ერთიანი დანაშაული (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)“<sup>34</sup>.

ზოგიერთი საბჭოთა კრიმინალისტიც დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობას ერთიან დანაშაულად განიხილავს.

✓ პროფ. მ. ისაევის შეხედულებით, იდეალურა ერთობლიობისა „...არსებითად გვაქვს ერთი დანაშაული (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)“.

<sup>33</sup> იხ. H. Waldowski, Ist eine klare Abgrenzung zwischen Tateinheit und Tatmehrheit möglich und gerecht? Inauguraldissertation zur Erlangung des akademischen Grades eines Doktors der Rechte, Köln, 1956, S. 41.

<sup>34</sup> Н. С. Таганцев. Русское уголовное право, Лекции, т. II, С.-Петербург, 1902 стр. 1300, იხ. აგრეთვე, Уголовное уложение, издание Н. С. Таганцева. С.-Петербург, 1904, стр. 129—130.



მაგრამ აზრობრივად, იდეაში ჩვენ შეგვიძლია დავყოთ იგი ორ ნიშნად: დანაშაულად, რომელთაგანაც თითოეული შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსის ამა თუ იმ ცალკე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშნებს<sup>35</sup>.

† ნ. იაშინოვა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ „იდეალური ერთობლიობის შემთხვევებში ხორციელდება არა რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, არამედ ერთი შემადგენლობა, რომელიც რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების საგან უალბოდება (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)“<sup>36</sup>.

ამ დებულების მიღება, ვფიქრობთ, შეუძლებელია. შეცდომაა იმის მტკიცება, თითქოს იდეალური ერთობლიობისას საქმე გვაქვს ერთი დანაშაულის შემადგენლობასთან, რომელიც რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს. დანაშაულის შემადგენლობა შესაბამისი დანაშაულებრივი ქმედობის იურიდიული ფორმაა. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ჩამოყალიბება, საერთოდ განსაზღვრული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის დანაშაულად მიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს. „...შემადგენლობა, რომელსაც სოციალისტური სისხლის სამართლის ნორმა ეთვალისწინებს, წარმოადგენს სოციალისტური კანონმდებლის ნების გამოვლინების არსებით შემადგენელ ნაწილს... დანაშაულის შემადგენლობა გამოხატავს სოციალისტური კანონმდებლის ნებას იმით, რომ აცხადებს აღწერილ ქმედობას დანაშაულებრივად, ხოლო მის მიერ დაწესებული ან სანქციონირებული ნიშნები წარმოადგენენ ცალკეულ დანაშაულთა ერთადერთ საყოველთაოდ სავალდებულო აღწერას (ხაზი ჩვენია — გ. ტ.)“<sup>37</sup>. იაშინოვას მიხედვით კი შეიძლება გვეჩინდეს ისეთი შემთხვევა, როდესაც მოქმედება შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც ასეთად არ უცვნიან კანონმდებელს. გამოდის, რომ „ახალი შემადგენლობის“ შექმნა სასამართლოსაც შეუძლია.

<sup>35</sup> М. Исаев, Назначение, применение и отмена наказания («Советская юстиция», 1938, № 8, стр. 19).

<sup>36</sup> Н. Ф. Яшнова, Вопросы назначения наказания при совокупности преступлений по советскому уголовному праву, кандидатская диссертация, Харьковский юридический институт, 1951, стр. 35.

<sup>37</sup> Ганс Гератс, «Материальное понятие преступления» и основания уголовной ответственности («Государство и право в свете великого Октября»). Перевод с немецкого, Издательство иностранной литературы, М., 1958, стр. 222—223).

ამ კრიმინალისტების შეცდომის წყარო იმაშია, რომ ისინი დანაშაულს აიგივებენ საზოგადოებრივად ჯაშუშ ქმედობასთან ისე, რომ მხედველობის გარეშე ტოვებენ სხვა მნიშვნელოვან მოძენებს — მართლწინააღმდეგობასა და ბრალს.

დანაშაული მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში ქმედობა როდია, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროებისა და მართლწინააღმდეგობის ორგანულ ერთიანობას. „მაგრამ დანაშაულის და მოქმედების ცნება, — წერდა პ. მერკელი, — იგივეობრივი არ არიან; სწორია მხოლოდ ის, რომ ყოველი დანაშაული გამოიხატება მოქმედებაში, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ეს მოქმედება ამასთან არ შეიძლება წარმოადგენდეს შუალედურ ფაქტორს რამდენიმე სამართალდარღვევისათვის. თითოეული დანაშაული აუცილებლად გულისხმობს მოქმედის არსებობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დანაშაულთა ერთობლიობა უსათუოდ რამდენსამე მოქმედ პირს გულისხმობს“<sup>38</sup>.

დებულება, რომ იდეალური ერთობლიობა გულისხმობს მხოლოდ ერთ დანაშაულს, მცდარ პრაქტიკულ დასკვნას იწვევს. სახელდობრ, მოქმედება, რომელიც ფაქტიურად ორი დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ერთ დანაშაულად უნდა მიგვეჩინოთ. ამან შეიძლება ბრალდებულის უსაფუძვლოდ ლმობიერი დასჯა გამოიწვიოს. ასე მაგალითად, თანამდებობის პირი, რომელიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დეფიციტური საქონლით ამარაგებს სპეკულანტებს, რომლებიც სპეკულაციას ხელობის სახით ეწევიან, დაისჯებოდა მხოლოდ 186-ე მუხლის (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მისედვით. 165-ე მუხლის მე-2 ნაწილი (ხელობის სახით ჩადენილი სპეკულაცია) მას ბრალდებად არ წაეყენებოდა და ამის გამო ქრნების კონფისკაცია არ შეეფარდებოდა. გარდა ამისა, გაძნელებოდა ერთგვაროვანი და სპეციალური რეციდივის დადგენა.

რა უნდა იქნას ცნობილი ერთ დანაშაულად, ამას განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონი და არა დამნაშავე. ის ვარემოება, რომ დამნაშავემ რამდენიმე სისხლის სამართლის კანონის დარღვევა გადაწყვიტა და ეს გადაწყვეტილება ერთი მოქმედების საშუალებით განახორციელა, სრულებით არ ქმნის საფუძველს განსილუი იქნას ყველა ეს დარღვევა როგორც ერთი დანაშაული.

<sup>38</sup> P. Merkel, Die Strafanwendung beim Zusammenfluss von Verbrechen (im Hol. Nandb., II, S. 573).

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის ცნების სხვა განსაზღვრებებიც არსებობს. მათზე ჩვენ აღარ შევიჩრდებით. შევეხებით მხოლოდ ნ. კუზნეცოვას მიერ მოცემულ განსაზღვრას. ნ. კუზნეცოვა ასე განსაზღვრავს იდეალურ ერთობლიობას: „დანაშაულთა ერთობლიობას ეწოდება იდეალური, როდესაც სუბიექტი ერთი მოქმედებით აყენებს სხვადასხვა ზიანს შესაბამისად სხვადასხვა ობიექტებს“<sup>39</sup>. ამ განსაზღვრებაში მიგნებულია იდეალური ერთობლიობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი: შედეგების სიმრავლე. სწორედ ეს მომენტი საერთო რეალური და იდეალური ერთობლიობისათვის. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობა ხორციელდება. ამასთან, მასში ორი არსებითი ხასიათის შეცდომაა დაშვებული: ჯერ ერთი, სხვადასხვა ზიანი და სხვადასხვა ობიექტი გვაქვს შესაძგენ დანაშაულშიც, მაგრამ ამის გამო არ იქცევა იდეალურ ერთობლიობად; მეორე, იდეალური ერთობლიობა ყოველთვის არ გულისხმობს სხვადასხვა ობიექტისათვის ზიანის მიყენებას. ასე მაგალითად. მოქმედებისაგან გადახრისას ჩადენილი მკვლელობის დროს ხელყოფა მიმართულია ერთისა და იმავე და არა სხვადასხვა ობიექტის (ადამიანის სიცოცხლე). წინააღმდეგ, მაგრამ მიუსვდავად ამისა, არ გამოირიცხება განზრახი მკვლელობის მცდელობა და გაუფრთხილებელი მკვლელობის იდეალური ერთობლიობა.

ამრიგად, იდეალური ერთობლიობის სპეციფიკურ ნიშნად არ შეიძლება ცნობილ იქნას ხელყოფის ობიექტების სხვადასხვაობა. მთავარი და არსებითია, რათა ერთი მოქმედებით განხორციელებული იქნას ორი ან მეტი, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობა.

იდეალური ერთობლიობის ცნების საჭიროება იმითაა განპირობებული, რომ შესაფერ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობის მომარჯვებით არის შესაძლებელი ქმედობისა და მოქმედის საზოგადოებრივი საშიშროების სწორი იურიდიული შეფასება. აქ ასეთი შეფასების მასშტაბი თვით კანონმდებელზეცაა დამოკიდებული. შესაძლებელია მან იმთავითვე გაითვალისწინოს დანაშაულთა შესაძლებელი კომბინაცია, მაგალითად, შენადგენი დანაშაულის სახით. ასე მაგალითად, უკანონო დაპატიმრება (სს კოდექსის 194-ე მუხლი) შეიცავს ორი დანაშაუ-

<sup>39</sup> Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий для уголовной ответственности, Госюриздат, М., 1958, стр. 146.

ლის ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა (სა კოდექსი 186-ე მუხლი) და უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის (სა კოდექსის 133-ე მუხლი) — ნიშნებს. კანონმდებელმა უკვე ერთ შენაღვეს დაწესებულად გაითვალისწინა ამ დანაშაულთა „იდეალური ერთობლიობა“. ამიტომ ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარ იქნება ქმედობის კვალიფიკაცია სა კოდექსის 186-ე და 113-ე მუხლების ერთობლიობით.

ამრიგად, იდეალური ერთობლიობა გამოიხატება მაშინ, თუ დამდგარი შედეგები ერთსა და იმავე დანაშაულის შემადგენლობაშია გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში ვექნება შენადგენი დანაშაული, რომლის ერთიანობა შესაბამისი დანაშაულია შემადგენლობით. ნისაზღვრება პირიქით. იდეალური ერთობლიობა არსებობს როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მოქმედებით განხორციელებული ერთი ფაქტიური შედეგი რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობითაა მოცული. ისე მაშინ, როდესაც ერთი მოქმედებით გამოწვეული რამდენიმე ფაქტიური შედეგი სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობაშია გათვალისწინებული (მაგალითად, ცეცხლის წაქიდება სახლისათვის, სადაც ბოროტმოქმედის წინასწარი შეცნობით მისი პირადი მტერი იმყოფება).

როგორც უკვე აღინიშნა, სისხლის სამართლის ნორმაში გათვალისწინებული დანაშაულებრივი მოქმედება შეიძლება რამდენიმე ობიექტის წინააღმდეგ იყოს, მიმართული. ერთი მოქმედებით რამდენიმე ობიექტის ხელყოფა სხვადასხვა დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობითაა გათვალისწინებული. ამრიგად, იდეალური ერთობლიობის არსებობა შეიძლება დააპირობოს სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობაში გათვალისწინებული ობიექტების სიმრავლემ.

დაბოლოს, სისხლის სამართლის ორი ნორმა შეიძლება შეიკავდეს ისეთ დანაშაულთა შემადგენლობებს, რომლებიც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არც ხელყოფის ობიექტით და არც ობიექტური მხრით. ამის მიუხედავად, ერთი მოქმედებით ამ შემადგენლობებში გათვალისწინებული შედეგების განხორციელებამ შეიძლება იდეალური ერთობლიობა შექმნას. ავიღოთ ასეთი მაგა-

ლთი: ა-მ ერთი ვასროლის შედეგად ჩაიდინა განზრახი მკვლელობა და გაუფრთხილებელი მკვლელობა. ჩადენილია ორი დანაშაული. ამასთან. მათ შორის არ არსებობს განსხვავება არც სელყოფის ობიექტსა და არც ობიექტურ მხარეში. მაგრამ ვინაიდან ასეთი წესდებები ბრალის ფორმის განსხვავების გამო სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობითაა გარემოცული, ეს აპირობებს, იდეალური ერთობლიობის არსებობას. აქედან გამომდინარეობს, რომ ერთ მოქმედებაში იდეალური ერთობლიობა შეიძლება ვცნოთ სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობაში გათვალისწინებული ბრალის ფორმების განსხვავების გამო, მიუხედავად იმისა, რომ მათი ხელყოფის ობიექტი და ობიექტური მხარე ერთი და იგივეა.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა გავაკეთოთ: იდეალური ერთობლიობის არსებით და კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს ერთი საერთო მოქმედების საშუალებით ორი ან მეტი, სხვადასხვა და ამასთან ერთმანეთის აგანდამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება.

ერთი მოქმედება შეიძლება ერთდროულად და ამასთან სრულად მოიცავდეს ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ობიექტურ მხარეს, მაგალითად, მაშინ როდესაც პირი გაუპატიურების დროს სხვა პირს ვენერიულ სენს შეყრის. მოცემულ შემთხვევაში ერთი მოქმედება ერთდროულად და ამასთან მთლიანად მოიცავს ამ ორი დანაშაულის — გაუპატიურებისა (სს კოდექსის 117-ე მუხლი) და სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრის (სს კოდექსის 122-ე მუხლი) — ობიექტურ მხარეს. აქ ობიექტური მხარის ასპექტში საქმე გვაქვს ამ დანაშაულთა სრულ იდენტურობასთან.

შესაძლებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი მოქმედება მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს იდეალურ ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულის ობიექტურ მხარეს. მაგალითად, თუ პირი მოგების მიზნით შეისყიდის და გაყიდის ნაქურდლად შეცნობილ საქონელს, მაშინ მის მოქმედებაში გვექნება ორი დანაშაულის — დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა (სს კოდექსის 299-ე მუხლი) და სპეკულაციის (სს კოდექსის 165-ე მუხლი) — იდეალური ერთობლიობა. აქ, პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით. ამ ორი დანაშაულის ობიექტური მხარე მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. უფრო ზუსტად, ერთი მოქმე-

დებიტ სდება პირველი დანაშაულის (დანაშაულებრივი გზით მო-  
პოვებული ქონების შექმნა) ობიექტური მხარის მთლიანად გან-  
ხორციელება, ხოლო მეორე დანაშაულის (სპეკულაცია) ობიექტუ-  
რი მხარის არასრული განხორციელება. ასეთ შემთხვევაში ობიექტ-  
ური მხარის ასპექტში შეიძლება ვილაპარაკოთ ამ დანაშა-  
ულთა ნაწილობრივ იდენტურობაზე. მათ შორის  
საერთოა, შეთავსებადია პირველი აქტი — შესყიდვა. სწორედ ეს  
აქტი ხდის შესაძლებელს მათ იდეალურ ერთობლიობას. რაც შე-  
ეხება სპეკულაციის ობიექტური მხარის მეორე აქტს — გაყიდვას.  
ეს უკანასკნელი უკვე აღარ წარმოადგენს პირველი დანაშაულის  
ობიექტურ მხარეს. აქ ისინი ითიშებიან.

იდეალური ერთობლიობისათვის აუცილე-  
ბელია ორი ან მეტი დანაშაულის ობიექტური  
მხარის — მოქმედების (ან უმოქმედობის) ნაწი-  
ლობრივი იდენტურობა მაინც. ერთი მოქმედე-  
ბა უნდა წარმოადგენდეს საერთოს. შეთავსე-  
ბადს ცალკეულ დანაშაულთა ობიექტური მხა-  
რისათვის. ეს საერთო მოქმედება შეიძლება მო-  
იცავდეს როგორც ერთ აქტს, ისე აქტების ერ-  
თობლიობას. მთავარია, ეს აქტი ან აქტების ერ-  
თობლიობა ერთდროულად ორი ან მეტი სხვადა-  
სხვა დანაშაულის ობიექტურ მხარეს წარმო-  
ადგენდეს.

იდეალურ ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი ბრალის  
ფორმების მიხედვით შეიძლება ორ სახედ დაყვით: 1) იდეალური  
ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ განზრახი დანაშაულობებით ხა-  
სიათდება და 2) იდეალური ერთობლიობა, რომელიც მოიცავს  
ბრალის სხვადასხვა ან მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალის მქონე  
დანაშაულობებს. რასაკვირველია, სხვა თანაბარი პირობების არ-  
სებობისას პირველ შემთხვევაში ბრალეული უფრო დიდი საზოგა-  
დობრივი საშიშროებით ხასიათდება, ვიდრე მეორე შემთხვევაში.  
ეს კი სასჯელის უფრო მკაცრი ღონისძიებების დანიშვნას გამოიწ-  
ვევს. იდეალურ ერთობლიობაში, რომელშიც მხოლოდ განზრახი და-  
ნაშაულობები შედის, ერთი დანაშაული შეიძლება წარმოადგენდეს  
მეორე დანაშაულის ჩადენის საშუალებას, ფორმას და სხვ.

იდეალური ერთობლიობა უნდა განვასხვავოთ ე. წ. კანონთა  
ერთიანობისაგან ანუ მოჩვენებითი ერთობლიობისაგან. იდეალუ-  
რი ერთობლიობისას კანონის თითოეულ დარღვევას ყოველ კონ-

კრეტულ შემთხვევაში უნდა ქონდეს დამოუკიდებელი სასი.ო.ი. ე. ი. მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დაადგენად ერთი დანაშაულის შემადგენლობასთან ერთად საჭიროა მეორე დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული ნიშნების მომარაგება. ასეთი დამოუკიდებლობა არ არსებობს ე. წ. კანონთა ერთიანობის (Jesetzeseinheit) ანუ მოჩვენებითი ერთობლიობის დროს. ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია გვექონდეს იდეალური ერთობლიობა<sup>10</sup>

ქვემოთ ლაპარაკი გვექნება მოჩვენებითი ერთობლიობის ცალკეული შემთხვევების შესახებ<sup>11</sup>.

1. ე. წ. სპეციალობისპრინციპი. ამ დროს იგულისხმება, რომ ორი სისხლის სამართლებრივი ნორმა ერთმანეთთან იმყოფება საერთო და სპეციალური ნორმების მიმართებაში. სპეციალურ სისხლისსამართლებრივ ნორმას უპირატესობა ეძლევა ზოგად სისხლისსამართლებრივ ნორმასთან (lex specialis derogat legi generali). ასეთ შემთხვევაში ზოგადი შემადგენლობა მოიცავს განსაზღვრული დანაშაულის ყველა ფორმას. სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმა ითვალისწინებს განსაზღვრული დანაშაულის სპეციალურ ფორმებს მისი დიდი ან შედარებით მცირე საზოგადოებრივი საშიშროების მიხედვით. ამასთან. სპეციალური ნორმა აღჭურვილია სასჯელის დამოუკიდებელი მუქარით და ითვალისწინებს სასჯელის ასეთ ზომას, რომელიც თავისი სიმკაცრით განსხვავდება ზოგადი ნორმით გათვალისწინებული სასჯელისაგან.

სპეციალური სისხლისსამართლებრივი ნორმა იქმნება დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების დანაშაულის შემადგენლობაში შეტანით. ეს გარემოებები უფრო ზუსტად, უშუალოდ ასახავენ შესაბამისი დანაშაულის ობიექტის. ობიექტური მხარის, სუბიექტისა და სუბიექტური მხარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ასეთი მოქმედების ჩადენისას გვექნება არა ორი, არამედ ერთი დანაშაული. ის გარემოება, რომ კანონმდებელი ამ სპეციალური შემადგენლობისათვის ცალკე სანქციას აწესებს, ნაშლად

<sup>10</sup> არც საფუძვლებში და არც მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში არაფერია ნათქვამი ე. წ. კანონთა ერთიანობის შესახებ. ეს მართებულთაა, რადგანაც ასეთი შემთხვევების დადგენა სისხლის სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის საქმეა.

<sup>11</sup> უფრო დაწვრილებით იხ. ამ საკითხზე В. Н. Кудрявцев. Теоритические основы квалификации преступлений, Госюриздат, М., 1963, стр. 243—272.

მიუთითებს მის სურვილზე სათანადო შემთხვევაში შეფარდებული იქნას სწორედ ეს სპეციალური პირობისამართლებრივი ნორმა. მოვიტანოთ შესაფერისი მაგალითები.

1940 წ. 3 მაისის დეკრეტულში ასრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა აღნიშნა: „არსებობს სს კოდექსის 109-ე მუხლი არ უნდა იქნას შეფარდებული სს კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა კარის სხვა მუხლთან ერთად, თუ ინკრიმინირებული დანაშაული უშუალოდ არის გათვალისწინებული ამ სხვა მუხლით, რომლის მიხედვითაც უნდა იქნას იგი მხოლოდ კვალიფიკირებული“<sup>42</sup>. მართლაც, სხვადასხვა თანამდებობრივი დანაშაული სელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონკრეტულ ფორმებს წარმოადგენენ. და მაშასადამე. სს კოდექსის 186-ე მუხლით შეუძლებელია შთაინთქას თანამდებობრივი დანაშაულის სხვა სპეციალური სახეები. ისინი ისეთი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებიან, რომლებიც გათვალისწინებული არაა 186-ე მუხლით. ამის გამო ისინი არ კარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას, რა მიმართებაშიც არ უნდა იმყოფებოდნენ სს კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებული ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან<sup>43</sup>. აქედან ცხადია, რომ მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ ქრთამის აღება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნიშნებსაც შეიცავს, მაგრამ აქ შეფარდებული უნდა იქნას მხოლოდ ის ნორმა (მუხ. 189-ე), რომელიც უშუალოდ ქრთამის აღებას ითვალისწინებს.

თუ ტყუილი ჩვენების მიცემისას მოწმე, ექსპერტი ან თარჯიმანი მიზნად ისახავს ბრალდებულის უსაფუძვლო გამართლებას. ასეთ შემთხვევაში ტყუილი ჩვენება წარმოადგენს მართლმსაჯულებისაგან დამნაშავის დაფარვის ერთ-ერთ საშუალებას. მიუხედავად ამისა, მოცემულ შემთხვევაში შეფარდებული უნდა იქნას არა 205-ე მუხლი (დანაშაულის დაფარვა), არამედ მხოლოდ 197-ე მუხლი (შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა).

<sup>42</sup> „Сборник постановлений Пленума и определенной коллегий Верховного Суда СССР 1940 г.“, Юриздат, М., 1941, стр. 89. იხ. აგრეთვე, „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1959, № 3, стр. 52.

<sup>43</sup> А. Б. Сахаров, Ответственность за должностные злоупотребления по советскому уголовному праву, Госюриздат, М., 1956 стр. 179.



დამოუკიდებელი მოქმედებებით დანაშაულის ზოგადი და სპეციალური შემადგენლობების განხორციელების შემთხვევაში გვექნება არა მოჩვენებითი ერთობლიობა. არამედ შესაბამის დანაშაულთა რეალური ერთობლიობა. მაგალითად, თუ თანამდებობის პირი ქრთამის აღების გამო თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით უკანონო მოქმედებას ჩაიდენს, იგი პასუხს აგებს იური დანაშაულის — ქრთამის აღებისა (189-ე მუხლი) და თანამდებობის ბოროტად გამოყენების (186-ე მუხლი) — რეალური ერთობლიობისათვის.

2. ე. წ. სუბსიდიურობის პრინციპი/ სუბსიდიურობა გულისხმობს, როდესაც ორი დანაშაულის შემადგენლობა ერთმანეთთან იმყოფება ძირითადი და დამხმარე შემადგენლობების მიმართებაში. უპირატესობა ყოველთვის ძირითად შემადგენლობას, ძირითად სისხლისსამართლებრივ ნორმას ეძლევა (*lex primaria derogat legi subsidiaria*). ძირითადი შემადგენლობა შეიცავს განსაზღვრული დანაშაულის უფრო მძიმე სახეს, ხოლო დამხმარე შემადგენლობა — მის უფრო მსუბუქ სახეს და დამხმარე შემადგენლობა შეეფარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ძირითადი შემადგენლობა არ განხორციელებულა. ასეთ შემთხვევაში არ არსებობს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა.

ძირითად და დამხმარე შემადგენლობათა სუბსიდიური დამოკიდებულების მაგალითია დამოკიდებულება რეზულტატურ დელიქტსა და საშიშროების შემქმნელ დელიქტს შორის.

უშიშროების ტექნიკის, სამრეწველო სანიტარიის ან შრომის დაცვის სხვა წესების დარღვევა თანამდებობის პირის მიერ, თუ ეს დარღვევა საფრთხეს უქმნიდა მუშებისა და მოსამსახურეების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ცალკე შემადგენლობადაა გათვალისწინებული 146-ე მუხლის I ნაწილში. 146-ე მუხლის მე-2 ნაწილი რეზულტატური დელიქტის სახით ითვალისწინებს იმავე ქმედობას, თუ მას შედეგად მოჰყვა სხეულის დაზიანება. თუ თანამდებობის პირი ჩაიდენს ისეთ ქმედობას, რომელიც საფრთხეს უქმნის მუშებისა და მოსამსახურეების ჯანმრთელობას და ეს საფრთხე სინამდვილედ იქცევა, ე. ი. თუ მას შედეგად მოყვება სხეულის დაზიანება მაშინ ასეთი მოქმედება დაკვალიფიცირდება არა 146-ე მუხლის I და II ნაწილებით, არამედ მხოლოდ როგორც რეზულტატური დელიქტი 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

მე-3 მუხლის შემთხვევაში, როდესაც საშიშროების შემქმნელი მოქმედება დარღვევით რეზულტატური მოქმედება ერთისა და იმავე დანაშაულის შე-

მადგენლობაშია გათვალისწინებული. მაშინ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, პირმა მხოლოდ საშიშროების შემქმნელი მოქმედება ჩაიდინა, თუ, გარდა ამისა, რეზულტატური მოქმედება. აქ გვექნება მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობა. ასეთ შემთხვევაში შედეგის განხორციელება სასჯელის დამძიმებას გამოიწვევს. ამრიგად, თუ პირი ჯერ დააზიანებს სახელმწიფო ქონებას, ხოლო შემდეგ ამ დაზიანებულ ქონებას გაანადგურებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ ერთისა და იმავე დანაშაულის (სს კოდექსის მე-100 მუხლი) ჩადენისათვის. აქ არც წარმოიშობა საკითხი სუბსიდიურობის შესახებ.

3. თუ ქმედობა შეიცავს ერთისა და იმავე დანაშაულის რამდენიმე დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებას, გამოყენებული უნდა იქნას ის სისხლისსამართლებრივი ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე უფრო დამამძიმებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებას.

სს კოდექსის 263-ე მუხლი ითვალისწინებს ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურის თვითნებურ წასვლას სამხედრო სამსახურიდან. ამ დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებია: იმავე ქმედობის ჩადენა ომიანობის პირობებში („ბ“ პუნქტი) და იმავე ქმედობის ჩადენა იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის სადისციპლინო ბატალიონში („გ“ პუნქტი). პირველი დანაშაულისათვის სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ორიდან ათ წლამდე, ხოლო მეორე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა ერთიდან სამ წლამდე. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ სამხედრო მოსამსახურე ომიანობის დროს მიატოვებს სამხედრო სამსახურს სადისციპლინო ბატალიონში სასჯელის მოხდისას, მას შეეფარდება აღნიშნული კანონის 263-ე მუხლის მხოლოდ „ბ“ პუნქტი, რომელიც უფრო დიდად დამამძიმებელ გარემოებას ითვალისწინებს, ვიდრე იმავე მუხლის „გ“ პუნქტი.

4. ე. წ. შთ ან თ ქ მ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ი (Princip Konsumtion) ერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა შთიანთქავს მეორე სისხლისსამართლებრივ ნორმას მაშინ, როდესაც პირველია გათვალისწინებული დანაშაული მოიცავს მეორეთი გათვალისწინებულ დანაშაულს, როგორც ტიპიურ თანმხლებ მოვლენას. ასეთ შემთხვევაში პირის ქმედობაში მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობა იქნება, რადგან სწორედ მოცემული შემადგენლობის ნიშნების საფუძველზეა შესაძლებელი ქმედობისა და მოქმედის საზოგადოებრივი საშიშროების მართებულად შეფასება. ასე მაგალი-

თად. მკვლევლობას თან ახლავს სხეულის დაზიანებაც, მაგრამ ეს უკანასკნელი არ საჭიროებს დამოუკიდებელ კვალიფიკაციას.

სასამართლოს განაჩენმა, — აღნიშნულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისბლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში, — ზუსტად უნდა ასახოს დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი, მისი სპეციფიკური საშიშროება და მორალურ-პოლიტიკური საძრახისობა. მან დანაშაულს უნდა მიაციეს პოლიტიკური შეფასება იურიდიულ ფორმაში. ამიტომ საჭიროა შეფარდებული იქნას მხოლოდ ის კანონები, რომლებიც აუცილებელია დანაშაულის საშიშროებისა და საძრახისობის დასადგენად<sup>44</sup>.

იმის დასადგენად, თუ რომელი კანონი უნდა შეეუფარდოთ დანაშაულს, საჭიროა გამოვიდეთ კანონში გათვალისწინებული ობიექტებისაკენ მიმართული ხელყოფის მოცულობისა და სიმძიმისაგან. ერთ კანონთან ერთად მეორის შეფარდებას განსაზღვრავს ის. თუ რა მიმართებაში იმყოფება ერთი ობიექტის წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა მეორე ობიექტის წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფასთან. ამ დროს სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს ეს გარემოება ქმედობის სპეციფიკურ საშიშროებაზე, საშიშროების მოცულობასა და საძრახისობაზე. დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა გამორიცხებულია მაშინ, როდესაც ერთ შემადგენლობაში გათვალისწინებული ხელყოფის ობიექტი დაქვემდებარებულ როლს ასრულებს მეორე შემადგენლობაში გათვალისწინებულ ხელყოფის ობიექტთან შედარებით და თუ ამასთან, დაქვემდებარებულ ობიექტზე ხელყოფა არსებითად არ მოქმედებს ქმედობისა და მოქმედის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა: ა. განზრახი მკვლევლობის ჩასადენად იყენებს სხვის პირად ნივთს და ამ უკანასკნელს თავში ურტყამს ბ-ს. ბ. გარდაიცვალა, ამასთან დაზიანდა ნივთიც. ნივთის დაზიანებას სიცოცხლის მოსპობასთან შედარებით დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ საჭირო არაა მისი დამოუკიდებელი კვალიფიკაცია.

ხელყოფის დაქვემდებარებული ობიექტი, როგორც წესი, ახალიათებს სხვა ობიექტზე მიმართული დანაშაულებრივი ხელყოფის სახესა და ხერხს<sup>45</sup>.

<sup>44</sup> იხ. *Lehrbuch Des Strafrechts Der Deutschen Demokratischen Republik, Allgemeiner Teil*, Berlin, 1959, S. 632.

<sup>45</sup> იხ. იქვე.

ამრიგად. პირის ქმედობაში შეიძლება მოცემული იყოს რამდენიმე დანაშაულის ნიშნები, მაგრამ ეს ყოველთვის არ მოწმობს დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის არსებობას. ზოგჯერ ის, რაც დამოუკიდებელ დანაშაულად გვეჩვენება. სინამდვილეში წარმოადგენს მხოლოდ ეპიზოდს უფრო მძიმე დანაშაულისათვის, უფრო ზუსტად, ამ უქანასკნელის განხორციელების ხერხს ან სტადიას.

## 5. დანაშაულთა რეალური ერთობლიობა

რეალური ერთობლიობა გულისხმობს ორი ან მეტი დამოუკიდებელი მოქმედებით ორი ან მეტი, სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებას.

უმრავლეს შემთხვევაში რეალური ერთობლიობის დროს ერთი დანაშაული მეორე დანაშაულისაგან გათიშულია დროში. ამით რეალური ერთობლიობა განსხვავდება იდეალური ერთობლიობისაგან. მაგრამ ეს არ შეიძლება მივიჩნიოთ რეალური ერთობლიობის კონსტიტუციურ ნიშნად. შესაძლებელია, რამდენიმე მოქმედება ერთდროულად იქნას განხორციელებული, ინტერვალების გარეშე. მაგრამ მაინც რეალურ ერთობლიობას ქონდეს ადგილი. ასე მაგალითად, თუ ა. შურისძიების ნიდაგზე სცემს ბ-ს, იმავე დროს შეურაცყოფას აყენებს გ-ს, იგი პასუხს აცემს სს კოდექსის 116-ე (ცემა) და 138-ე (შეურაცყოფა) მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა რეალური ერთობლიობისათვის. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვექნება საქმე მაშინაც, როდესაც პირი დენადი დანაშაულის, მაგალითად, დეზერტირობის განხორციელებისას ჩადის კიდევ ერთ ან რამდენიმე სხვა დანაშაულს — ქურდობას. მკვლელობას და ა. შ.

დანაშაულთა რეალური და იდეალური ერთობლიობის არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ პირველი გულისხმობს იმდენ მოქმედებას, რამდენი სხვადასხვა დანაშაულიც იქნა ჩადენილი, ხოლო მეორე მხოლოდ ერთ მოქმედებას, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ამრიგად, მათესაერთო ნიშანს წარმოადგენს ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა, ხოლო განმასხვავებელს — მოქმედებათა რაოდენობა.

რეალური ერთობლიობის დროს მოქმედებათა ლიმრავლე შინაგანი აუცილებლობით მოითხოვს რამდენიმე დამოუკიდებელი დანაშაულის არსებობას. ასეთი ლიმრავლე არ არსებობს მაშინ, რო-

ღესაც ერთმანეთის მიმდევარი მოქმედებები არ წარმოადგენენ ერთიანი დანაშაულის დამოუკიდებელ აქტებს. თუ ერთი დანაშაულის შემადგენლობა რამდენიმე აქტისაგან შედგება (შენადგენი დახაშაული), მაშინ გვექნება არა რეალური ერთობლიობა, არამედ ერთი დანაშაული.\*

რეალური ერთობლიობის თითოეული დანაშაული დამოუკიდებელია მეორე დანაშაულისაგან როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ნიშნების მიხედვით. ეს დანაშაულობანი თავიანთ ერთობლიობაში პირის დანაშაულებრივი საქმიანობის. მისი ქცევის სხვადასხვა მხარეს ახასიათებენ. რეალური ერთობლიობისას სასამართლომ განსაკუთრებულ უფრადლება უნდა მიაქციოს იმას. თუ რამდენად ვლინდება ამ დანაშაულობებში პირის საზოგადოებრივი საშიშროება; მთელი ერთობლიობა შეფასებული უნდა იქნას როგორც ერთი მთლიანი ყოფაქცევა. ასეთი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან რეალურ ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი. ამ თვალსაზრისით შეიძლება პირობით რეალური ერთობლიობის შემდეგი ორი შემთხვევა დავსახოთ: 1) ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობა და 2) მხოლოდ სუბიექტის მიხედვით გაერთიანებული ერთობლიობა.

ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი მკიდრო კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან. ეს შესაძლებელს ხდის დავასკვნათ, რომ პიროვნება განსაზღვრული მხრივ საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ერთობლიობაში შეიძლება შედიოდნენ ისეთი დანაშაულობანი, რომლებიც ერთგვაროვანი არიან (მაგალითად, ხულიგნობის შემდეგ სხეულის მძიმე დაზიანების მიყენება); ან ხასიათდებიან მსგავსი ნიშნებით, მოტივებით (მაგალითად, ყაჩაღობის შემდეგ ანგარებითი მკვლელობის ჩადენა), ან ჩადენილი არიან ერთი და იმავე საშუალებით, ხერხით (მაგალითად, გაუპატიურების და ყაჩაღობის საერთო ნიშანია იძულება დაზარალებულის პიროვნების მიმართ).

\*გარდა აღნიშნულისა, ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობაში ერთი დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მეორე, უკვე ჩადენილი დანაშაულის დაფარვისაკენ. ასე მაგალითად.

სს კოდექსის 104-ე მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს განზრახვი მკვლელობის ჩადენას სსკა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით და აგრეთვე განზრახვ მკვლელობას, რასაკე თან სკევედა გაუპატიურებაჲ მოცემულ შემთხვევაში პირის მიერ სსკა დანაშაულის მომზადება ან განხორციელება და ამის შემდეგ ამ უკანასკნელის დასაფარავად ჩადენილი განზრახვი მკვლელობა განხილული უნდა იქნას როგორც რეალური ერთობლიობის ის სა- სე, რომელიც ხასიათდება ზრახვის ერთიანობით. ეს დანაშაულო- ბანი ერთმანეთთან მკიდრო სუბიექტურ კავშირშია და ამასთან თითოეული მათგანი თავის დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

ზრახვის ერთიანობით ხასიათდება აგრეთვე ისეთი დანაშაუ- ლობანი, რომელთაგანაც ერთი წინ უსწრებს მეორის ჩადენას და ამასთან მეორის ჩადენის წინაპირობას წარმოადგენს. მაგალითად, თუ გამოძალვის დროს (სს კოდექსის 154-ე მუხლი) გამოძალველ- მა თავისი მუქარა განახორციელა, მისი ნამოქმედარი დაკვალიფი- ცირდება როგორც გამოძალვისა და მუქარის შემდეგ განხორციე- ლებული დანაშაულის ერთობლიობა. ასევე, თუ პირი, რომელიც თავს ასალებს გამოძიებლად, აწარმოებს მოქალაქეთა საცხოვრე- ბელი ბინების ჩხრეკას და ამასთან იპარავს გაჩხრეკილი ქონების ნაწილს, იგი პასუხს აგებს ორი დანაშაულის (თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისებისა და მოქალაქეთა პირადი ქონე- ბის მოპარვის) რეალური ერთობლიობისათვის. ყალბი დოკუმენ- ტის საშუალებით ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის თავის არი- დება, როგორც შენადგენი დანაშაული, ორი დანაშაულის — დე- ზერტირობისა და სიყალბის ნიშნებს შეიცავს. თუ ყალბი დოკუმენ- ტის გაკეთება წინ უსწრებდა ნამდვილი სამხედრო სამსახურისათ- ვის თავის არიდებას, მაშინ სუბიექტმა პასუხი უნდა აგოს არა ამ დე- ნაშაულთა ერთობლიობისათვის, არამედ ერთი შენადგენი დანა- შაულისათვის. პირიქით, თუ პირმა თავდაპირველად დეზერტირო- ბა ჩაიდინა, ხოლო შემდეგ ამ დანაშაულის დასაფარავად ყალბი დოკუმენტი გამოიყენა, მაშინ პირის ქმედობა არ შეიძლება შენად- გენ დანაშაულად განვიხილოთ; იგი პასუხს აგებს ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობისათვის<sup>16</sup>.

<sup>16</sup> იხ. მაგალითად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართ- ლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1944 წ. 1 თებერვლის განჩინება პ-ს საქმე- ზე („Сборник постановлений Пленума и определений коллегии Верховного Суда СССР 1944“. 1948, стр. 119). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1947 წ. აპრილის დადგენილება კ-ს საქმეზე М. М. Исаев и А. А.

• შეიძლება რეალური ერთობლიობის თითოეული დანაშაული ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს მხოლოდ იმით, რომ მათი „ავტორი“ ერთი და იგივე სუბიექტია (მაგალითად სპეკულაცია და მკვლელობა).

რეალური ერთობლიობის ამ ორი სახის გამიჯვნას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ აზრით: რომ ერთიანი ზრახვით გაერთიანებული რეალური ერთობლიობის დროს სხვა თანაბარი პირობების არსებობისას სასამართლომ სასჯელის უფრო მკაცრი ზომა უნდა შეუფარდოს დამნაშავეს, ვიდრე მხოლოდ სუბიექტის მიხედვით გაერთიანებული რეალური ერთობლიობისას. • ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობა უპირველეს ყოვლისა მოწმობს თვით სუბიექტის დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას. სწორედ ასეთ შემთხვევაში უფრო მყარი საფუძველი არსებობს იმისათვის, რათა ერთი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მეორე დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად იქნას ცნობილი. 7

---

П л о н т к о в с к и й, Вопросы уголовного права. военно-уголовного права и уголовного процесса в судебной практике Верховного Суда СССР, М., 1947, стр. 87—88).

## თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

### სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობისათვის

#### § 1. სასჯელის დანიშვნა თითოეული დანაშაულისათვის

1958 წ. საფუძვლებმა პირველად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიაში დანაშაულთა ერთობლიობის ყველა შემთხვევისათვის როგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელების დანიშვნის წესები ერთიან საკანონმდებლო დადგენილებად ჩამოაყალიბეს. ამ დადგენილების შინაარსი საფუძვლების 35-ე მუხლში ასეა ასახული: „თუ პირი ცნობილია დამნაშავედ ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენაში, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლით და რომელთაგან არც ერთისათვის იგი მსჯავრდებული არ ყოფილა, სასამართლო, დანიშნავს რა სასჯელს ყოველი დანაშაულისათვის ცალკე, საბოლოოდ განსაზღვრავს სასჯელს მათი ერთობლიობით; ამასთან უფრო მკაცრი სასჯელი ნიჭავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, ან დანიშნულ სასჯელებს აჯამებს მთლიანად ან ნაწილობრივ კანონის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს. ძირითად სასჯელს შეიძლება დაემატოს ყოველი სხვა დამატებითი სასჯელი, გათვალისწინებული კანონის მუხლებით, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას იმ დანაშაულთათვის, რომელთა ჩადენაში ეს პირი ცნობილი იყო დამნაშავედ. იმავე წესებით დაინიშნება სასჯელი, თუ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგენილ იქნა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის კიდევ სხვა დანაშაულში, რომელიც მან ჩაიდინა პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე. ამ შემთხვევაში სასჯელის ვადაში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ პირველი განაჩენით“.



საფუძვლების 35-ე მუხლის ზემომოტანილი დადგენილების შესაბამისად თანმიმდევრულად განხილული იქნება შემდეგი საკითხები: 1) სასჯელის დანიშვნა თითოეული დანაშაულისათვის, 2) საბოლოო სასჯელის დანიშვნა, 3) სასჯელთა შთანქმისა და შეჯამების პრინციპების გამოყენება განაჩენთა ერთობლიობისას.)

(თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის აუცილებლობა შემდეგი მომენტებითაა ნაკარნახევი:

1. თითოეული დანაშაულისათვის პირის მსჯავრდების, გააციხვის გზით შესაძლებელი ხდება სასჯელის სპეციალური და საერთო პრევენციის მიზნების რეალიზაცია პირს ენიშნება სასჯელი საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაულისათვის: იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან ერთდროულად სხვა, უფრო მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ამ გზით სასამართლო კანონის შესაბამისად ყოველგვარ კონკრეტულ დანაშაულს გასაციხვ, მიუტევებელ საქციელად აცხადებს. სასჯელი დანიშნული უნდა იქნას ისე, რომ როგორც მსჯავრდებულმა, ისე სხვა პირებმა აღიქვან ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, როგორც საკმაოდ რეპრესიული სასჯელის შეფარდების საფუძველი. ამით სპეციალური პრევენციის მიზანთან ერთად საერთო პრევენციის მიზანიც ხორციელდება; სასამართლო თავისი განაჩენით გამაფრთხილებელ ზემოქმედებას ახდენს სხვა პირებზე, თუნდაც მათ ნაკლებად საშიში დანაშაულის ჩადენა ჰქონდეთ განზრახული. ეს ქმნის მათ ფსიქიკაში საერთოდ დანაშაულის ჩადენის ხელის აღების შოტივს.

დანაშაულთა ერთობლიობისას თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს საერთო პრევენციის მიზნის არსებობა იმითაც დასტურდება, რომ ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის თვით სასჯელის ყველაზე მძიმე ღონისძიების სიკვდილით დასჯის შეფარდებისას, სასამართლოები მაინც უნიშნავენ დამნაშავეს სხვა დანაშაულთათვის უფრო ნაკლებად მკაცრ სასჯელს.) ასე მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1958 წ. 4 მარტს გამოტანილი განაჩენით დ-ს საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით, „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წლის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით— ოცი წლით შრომა-განაწორების ბანაკში პატიმრობა. ხოლო სს კოდექსის 144-ე მუხლის I ნაწილის „ა“ პუნქტის მიხედვით. „განზრახი მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შე-

სახებ. გამოცემული 1954 წლის 30 აპრილის ბრძანებულების საფუძველზე -- სასჯელის უმაღლესი ზომა -- სიკვდილით დასჯა. კოლეგიამ შთანთქმის პრინციპის მიხედვით დ-ს საბოლოო სასჯელად შეუფარდა სიკვდილით დასჯა. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯასთან შედარებით ნაკლებად მკაცრი სასჯელის დანიშვნას პრაქტიკულად თითქოსდა აზრი აღარ ჰქონდა. ვფიქრობთ, აქაც სასამართლოები ზოგადი პრევენციის მიზნებით ხელმძღვანელობენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ამჟამად გაუქმებული 1929 წ. 4 მარტის დადგენილება („განმარტება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 33-ე მუხლის არდელური და რეალური ერთობლიობის შესახებ“) ფრიად მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავდა განსახილველი საკითხის შესახებ.

მოტანილი დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული იყო: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი საწყისების 33-ე მუხლის პირდაპირი აზრით, სოციალური დაცვის ღონისძიების განსაზღვრისას იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედობა ერთდროულად შეიცავს რამდენიმე დანაშაულის ნიშნებს (იდეალური ერთობლიობა), აგრეთვე მაშინ, როდესაც ბრალდებული, ცნობილია დამნაშავედ რამდენიმე ცალკე დანაშაულის ჩადენაში (რეალური ერთობლიობა), სასამართლომ ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეალურ მოქმედებათა მთელი ერთობლიობა უნდა განიხილოს როგორც ერთი მთლიანი, რაც თავისთავად ადასტურებს ბრალდებულის პიროვნების საშიშროების მაღალ ხარისხს.) ეს უფლებას აძლევს სასამართლოს შეუფარდოს ბრალდებულს სოციალური ღონისძიების ისეთი ზომები და ისეთ ფარგლებში, რომლებიც აღნიშნულია კანონის იმ მუხლში, რომლის სანქციაშიც გათვალისწინებულია სოციალური დაცვის ძირითადი ღონისძიების ყველაზე უფრო მკაცრი ზომა“<sup>1</sup>.

პლენუმის მითითებას იმის შესახებ, რომ სასამართლომ ბრალდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულთა მთელი ერთობლიობა უნდა განიხილოს როგორც ერთი მთლიანი, რაც თავისთავად ადასტურებს ბრალდებულს პიროვნების საშიშროების მაღალ ხარისხს,

<sup>1</sup> „Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР. 1924—1957 гг.“, Госюриздат, М., 1958, стр. 56-57.

უშუალო დამოკიდებულება აქვს თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრასთან. „რას ნიშნავს განხილულ იქნას ერთობლიობა, როგორც ერთი მთლიანი, რომელიც ცალკეულ დამოუკიდებელ დანაშაულთაგან შედგება? ეს ნიშნავს ზუსტ იურიდიულ დახასიათებას. დაკვალიფიცირდეს თითოეული ქმედობა. დანიშნოს სასჯელი თითოეული დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად. რას ნიშნავს განხილულ იქნას ცალკეული დანაშაულობანი როგორც ერთიანობის შემქმნელნი, როგორც ერთობლიობა? ეს ნიშნავს თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მოცემულ შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას ერთობლიობის ფაქტის არსებობიდან გამომდინარე პირისა და ქმედობის მომეტებული საშიშროება“<sup>2</sup>.

ზოგიერთი კრიმინალისტი იმ აზრისაა, რომ ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას სხვა დანაშაული არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც დამამძიმებელი გარემოება) მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი მოითხოვენ თითოეული დანაშაულის იზოლირებულ განხილვას. ასე არის ეს საკითხი გადაწყვეტილი 1958 წ. საფუძვლების სამეცნიერო-პრაქტიკულ კომენტარებში. კომენტარების ავტორები წერენ: „საფუძვლების 35-ე მუხლში გათვალისწინებული ერთობლიობის ორივე სახისათვის დაწესებულია სასჯელის დანიშვნის ერთიანი წესი, რომლის შესაბამისადაც სასამართლო თავდაპირველად ნიშნავს თითოეული დანაშაულისათვის ცალკე სასჯელს. მასთანადავე, სასამართლომ დასაწყისში თითქოსდა ყურადღება არ უნდა მიაქციოს პირის მიერ რამდენიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტს და თითოეული დანაშაულისათვის დანიშნოს სასჯელი, რომელიც შეესაბამება მის ხასიათსა და საშიშროებას“<sup>3</sup>.

ვფიქრობთ, მოტანილი დებულება ერთგვარ კორექტივს საჭიროებს. როგორც აღინიშნა. პლენუმის 1929 წ. 4 მარტის დადგენილება სამართლიანად მოითხოვდა, რომ მთელი ერთობლიობა განხილული ყოფილიყო როგორც ერთი მთლიანი. გარდა ამისა, საფუძვლების 35-ე მუხლის თვალსაზრისით საბოლოო სასჯელი განსაზღვრული უნდა იქნას, დამოუკიდებლად იმისა. თუ რომელ

<sup>2</sup> А. М. Яковлев. Совокупность преступлений по советскому уголовному праву. Госюриздат. М., 1962. стр. 95.

<sup>3</sup> Научно-практический комментарий к Основам уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Ответственные редакторы: В. Д. Меньшагин, П. С. Ромашкин. (второе издание), Госюриздат, М., 1961, стр. 143.

პრინციპს გამოიყენებს სასამართლო (შთანთქმის თუ შეჯამების) თითოეული დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელთა ერთობლიობით. ეს კი საფუძველს გვაძლევს ზოგადად ვამტიკოთ. რომ ამიერიდან უკვე საკანონმდებლო წესს წარმოადგენს დანაშაულთა ერთობლიობის ერთ მთლიანობაში შეფასება. ეს საერთო წესი. ჩვენი შეხედულებით ერთგვარ დიფერენციაციას მოითხოვს იმის მიხედვით, თუ ერთობლიობის რომელ სახესთან გვაქვს საქმე. ამ დიფერენციაციის გათვალისწინება შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს გადაწყვიტოს, თუ სახელდობრ საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას რომელ პრინციპს (შთანთქმის თუ შეჯამების) მისცეს უპირატესობა ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში.

ზევით აღნიშნული იყო, რომ რეალური ერთობლიობა, იმისდა მიხედვით, თუ როგორია მასში შემავალ დანაშაულთა კავშირის ხარისხი, შეიძლება დაიყოს ორ სახედ: 1) მხოლოდ სუბიექტის ერთიანობით დაკავშირებული რეალური ერთობლიობა და 2) ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობა. ასევე, იდეალური ერთობლიობის სახეებია: 1) ბრალის სხვადასხვა ფორმის მქონე იდეალური ერთობლიობა და აგრეთვე იდეალური ერთობლიობა, რომელშიც თითოეული დანაშაული გაუფრთხილებელი ბრალით ხასიათდება და 2) იდეალური ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ განზრახ დანაშაულობებს შეიცავს.

თუ მოტანილ კლასიფიკაციას მოვიშველიებთ. მაშინ შეიძლება ასეთ დასკვნამდე მივიდეთ. ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მეორე დანაშაული იზოლირებულად უნდა იქნას განხილული მაშინ. როდესაც საკითხი ეხება მხოლოდ სუბიექტის ერთიანობით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობას და მაშინ, როდესაც განხორციელებულია ბრალის სხვადასხვა ან მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალის მქონე იდეალური ერთობლიობა. ასეთ შემთხვევებში ჩადენილ დანაშაულთა შორის არ არსებობს ის შინაგანი კავშირი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ერთი დანაშაული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად გვეცნო მეორესათვის სასჯელის განსაზღვრის დროს. პირიქით, ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მეორე დანაშაული განხილული უნდა იქნას. როგორც დამამძიმებელი გარემოება მაშინ, როდესაც საქმე გვქვს ერთიანი ზრახვით დაკავშირებულ რეალურ ერთობლიობასთან და აგრეთვე მაშინ. როდესაც იდეალურ ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაული განზრახნი ბრა-

ლით ხასიათდება. აქ უკვე ჩადენილ დანაშაულთა ღრმა სუბიექტური კავშირი შესაძლებლობას იძლევა ერთ დანაშაულს პასუხისმგებლობის დამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა მივანიჭოთ მეორე დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს.)

ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითების მოტანა: თანამდებობის პირი იღებს ქრთამს და ამის გამო ქრთამის მიმცემის ინტერესებისათვის ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას (ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალური ერთობლიობა). სასამართლო, ცხადია, ქრთამის აღებისათვის სასჯელის განსაზღვრისას გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ თანამდებობის პირმა არა მარტო ქრთამი აიღო, არამედ თავისი თანამდებობა ბოროტად გამოიყენა. ეს უსათუოდ ზემოქმედებას მოახდენს ერთი მხრივ, ქრთამის აღებისათვის სასჯელის ზომის განსაზღვრაზე და მეორე მხრივ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის სასჯელის განსაზღვრაზე. ეს რომ ასეა, საკმარისია ამისათვის შევცვალოთ მაგალითი: თანამდებობის პირმა მხოლოდ ქრთამი აიღო, მაგრამ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება მან ვეღარ შეძლო. ბუნებრივია, ამ მეორე შემთხვევაში თავისთავად ქრთამის აღებისათვის თანამდებობის პირი უფრო მსუბუქად დაისჯება, ვიდრე პირველ მაგალითში.

ახლა მოვიტანოთ იდეალური ერთობლიობის ისეთი მაგალითი, სადაც დანაშაულობანი ერთმანეთთან მჭიდრო სუბიექტურ კავშირში იმყოფებიან და ამასთან განზრახი ბრალით ხასიათდებიან: თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით თანამონაწილეობს სპეკულაციაში. მოტანილ მაგალითშიც ერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო გვერდს ვერ აუვლის მეორე დანაშაულს. ახლა შევცვალოთ მოტანილი მაგალითი: თანამდებობის პირი ჯერ ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, ხოლო შემდეგ თანამონაწილეობს სპეკულაციაში როგორც კერძო პირი. აქ ერთი დანაშაული იმდენად იზოლირებულია მეორისაგან, რომ შეუძლებელია პასუხისმგებლობის დამძიმებაზე ვილაპარაკოთ.

ეს თუ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელი არ იქნება განსაზღვრული, ეს მეტად სერიოზულ პროცესუალურ დაბრკოლებას წარმოშობს. სახელდობრ: გართულდება სისასლის სამართლის საქმეთა საკასაციო და საზედამხედველო წესით განხილვა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1946 წ. 15 თებერვლის დადგენილებაში „რსფსრ სსკ 49-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების მოთხოვნათა შესრულების შესახებ“ აღნიშნული იყო: „სამხედრო ტრიბუნალის 1945 წ. 13 ნოემბრის განაჩენით, რომელიც ძალაში იქნა დატოვებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1945 წ. 18 დეკემბრის განჩინებით, დ-ს რსფსრ სს კოდექსის 162-ე მუხლის „გ“ პუნქტისა და 1931<sup>5</sup> მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე, ერთობლიობით მიესაჩივრებოდა 4<sup>4</sup> წლით თავისუფლების აღკვეთა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით, უფლებების აუყრელად. დ-ს მიმართ ერთობლიობით სასჯელის დანიშვნისას სამხედრო ტრიბუნალმა არ განსაზღვრა წინასწარ სასჯელი თითოეული დანაშაულისათვის, რისთვისაც დ. ცნობილი იქნა დამნაშავედ. ამით სამხედრო ტრიბუნალმა დაარღვია რსფსრ სს კოდექსის 49-ე მუხლი, რომლის მიხედვით ასეთ შემთხვევაში (სასამართლო ვალდებულია განსაზღვროს ცალკე სასჯელი თითოეული დანაშაულისათვის და ამის შემდეგ საბოლოოდ დანიშნოს სასჯელი სს კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილ დანაშაულთა შორის ყველაზე მძიმე დანაშაულს და ყველაზე მძიმე სასჯელს.) აღნიშნულის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ადგენს: სამხედრო ტრიბუნალის 1945 წ. 13 ნოემბრის განაჩენი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 1945 წ. 18 დეკემბრის განჩინება დ-ს საქმეზე გაუქმდეს და მისი საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას ხელახლა განსახილველად. ვინაიდან კანონის მოთხოვნის ზემოაღნიშნულ დარღვევას ადგილი აქვს სხვა სასამართლო ორგანოების პრაქტიკაშიც, სასამართლო წყობილების კანონის 75-ე მუხლის შესაბამისად ეს დადგენილება მიღებული იქნას როგორც სახელმძღვანელო დადგენილება სასამართლო ორგანოებისათვის რსფსრ სს კოდექსის 49-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების მოთხოვნათა აუცილებლად შესასრულებლად, სადაც გათვალისწინებულია ანალოგიური წესი“<sup>4</sup>.

გარდა პლენუმის ზემომოტანილ დადგენილებაში მითითებული შეცდომისა, ზოგიერთი სასამართლო უგულებელყოფს ერთობლიობაში შემავალ შედარებით ნაკლებად მძიმე დანაშაულის მართებულ

<sup>4</sup> „Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1951 гг.“, Госюриздат. М., 1952. стр. 66-67.

კვალიფიკაციას იმ მოსაზრებით, რომ მისთვის დანიშნული სასჯელი შთაინთქმება უფრო მძიმე სასჯელით. ნათელია, ასეთი განაჩენი კანონს ეწინააღმდეგება.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლომ „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების I მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ფ-ს მიუსაჯა ექვსი წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა, საქართველოს სსრ სს კოდექსის 1928 წ. 72-ე მუხლის მე-2 ნაწილით — ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ ფ-ს შთანთქმის პრინციპის საფუძველზე მიესაჯა ექვსი წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა. საქართველოს სსრ სს კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით ფ-ს შეუმცირდა სასჯელი ორი წლით და მოსახდელად შეეფარდა ოთხი წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა. ფ-ს საკასაციო საჩივრის გამო მიხი საქმე 1957 წ. 15 იანვარს განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. კოლეგიის მიერ ამ საქმეზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია: „სასამართლომ ფ-ს ქმედობა უსწოროდ გადააკვალიფიცირა 1928 წ. სს კოდექსის 75-ე მუხლის I ნაწილიდან 72-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, მაგრამ ვინაიდან ამ მუხლით შეფარდებული სასჯელი დაფარულია 4/IV-ის ბრძანებულებით განსაზღვრული სასჯელით, ამ მოტივით განაჩენის გაუქმება მიზანშეუწონელია“.

კოლეგიის ასეთი მოსაზრება უმართებულოა. დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის პრინციპი მოითხოვს, რომ ზუსტად და კონკრეტულად იქნას კვალიფიცირებული დამნაშავეს მიერ ჩადენილი თითოეული დანაშაული. თუ ქმედობის კვალიფიკაცია არასწორი იყო, კოლეგიას უნდა გაეუქმებინა განაჩენი და დაებრუნებინა საქმე.

ერთგვაროვან დანაშაულთა შესახებ საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია ზოგჯერ არ დააბრუნოს საქმე ახალი გამოკვლევისათვის, თუნდაც დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი ნაკლებად საშიში ერთგვაროვანი დანაშაულის გამო პირს შალდება წაყენებული არ ქონდეს. (ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თვითონვე შეუძლია წაუყენოს ბრალდება მსჯავრდებულს.) ასე მაგალითად, ა-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა: „თუ სახელმწიფო და საზოგადო ქონების გა-

ტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წლის 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების მიხედვით წაყენებული ბრალდების ფორმულა მოიცავს ისეთ ეპიზოდს, რომელიც კვალიფიცირებული უნდა იქნას როგორც წვრილმანი გატაცება. სასამართლოს შეუძლია, საქმის ახალი გამოძიებისათვის გაგზავნის გარეშე, დააკვალიფიციროს ეს ეპიზოდი 1955 წ. 10 იანვრის ბრძანებულებით<sup>5</sup>.

საკასაციო ან საზედამხედველო ინსტანცია ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის ბრალდების მოხსნისას მოვალეა დანიშნოს ერთობლიობით ახალი სასჯელი ისე, რომ არ გადაამეტოს სხვა დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს. საკასაციო და საზედამხედველო პრაქტიკა ვეიხვენებს, რომ თუ ბრალდება დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის მოხსნილია, მაშინ საბოლოო სასჯელად დატოვებული უნდა იქნას ის სასჯელი, რომელიც ყველაზე მძიმეა სხვა შეფარდებულ სასჯელებთან შედარებით. ამასთან დაუშვებელია ამ სასჯელის მთლიანი ან ნაწილობრივი ამოღება. მაგრამ, თუ ის დანაშაული, რომლის გამოც ბრალდება მოიხსნა, მკიდრო სუბიექტურ კავშირში იმყოფება სხვა დანაშაულთან, მაშინ, ვფიქრობთ, გამორიცხული არაა სხვა დანაშაულისათვის გადაწყვეტილი სასჯელის შემცირება. აქედანაც ცხადი ხდება, თუ რამდენად სერიოზული მნიშვნელობა აქვს ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნას.

ყარაგანდის ოლქის ტელმანის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით ჩ-ს რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 109 მუხლის საფუძველზე მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამი წლით, 111-ე მუხლით თავისუფლების აღკვეთა ორი წლით, ხოლო ერთობლიობით -- თავისუფლების აღკვეთა სამი წლით. ყარაგანდის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ამ საქმის საკასაციო წესით განხილვისას სცნო, რომ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ნაწილში ჩ-სადმი წაყენებული ბრალდება დამტკიცებული არ არის და რომ მისი მოქმედება შეიცავს დანაშაულებრივი დაუდევრობის ნიშნებს. ამის გამო კოლეგიამ ჩ. ბრალეულად სცნო მხოლოდ რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 111-ე მუხლით, ხოლო რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 109-ე მუხლით წაყენებული ბრალდება განაჩენიდან გამორიცხა. ამასთან კოლეგიამ განაჩენი სასჯელის ნაწილში უცვლელად დატოვა, ე. ი. ძალაში დატოვა ის საბოლოო სასჯელი, რომელიც რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 109 მუხლით იყო განსაზღვრული.

<sup>5</sup> „Советская юстиция“, 1958, № 11, стр. 93.



სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1949 წ. 23 მარტს ჩ-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში აღნიშნა, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ სასჯელის განსაზღვრის ნაწილში კანონის დარღვევა დაუშვა. განაჩენიდან რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 109-ე მუხლით ბრალდების გამორიცხვისას სასამართლოს უფლება არ ქონდა ძალაში დაეტოვებინა ამ მუხლის საფუძველზე გადაწყვეტილი სასჯელი. როდესაც სასამართლომ ჩ. ბრალეულად სცნო რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის მხოლოდ 111-ე მუხლით, საოლქო სასამართლოს კოლეგიას სასჯელი უნდა განესაზღვრა მხოლოდ ამ მუხლით, ე. ი. ძალაში უნდა დაეტოვებინა სახალხო სასამართლოს განაჩენი რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით ორი წლით თავისუფლების აღკვეთის შესახებ მსჯავრდების ნაწილში. ქვედა ინსტანციის სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც გამორიცხა ბრალდება რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 109-ე მუხლის მიხედვით და ამასთან არ შეცვალა განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელის ზომა. გაუდიდა ჩ-ს სასჯელი რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 111-ე მუხლით იქასთან შედარებით, რაც განსაზღვრული იყო სახალხო სასამართლოს მიერ. ამით დარღვეული იქნა რსფსრ 1923 წ. სისხ. სამ. კოდექსის 419<sup>ა</sup> მუხლის მოთხოვნა. ამის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩ-ს რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 111-ე მუხლით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლით<sup>6</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ყოველთვის გამოყოფდა საკითხს დანაშაულთა ერთობლიობისათვის განაჩენის გამოტანის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვან დებულებებს ითვალისწინებდა საქართველოს სსრ 1960 წ. სისხ. სამ. საბრ კოდ. 318-ე და 308-ე მუხლები. 318-ე მუხლი გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სავალდებულოდ თვის აღნიშნოს: „როგორი სახის და რა ზომის სასჯელი დაედო სამართალში მიცემულს თითოეული დანაშაულისათვის, რომელიც ცნობილია დამტკიცებულად; მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა საქართველოს სს სისხლის სამართლის კოდექსის 40 და 41 მუხლების შესაბამისად...“ 304-ე მუხლში ნათქვამია: „თუ სამართალში მიცემულს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში. სასამართლო წყვეტს ამ მუხლის 1—5 პუნქტებში აღნიშნულ საკითხებს ყო-

<sup>6</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1949, № 8, стр. 11.

ველი დანაშაულის გამო ცალ-ცალკე“. ამრიგად, საპროცესო კანონმდებლობა საკმარისად არ თვლის მითითება ბრალდებულის ძიერ ჩადენილ სხვადასხვა დანაშაულზე გამამტყუნებელი განაჩენის მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილში. არამედ მოითხოვს გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით ნაწილში ასახული იქნას ის, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ბრალად შერაცხული დანაშაულობანი. სამწუხაროდ, სასამართლოები ზოგჯერ არ იცავენ ამ წესს.

კომის ასსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წ. 18 მაისის განაჩენით ტ. მსჯავრდებული იქნა რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 73-ე მუხლის 1 ნაწილით. ამ დანაშაულთა ჩადენისათვის ტ-ს მიესაჯა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, რომელმაც განიხილა საქმე, მსჯავრდებულის საკაცო საჩივრის გამო. აღნიშნა: „როგორც განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ჩანს, სასამართლომ ტ. ბრალეულად ცნო და მას მსჯავრი დაადო ზემოაღნიშნული ორთავე დანაშაულისათვის. მაგრამ განაჩენის აღწერილობითი ნაწილი წინააღმდეგობაშია სარეზოლუციო ნაწილთან. მასში აღწერილია მხოლოდ ერთი დანაშაულის — ხუთი წლისა — შემადგენლობა, ხოლო რაში გამოიხატა ტ-ს წინააღმდეგობა ხელისუფლების წარმომადგენლისადმი, განაჩენის აღწერილობით ნაწილში მითითებული არაა. განაჩენში სასამართლო მიუთითებს, რომ ტ-ს ბრალდება როგორც სელიჯნობასა, ისე წინააღმდეგობის გაწევაში დამტკიცებულია. მაგრამ რამდენადაც სასამართლომ არ მიუთითა, თუ სასჯელდობრ რაში გამოიხატა ეს წინააღმდეგობა, განაჩენი არ შეიძლება სწორად იქნას ცნობილი და იგი უნდა გაუქმდეს“<sup>7</sup>.

დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის მნიშვნელობა კლინდება ავრთვე ამნისტიის შეფარდების დროს. თუ სასჯელი დანიშნული იყო თითოეული დანაშაულისათვის. მაშინ სიძნელეს აღარ წარმოადგენს გაირკვეს, სახელდობრ, რომელი დანაშაულისათვის უნდა შეეფარდოს დამნაშავეს ამნისტია. თითოეული დანაშაულისათვის სასჯელი შეუფარდებლობა სერიოზულ სიძნელეებას წარმოადგენს, რადგანაც ამნისტიის განმარტოებელ ორგანოებს შესაძლებლობა არა აქვთ გადაწყვიტონ მსჯავრდებულის შემდგომი ბედი.

<sup>7</sup> „Советская юстиция“, 1958, № 10, стр. 92.

დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის მნიშვნელობა განსაკუთრებით დადასტურდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წ. 7 ივლისის ბრძანებულების „პიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებთან დაკავშირებით ამნისტიის შესახებ“ შეფარდების დროს. ამ ბრძანებულებამ სასამართლო პრაქტიკაში წარმოშვა საკითხი ამნისტიის შეფარდების წესის შესახებ იმ მსჯავრდებულთა მიმართ, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ დანაშაულთა ერთობლიობისათვის: იაე, რომ განაჩენში მითითებული იყო მხოლოდ ერთობლიობა შეფარდებული სასჯელის საბოლოო ზომა, ხოლო სასჯელის ზომა თითოეული დანაშაულისათვის განსაზღვრული არ იყო. ამის გამო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი იძულებული გახდა 1945 წ. 19 სექტემბერს სპეციალური დადგენილება მიეღო. პლენუმმა ასეთი მითითება მისცა სასამართლოებს: „1) იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობისათვის მსჯავრდებისას განაჩენში მითითებული არ არის სასჯელის ზომა ცალ-ცალკე ერთობლიობაში შემავალი თითოეული დანაშაულისათვის, რაც შეუძლებელს ხდის გადაიჭრას საკითხი ამნისტიის მთლიანად ან ნაწილობრივ შეფარდების შესახებ, და ამით საექვეო ხდება განაჩენის შემდგომი ასრულების საკითხი,—სასამართლოებმა. სათანადო პროკურორის წარდგინებით და რსფსრ სისხ. სამ. საპ. კოდექსის 461-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამ. საპ. კოდექსის სათანადო მუხლებში გათვალისწინებული წესის შესაბამისად, უნდა განიხილონ საქმე და განსაზღვრონ სასჯელი ცალ-ცალკე თითოეული დანაშაულისათვის. 2) საქმეები უნდა განიხილონ სათანადო სასამართლო ორგანოებმა სასჯელის მოხდის ადგილის მიხედვით პროკურორის სავალდებულო მონაწილეობით. 3) იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საქმის გამოთხოვა შეუძლებელია, საკითხი განიხილება საპატიმრო ადგილას არსებული განაჩენის ასლისა და პატიმართა პირადი საქმის საფუძველზე. 4) ასევე, I პუნქტში აღნიშნულ შემთხვევაში, სასჯელის განსაზღვრა ცალ-ცალკე თითოეული დანაშაულისათვის შეიძლება წარმოებულ იქნას აგრეთვე საქმის საკასაციო ან სასამართლო-საზედამხედველო წესით განხილისას“.

დასასრულს თითოეული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მსჯავრდებულის პირობით ვადაძლე

<sup>5</sup> „Сборник действующих постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—1955 гг.“. Госюриздат, М., 1952. стр. 72-73.

გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას. ამ საკითხზე სსრ შიროს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წ. 6 მაისს მიიღო ადგილობრივი დადგენილება „სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 პუნქტის გამოყენების შესახებ“. ამ დადგენილებაში ნათქვამია: „სასამართლო ორგანოებიდან შემოსული შეკითხვების გამო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის კონსტიტუციის 49 მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე აღიკვეთა“:

განმარტებულ იქნეს, რომ იმ პირების მიმართ, რომლებსაც სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 1, მუხ. 6) 35 მუხლით ან 36 მუხლით გათვალისწინებული წესის თანახმად ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენის გამო დანიშნული აქვთ სასჯელი, თუ კი ამ დანაშაულთაგან ერთი მაინც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 44 მუხლის მეოთხე ნაწილის 3 პუნქტით, პირობით ვადამდე გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება.

უკეთეს პირი სასჯელს იხდის ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენის გამო, რომელთაგან ერთისათვის პირობით — ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაქტიურად მოხდელი იქნება დანიშნული სასჯელის ვადის სულ ცოტა რძე მესამედი. ხოლო მეორისათვის — მას შემდეგ, რაც მოხდელი იქნება დანიშნული სასჯელის ვადის სულ ცოტა ნახევარი მაინც, ასეთი პირის მიმართ პირობით — ვადამდე გათავისუფლება ან დანიშნული სასჯელის ვადის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებული იქნეს მას შემდეგ, რაც იგი მოიხდის იმ სასჯელის ვადის სულ ცოტა ორ მესამედს მაინც, რომელიც დანიშნული აქვს სასჯელთა ერთობლიობით ან რამდენიმე განაჩენით.

უკეთეს პირი სასჯელს იხდის ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენის გამო. მათ შორის იმ დანაშაულთა გამო, რომლებიც მან ჩაიდინა როგორც მანამდე, სანამ თვრამეტი წლის ასაკისა გახდებოდა, ისე მას შემდეგაც, რაც თვრამეტი წლისა გახდა, მისი პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხი ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის საკითხი გადაწყდება საერთო

საფუძველზე. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სის-  
ხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველების 44 მუხლით  
გათვალისწინებული წესით. ამასთან 44 მუხლის გამოყენებ-  
ისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ პირისათვის დანიშნუ-  
ლი სასჯელის საერთო ვადა, თუბრა 44 მუხლის გამოყენების  
პირობებს კანსაზღვრავს დანაშაულობანი, ჩადენილი მას შემდეგ.  
რაც იგი თვრამეტი წლისა გახდა“.

## § 2 საბოლოო სასჯელის დანიშვნა

დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი თათოველი დანაშა-  
ულისათვის სასჯელის განსაზღვრის შემდეგ დგება საკითხი საბო-  
ლო სასჯელის დანიშვნის შესახებ. საფუძველების 35-ე მუხლში  
(სს კოდექსის მე-40 მუხლი) დანაშაულთა ერთობლიობისას საბო-  
ლო სასჯელის დანიშვნის შესახებ ნათქვამია: „სასამართლო, და-  
ნიშნავს რა სასჯელის ყოველი დანაშაულისათვის ცალ-ცალკე. სა-  
ბოლოდ განსაზღვრავს სასჯელს მათი ერთობლიობით, ამასთან  
უვრო მკაცრი სასჯელი ნათქვამს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, ან და-  
ნიშნულ სასჯელს აჯამებს მთლიანად ან ნაწილობრივ კანონის იმ  
~~მუხლით~~ დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო  
მკაცრ სასჯელს“<sup>9</sup>.

ამრიგად, საფუძველების 35-ე მუხლის მიხედვით დანაშაულთა  
ერთობლიობისათვის საბოლოო სასჯელი შეიძლება დაინიშნოს  
შთანთქმის ან შეჯამების პრინციპის მიხედვით.

შთანთქმის პრინციპის მიხედვით საბოლოო სასჯელის დანიშვნა  
ასე მიმდინარეობს: დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი თითო-  
ეული დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელთაგან საბოლოო

<sup>9</sup> საქართველოს სსრ 1960 წ. სს კოდექსის მე-40 მუხლში აქ ჩამატებულია სიტყვები: „ან მუხლის ნაწილით“.

<sup>10</sup> სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლო-  
ბანი დანაშაულთა ერთობლიობისათვის საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ითვა-  
ლისწინებენ სასჯელთა რიგობრივ შთანთქმისა და ამაღლების. იხე შეჯამების  
პრინციპებს. ასე მაგალითად, შთანთქმის პრინციპი გათვალისწინებულია მოწ-  
ლოდეთის სახალხო რესპუბლიკის სს კოდექსის 47-ე მუხლში. ხოლო რუმინე-  
თის სახალხო რესპუბლიკის სს კოდექსის 101 ნუხლი უწევებს როგორც შთან-  
ქმის, იხე განსაზღვრულ ფარგლებში სასჯელის ამაღლებას პრინციპების განო-  
ყენებას.

ჯელად ამოირჩევენ იმას, რომელიც უფრო მკაცრია და მას ხელმეორედ. მაგრამ ამჟამად საბოლოო სასჯელის სახით მიუთითებენ ვანუნაშვილის საფუძვლებზე 35-ე მუხლის საფუძველზე შთანთქმის პრინციპი უშუალოდ გამომდინარეობს თათოებური დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის ფაქტიდან. ამასთან მსედველობაში მიიღება ჩადენილ დანაშაულთა ფაქტიური საშიშროება, რაც სასჯელის ზომის განსაზღვრისას გამოვლინდება. ამით საფუძვლებმა იაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საბოლოო სასჯელად დანიშნული უნდა იქნას სწორედ ის სასჯელი. რომელიც მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის იმთავითვე იქნა საზღვრული. შთანთქმის პრინციპის ასეთი ფორმულირებით საფუძვლებმა, შეიძლება ითქვას, საკანონმდებლო დასტური მისცა ჯერ კიდევ 1942 წ. 27 ივნისს შ-ს საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში განვითარებულ დებულებას: „ტუ საქმეში დადგინდა: ორი ისეთი დანაშაულის ერთობლიობა, რომელთაგანაც ერთი, ყველაზე მძიმე დანაშაული, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, სავიროა კვალიფიცირებული იქნას სს კოდექსის ამ მუხლით. რომელიც ითვალისწინებს ნაკლებად მკაცრ სასჯელს. ვიდრე ერთობლიობაში შემავალი მეორე დანაშაული.“ — სასამართლოს უფლება არა აქვს, დანიშნავს რა უფრო მკაცრ სასჯელს მეორე, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, შეუფარდოს ამავე დროს ერთობლიობით სასჯელი იმ ფარგლებზე ზევით. რომელიც გათვალისწინებულია საქმის გარემოებების მიხედვით ძირითადი. უფრო მძიმე დანაშაულისათვის“<sup>11</sup> უნებტეს წილად ერთობლიობაში შემავალი ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის კანონით უფრო მძიმე სასჯელი დაწესებული, მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდია.

ლ-მ და ს-მ 1954 წ. 2 ოქტომბერს ღამით ყაჩაღური თავდასხმა მოაწყვეს კ-სა და ი-ზე. წაართვეს პირველს მაჯის საათი. ხალო მეორეს 25 მანეთი. იმავე საღამოს ლ-მ და ს-მ წაართვეს უცხოური მარკის საათი მოქ. ლ-ვას. 2 ოქტომბერს ღამით ლ-მ დაუდგენელ პირებთან ერთად გატეხა სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოების მაღახის საწყობი და გარტაცა 1388 მანეთის და 48 კაპიკის ღირებულების არაყი. 4 ოქტომბერს ლ-მ გატეხა ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის შანტის განყოფილების მუშათა მომარაგების განყოფილების

<sup>11</sup> „Вопросы уголовного процесса в практике Верховного Суда СССР“, Юридизат. М., 1948, стр. 13.

№ 7 სასაბუღალტრო საკუჭნაო, საიდნაც გაიტაცა 3519 მანეთის ღირებულების არაყი და სასურსათო საქონელი.

როსტოვის საოლქო სასამართლოს სისსლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1955 წ. 27 მაისს ლ-ს „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისსლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების მე-3 მუხლით მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა რვა წლით, იმავე ბრძანებულებას მე-2 მუხლით — შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა ათი წლით. 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებას „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით — შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა ოცი წლით, ხოლო ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობისათვის „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით — შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა ოცი წლით. ს-ს იმავე ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა თხუთმეტი წლით შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა<sup>12</sup>.

მოტანილ მაგალითში სასამართლომ ყველაზე მკაცრი სასჯელი და მამულისადამე, საბოლოო სასჯელი დანიშნა არა იმ მუხლის მიხედვით. რომელიც საერთოდ სასჯელის უფრო მკაცრ ზომას ითვალისწინებდა, არამედ იმ დანაშაულის შესაბამისი მუხლით. რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სხვა დანაშაულობებთან შედარებით უფრო დიდი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდებოდა.

სასჯელთა შთაინტეგრირების პრინციპის გამოყენებისას უნდა გვახსოვდეს. რომ სიმკაცრის თვალსაზრისით ორი ან მეტი სასჯელის ერთმანეთთან შედარებისას. როგორც წესი, თავდაპირველად მხედველობაში უნდა მივიღოთ სასჯელის სახე. ხოლო შემდეგ, თუ ამას თვით სასჯელის შინაარსი ითვალისწინებს, მისი ვადა. ქვედან გამომდინარეობს, რომ სხვადასხვაგვაროვანი სასჯელების დანიშვნის დროს სასჯელის ნაკლებად მკაცრი სახე შთაინტეგრირება უფრო მკაცრი სახით, ხოლო ერთგვაროვანი სასჯელების დანიშვნისას — ნაკლები ვადით დანიშნული სასჯელი შთაინტეგრირება მეტი ვადით დანიშნული სასჯელით. ქონებრივი სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრ სასჯელად ჩაითვლება ის, რომელიც მეტი ღირებულების გადახდას აკისრებს დამნაშავეს. თუ სხვადასხვა დანაშაულისათვის ერთგვა-

<sup>12</sup> იხ. Н. А. Стручков, Назначение наказания при совокупности преступлений, Госюриздат, М., 1957, стр. 83—84.

როც.ნი სასჯელის სხვადასხვა სახეა დანიშნული, მაშინ მისი მძიმე სახე შთანთქავს უფრო მსუბუქ სახეს. მაგალითად, თვისუფლებით აღკვეთა საპრობილზე მოთავსებით შთანთქავს თავისუფლების აღკვეთას შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით, მაგრამ თუ პირველი განსაზღვრულია უფრო მცირე ვადით, მაშინ მკერე შთანთქავს პირველს.

გამასწორებელი სამუშაოები. რაც მოხდის უნდა იქნას გუშაობის ადგილზე. აელფასიდან დაქვეითვას შეტყობის რეაქტივით. შთანთქავს იმავე სახის სასჯელს ხელფასიდან დაქვეითვის ნაკლები პროცენტით. თუ დაქვეითვის საერთო ჯამი ორთავე შემთხვევაში თანაბარია, ხოლო გამასწორებელ სამუშაოთა ხანგრძლივობა სხვადასხვაა, მაშინ უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც ითვისების წინებს დაქვეითვას ნაკლები ვადის განმავლობაში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა პირობადებულია მით, რომ თანაბარი თანხის გადასდევიანება მოკლე დროში უფრო მკაცრი სასჯელია. ვიდრე იმავე თანხის უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე გადახდევიანება.

შთანთქმის პრინციპის გამოყენება გამორიცხული არ არის მაშინ. როდესაც სხვადასხვა დანაშაულისათვის დანიშნულია ჯარიმა და გამასწორებელი სამუშაოები. სს კოდექსის 30-ე მუხლი აწესებს ჯარიმისა და გამასწორებელ სამუშაოთა ანეთ პროპორციას: ჯარიმა ერთი მანეთის რაოდენობით თანაბარია ერთი დღის გამასწორებელი სამუშაოებისა. ამასთან ჯარიმის გამასწორებელი სამუშაოებით შეცვლისას, ამ უკანასკნელმა არ უნდა გადააშეტოს ერთ წელს. ასეთი პროპორციის დაცვით ამ სასჯელთავე შთაინთქმება ის, რომელიც ფულად ერთეულზე გადაყვანით ნაკლები რაოდენობისაა. ამ თვალსაზრისით მართებულად უნდა ვცნოთ ქ. ქუთაისის ყოფილი მე-5 უბნის სახალხო სასამართლოს 1958 წ. 18 იანვრის განაჩენი ჯ-ს საქმეზე. სასამართლომ ჯ-ს საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 155-ე მუხლით მიუსაჯა შრომა-გასწორების სამუშაოები, ერთი წლით, ხოლო საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 103 მუხლით — ჯარიმა 3.000 მანეთის რაოდენობით. სასამართლო სწორად მოიქცა, როდესაც შთანთქმის პრინციპის საფუძველზე ჯ-ს საბოლოო სასჯელად შეუფარდა ჯარიმა 3.000 მანეთის რაოდენობით. მართლაც, ერთი წლის შრომა-გასწორებით სამუშაოები ჯარიმაზე გადაყვანით უდრის 1200 მანეთს. მაშასადამე, ჯარიმა 3.000 მანეთის რაოდენობით შთანთქავს ჯარიმას 1200 მანეთის რაოდენობით.



საფუძვლების 35-ე მუხლი შთანთქმავს. ერთად სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპსაც ითვალისწინებს. ამ მუხლის შესაბამისად. სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამება ხდება იმ „მუხლით დადგენილ ფარგლებში. რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს“. ამრიგად, დანაშაულთა ერთობლიობისას ერთობლივად შეჯამებულმა სასჯელმა არ შეიძლება გადაამეტოს შესაბამისი მუხლის სანქციას. ეს ლოგიკურიცაა. როდესაც კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმუმს აწესებს, ეს იმას ნიშნავს. რომ ამ მაქსიმუმს სასამართლო ვერაერთად შემთხვევაში ვერ გასცდება, თუნდაც მოცემულ დანაშაულს თან ახლდეს რამდენიმე დამამიძებელი გარემოება. თუნდაც დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება მეტად დიდი იყოს, ან მას რამდენიმე დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი. კანონმდებლის ამ პოზიციაზე ნათლად ვლინდება საბჭოთა სისხლის სამართლისათვის დამასასიათებელი სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპები. ასეთ შემთხვევებში მხოლოდ დამატებითი სასჯელის დანიშვნით შეიძლება განსორციელდეს მოთხოვნა დანაშაულთა ერთობლიობისათვის საკმაოდ რეპრესიული ღონისძიების დანიშვნის შესახებ.

— როგორც აღინიშნა, დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს საბოლოო შეჯამებულმა სასჯელმა არ უნდა გადაამეტოს შესაბამისი მუხლის სანქციას. ამ დებულების გამოყენება ადვილია მაშინ, როდესაც ხდება ერთგვაროვანი სასჯელების შეჯამება. რაც შეეხება არაერთგვაროვანი სასჯელების შეჯამებას. აქ თავდაპირველად საჭიროა მათი ერთ საერთო სნიშვნელზე დაყვანა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება უშუალო შეჯამება.

ასეთ საერთო სნიშვნელზე დაყვანისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ ნორმებით, რომლებიც სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლშია გათვალისწინებული. ამ მუხლის თანახმად, 1. თავისუფლების აღკვეთისა და სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების შეკრებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეეთარდება სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების ერთი დღე. 2. თავისუფლების აღკვეთისა და გადასახლების ან გასახლების შეკრებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეეთარდება გადასახლების ან გასახლების სამი დღე. 3. თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების შეკრებისას თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეეთარდება გამასწორებელი სამუშაოების სამი დღე. 4. გადასახლების ვასახლებასთან შეკრების დროს გადასახლების ერთა

დღე უდრის გასახლების ერთ ღღეს. 5. გადასახლების ან გასახლებისა და გამასწორებელი სამუშაოების შეკრებისას გადასახლების ან გასახლების ერთ დღეს შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოების ერთი დღე.

შეჯამების პრინციპის გამოყენებისას ამ სასჯელთა ერო საერთო მნიშვნელზე დაყვანა აუცილებელია. სს კოდექსის იმავე 42-ე მუხლის მე-6 პუნქტი კრძალავს ზოგიერთი სასჯელის შეჯამებას მათი ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანის გზით. კერძოდ, ამ პუნქტში ნათქვამია, რომ თავისუფლების აღკვეთასთან, გადასახლებასთან ან გამასწორებელ სამუშაოებთან გარკვეული თანამდებ დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის, რეთვე ჯარიმის, თანამდებობიდან დათხოვნის ან საზოგადოებრივი გაიციხვის მიმატების შემთხვევაში დასახლებული სასჯელები გამოიყენება დანაოკიდებლად. აქ დასახლებული სასჯელის სახეები დამნაშავეს მიერ თანმიმდევრულად უნდა იქნას მოხდილი ყოველგვარი შეჯამების გარეშე. შეჯამების პრინციპის მიხედვით საბოლოო სასჯელის დანიშნისას საჭირო არ არის კანონის იმ მუხლზე მიიბრუნება, რომლის საწყისი ფარგლებში იქნა ეს სასჯელი განსაზღვრული.

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით ს-ს ყაზახეთის სსრ 1949 წ. სს კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სუთი წლით. სილო მე-229 მუხლის პუნქტით თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. ტრიბუნალმა ყაზახეთის სსრ სს კოდექსის 37-ე მუხლით ს-ს მიმართ გამოიყენა სასჯელი წილობრივი შეჯამების პრინციპი და საბოლოოდ დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში ექვსი წლით. სამხედრო პროკურორმა პროტესტში აღნიშნა, რომ სამხედრო ტრიბუნალმა დაარღვია ყაზახეთის სსრ სს კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან სასჯელთა ნაწილობრივი შეჯამებისას ტრიბუნალმა არ მიუთითა კანონის იმ მუხლზე, რომლითაც დაინიშნა საბოლოო სასჯელი. ამის გამო პროკურორი თავის პროტესტში მოითხოვდა განაჩენის შეცვლას. კერძოდ ს-ს საბოლოო სასჯელი განსაზღვროდა ყაზახეთის სსრ სს კოდექსის 229-ე მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია 1962 წ. 8 თებერვლის განჩინებით პროკურორის პროტესტი არ დააკმაყოფილა და აღნიშნა, რომ ყაზახეთის სსრ სს კოდექსის 37-ე მუხლი არ შეიცავს მოთხოვნას, რათა ერთობლიობით განსაზღვრო-

ლი სასჯელი. რომელიც დაინიშნა სასჯელთა ნაწილობრივი ან მთლიანი შეჯამების შედეგად, შეფარდებული იქნას ერთობლიობაში შემაჯავალი დანაშაულის შესაბამისი მუხლით. 37-ე მუხლი შეიცავს მხოლოდ წესს. რომლის მიხედვითაც სასჯელმა ერთობლიობით აუუნდა გადაამეტოს იმ მუხლის სანქციის ფარგლებს, რომელიც უფრო ძვირად სასჯელს ითვალისწინება. თუ სასჯელი იმ წესით იქნებოდა განსაზღვრული. როგორც ამას პროკურორი მოითხოვს, მაშინ ვაპოვიდოდა. რომ ერთი და იმავე მუხლით დანიშნულია სხვადასხვა მოცულობის ძირითადი სასჯელი. ეს კი კანონით ნებადართული არაა. ვარდა ამისა, სასჯელის დანიშვნის ასეთ წესს შეეძლო გაუტყურობა წარმოეშვა განაჩენის აღსრულების დროს.

აღნიშნულის გამო კოლეგიამ უცვლელად დატოვა განაჩენი ძალში<sup>13</sup>.

წინასწარ იმის განსაზღვრა. თუ როდის შეიძლება იქნას გამოყენებული სასჯელთა შთანთქმის პრინციპი და როდის — სასჯელთა შეჯამების პრინციპი, თითქმის შეუძლებელია. ჩვენი ფიქრით. აქ შეიძლება მხოლოდ საორიენტაციო დებულებებით ვიხელმძღვანელოთ: თუ მხედველობაში მივიღებთ დანაშაულთა რეალური და იდეალური ერთობლიობის იმ კლასიფიკაციას. რომელიც ზევით იყო მოცემული. მაშინ ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამება გამოყენებული უნდა იქნას მაშინ. როდესაც ბრალდებულს ჩადენილი აქვს ერთიანი ზრახვით დაკავშირებული რეალურ ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი ან იდეალურ ერთობლიობაში შემავალი განზრახვი ბრალის მქონე დანაშაულობანი. რაც შეეხება შთანთქმის პრინციპს, მისი გამოყენება უმეტეს წილად ბიზანშეწონილი იქნება, თუ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი მხოლოდ სუბიექტის ერთიანობით არიან დაკავშირებულნი. იგივე ითქმის იდეალური ერთობლიობის იმ სახეზე. რომელიც სხვადასხვა ბრალით ან მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით ჩადენილ დანაშაულობებს მოიცავს.

დანაშაულთა ერთობლიობისას საბოლოო სასჯელის დანიშვნის დროს აუცილებელია წინასწარი პატიმრობის ჩათვლა. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში, როგორც წესი, წინასწარი პატიმრობა ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, უკეთუ წინასწარი პატიმრობა გამოყენებული იყო სწორედ აღნიშნული პირის მიმართ.

<sup>13</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1962, № 4, стр. 43—44.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება წინასწარი პატიმრობა მოცემულ საქმეზე გამოტანილი განაჩენით დანიშნული სასჯელის ნაწილად. „ჩვენამ დანაშაულის ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშნვის დროს ან წინა დანაშაულისათვის სასჯელის მოხდამდე ახალი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან შეჯამებისას, აგრეთვე განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევაში, სასჯელთა შთანთქმისას სასჯელის ვადაში ჩაითვლება წინასწარი პატიმრობა, თუნდაც იგი მოხდელი იყოს ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის“<sup>14</sup>.

დანაშაულთა ერთობლიობისათვის ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული საბოლოო სასჯელი ნთქავს სხვა დანაშაულისათვის სასჯელის სახით დანიშნულ მხოლოდ ძირითად სასჯელებს. ძირითადი სასჯელებისაგან დამოუკიდებლად დგას საკითხი დამატებითი სასჯელების დანიშნვის შესახებ)

საფუძვლების 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის (სს კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, „ძირითად სასჯელს შეიძლება დაემატოს ყოველი სხვა დამატებითი სასჯელი. გათვალისწინებული კანონის მუხლებით, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას იმ დანაშაულთათვის, რომელთა ჩადენაში ეს პირი ცნობილი იყო დამნაშავედ“. ეს დებულება რსფსრ 1960 წ. სს კოდექსის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილში ასეა ასახული: „ძირითად სასჯელს შეიძლება დაემატოს ყოველი სხვა დამატებითი სასჯელი, გათვალისწინებულად ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლებით. რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას იმ დანაშაულთათვის, რომელთა ჩადენაში ეს პირი ცნობილი იყო დამნაშავედ“.

შრტანულ საკანონმდებლო დადგენილებაში დაშვებულია ერთგვარი უზუსტობა: ცნობილია, რომ ზოგიერთი სასჯელის დამატებით სასჯელად დანიშვნა შეიძლება მხოლოდ სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებულ შემთხვევებში. ასეთებია: გადასახლება, გააახლება, ჯარიმა, ქონების კონფისკაცია. მაგრამ ამ სასჯელებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი შეიძლება დამატებით სასჯელად დაინიშნოს მაშინაც, როდესაც ამის შესახებ უშუალოდ არ არის მითითებული სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში (ან მუხლის ნაწილში).

<sup>14</sup> Н. Д. Дурманов. Зачет предварительного заключения в срок наказания (Сб. „Применение наказания по советскому уголовному праву“. Изд-во Московского университета. М., 1958, стр. 291—292).

ასეთებია მაგალითად, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. მშობლის უფლებების ჩამორთმევა. ხეშოთ მოტანილი საკანონმდებლო დადგენილებიდან გამომდინარეობს, რომ დანაშაულთა ერთობლიობისათვის საბოლოო დამატებით სასჯელად შეიძლება დანიშნოს მხოლოდ ის დამატებითი სასჯელი, რომელიც უშუალოდ არის გათვალისწინებული სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამის მუხლში (ან მუხლის ნაწილში). თუ სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამის მუხლში გათვალისწინებული არ იქნება რომელიმე ისეთი დამატებითი სასჯელი (გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. თანამდებობიდან დათხოვნა, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა. მშობლის უფლებების ჩამორთმევა), რომლის დანიშვნა საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა, მაშინ საფუძვლების 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით სასამართლოს უფლება არა აქვს დანიშნოს დანაშაულთა ერთობლიობისათვის დამატებით სასჯელებად ზემოდასაწელებული სასჯელები. დანაშაულთა ერთობლიობისათვის დამატებითი სასჯელების დანიშვნის საკითხში სასამართლოს ასეთი შეზღუდვა შეუძლებელია გამართლებულ იქნას რაიმე მოსაზრებით.

ეკვს ვარაუდა, რომ საფუძვლების 35-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და მოკავშირე რესპუბლიკების ახლად მიღებული სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში კანონმდებლის ნებამ არა-ზუსტი ტექსტუალური ასახვა პოვა. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია de lege ferenda საფუძვლების 35-ე მუხლის მე-2 ნაწილი ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: „ძირითად სასჯელს შეიძლება დაემატოს ყოველი სხვა დამატებითი სასჯელი. დანიშნული იმ დანაშაულთათვის, რომელთა ჩადენაში ესპირიტუალური იყო ორმა შემთხვევა“.

სასამართლომ დამატებითი სასჯელი შეიძლება დანიშნოს ერთობლიობაში შემავალი არა მარტო ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის, არამედ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვისაც. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს საბოლოო სასჯელის განსაზღვრისას ძირითად სასჯელთან ერთად დანიშნოს სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის გადაწყვეტილი დამატებითი სასჯელი. მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლოს უფლება აქვს საბოლოო დამატებით სასჯელად ერთობლიობისათვის დანიშნოს ყოველგვარი დამატები-

თი სასჯელი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რომელი დანაშაულისათვის იქნა იგი განსაზღვრული.

ხომ არ არის ზედმეტი დამატებითი სასჯელების განსაზღვრა ერთობლიობაში შემავალი სხვა დანაშაულისათვის, თუ იგი დაინიშნა ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის? ცხადია, არა. დამატებითი სასჯელების სწორ, მიზანშეწონილ დანიშვნას არანაკლები მნიშვნელობა აქვს ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნების განხორციელებისათვის, ვიდრე ძირითადი სასჯელების დანიშვნას. ხშირად დამატებითი სასჯელების დანიშვნა სასჯელის ინდივიდუალიზაციის წინამძღვარს წარმოადგენს და ამასთან იგი მნიშვნელოვნად ამძიმებს სასჯელის ზომას. გარდა ამისა, დანაშაულთა ერთობლიობისათვის თითოეული დანაშაულის საზოგადოებრივად საშიშროების შეფასება ხორციელდება არა მარტო ძირითადი სასჯელების, არამედ დამატებითი სასჯელების დანიშვნის გზითაც.

შთანთქმის პრინციპი დამატებითი სასჯელების დანიშვნისას (ცხადია, თუ სასამართლო მიზანშეწონილად ჩათვლის ამ პრინციპის გამოყენებას) იმაში გამოიხატება, რომ ერთგვაროვანი დამატებითი სასჯელებიდან შთაინთქმება ის, რომელიც ნაკლებად მძიმეა. მაშასადამე, ქონების სრული კონფისკაცია შთანთქმავს ნაწილობრივ კონფისკაციას. გადასახლება უფრო დიდი ვადით შთანთქმავს გადასახლებას ნაკლები ვადით და ა. შ. არაერთგვაროვანი დამატებითი სასჯელები შეიძლება დანიშნული იქნას დამოუკიდებლად. მაგალითად, თუ ერთი დანაშაულისათვის დამატებით სასჯელად განსაზღვრულია გადასახლება, ხოლო მეორესათვის ქონების კონფისკაცია. სასამართლოს უფლება აქვს საბოლოო სასჯელად დანიშნოს ორივე ეს სასჯელი.

დანაშაულთა ერთობლიობისათვის საბოლოო სასჯელად თუ იმ დამატებითი სასჯელის დანიშვნა სასამართლოს უფლებაა და არა მოვალეობა. ამასთან: მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ზოგიერთი დანაშაულის სპეციფიკური საზოგადოებრივი საშიშროება აპირობებს ისეთი დამატებითი სასჯელის დანიშვნას. როგორცაა, მაგალითად გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. ასეთ შემთხვევაში დანაშაულთა ერთობლიობისათვის საბოლოო დამატებით სასჯელად სასამართლომ მიზანშეწონილია დანიშნოს დამატებითი სასჯელი. მართლაც, თუ პირს, მაგალითად, ერთი დანაშაულისათვის აეკრძალა სუბიექტით რკინიგზის ტრანსპორტზე გამცილებლად მუშაობა, ხოლო მეორე დანაშაულისათვის ჩამოერთვა ავტომანქანის მართვის უფლე-

ბა სამი წლით, მაშინ მიზანშეწონილი იქნებოდა სასამართლოს საბოლოო სასჯელებად დანიშნა როგორც პირველი, ისე მეორე სასჯელი. სხვაგვარად დგას საკითხი ქონების კონფისკაციის შესახებ. თუ საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების საფუძველზე სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს მთელი ერთობლიობისათვის ქონების კონფისკაციის შეფარდებას, მაშინ ეს მან განაჩინა სპეციალურად უნდა დაასაბუთოს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ერთი და იმავე დანაშაულისათვის ერთი და იგივე სასჯელი შეუძლებელია დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. სხვა მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას მაშინ, როდესაც სასამართლო განსაზღვრავს სასჯელს დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი დანაშაულისათვის. აქ ერთი დანაშაულისათვის გადაწყვეტილი სასჯელი შეიძლება დაინიშნოს მეორე დანაშაულისათვის დამატებით სასჯელად, უკეთეს კახონით ნებადართულია მოცემული სასჯელის დანიშვნა როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ვთქვათ სასამართლომ განაჩინა ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის დამნაშავეს ძირითად სასჯელად განუსაზღვრა ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ხუთი წლით აუკრძალა რკინიგზის ტრანსპორტზე ვაგონის გამცილებლად მუშაობა. მეორე დანაშაულისათვის იმავე დამნაშავეს სასამართლომ ძირითადი სასჯელის სახით აუკრძალა რკინიგზის ტრანსპორტზე ვაგონის გამცილებლად მუშაობა ხუთი წლით. ასეთ შემთხვევაში შთანთქმის პრინციპის საფუძველზე ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შთანთქმავს მეორე დანაშაულისათვის ძირითად სასჯელად დანიშნულ რკინიგზის ტრანსპორტზე ვაგონის გამცილებლად ხუთი წლით მუშაობის აკრძალვას. ერთობლიობისათვის საბოლოო ძირითად სასჯელად დანიშნული უნდა იქნას ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს დამატებითი სასჯელის სახით დამნაშავეს აუკრძალოს რკინიგზის ტრანსპორტზე ვაგონის გამცილებლად მუშაობა ხუთი წლით.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში ერთისა და იმავე სახის სასჯელი, რომელიც შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, თუმცა შთანთქმა როგორც ძირითადი სასჯელი, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოგვევლინა დამატებით სასჯელად.

1958 წ. საფუძვლების 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი (სს კოდექსის 40 მუხლის მე-3 ნაწილი) ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის წესებს დანაშაულთა ერთობლიობის სპეციალური ხასის — განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევებში. აქ ნათქვამია: „იმავე წესებით (ე. დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშვნის წესებით — გვ. ტ.) დაინიშნება სასჯელი, თუ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ დადგენილ იქნა, რომ მსჯავრდებულს ბრალი მიუძღვის ვიდრე სხვა დანაშაულში. რომელიც მან ჩაიდინა პირველ საქმეზე განაჩენის გამოტანამდე. ამ შემთხვევაში სასჯელის ვადაში ჩათვლება სასჯელი, რომელიც მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ პირველი განაჩენით“.

ამრიგად, თუ 1958 წ. საფუძვლების მიღებამდე განაჩენთა ერთობლიობისათვის, ისევე როგორც საერთოდ დანაშაულთა ერთობლიობისათვის, სასჯელის დანიშვნის ერთადერთ პრინციპს შთანთქმის პრინციპი წარმოადგენდა, საფუძვლების მიღების შემდეგ ასეთ შემთხვევაში ნებადართელი იქნა შთანთქმის პრინციპის გარდა შეჯამების პრინციპის გამოყენებაც. შეჯამების პრინციპი დაწესებულია აგრეთვე სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის დროსაც<sup>15</sup>.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ აზრი დაკარგა განაჩენთა ერთობლიობის და სასჯელთა ერთობლიობის გამოყენამ. პირიქით. 1958 წ. საფუძვლების მიღების შემდეგაც მათ გამოიყენას უალრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საქმე შემდეგშია: ჯერ ერთი, განაჩენთა ერთობლიობისათვის სასჯელთა შეჯამების პრინციპი; გარდა შთანთქმის პრინციპიც შეიძლება იქნას გამოყენებული. სოლო სასჯელთა ერთობლიობის დროს მხოლოდ სასჯელთა შეჯამების პრინციპი გამოიყენება. მეორე, რაც მთავარია, სასჯელთა შეჯამების დარგლები უფრო ვიწროა განაჩენთა ერთობლიობისას („იმ მუხლით დადგენილ დარგლებში, რომლებიც ითვალისწინებს უფრო შეკარ სასჯელს“), ვიდრე სასჯელთა ერთობლიობისას („სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მოცემული სახეობის სასჯელისათვის დაწესებულ მაქსიმალურ ვადას“).

<sup>15</sup> სასჯელთა ერთობლიობა გულისხმობს პირველი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოხდამდე ახალი დანაშაულის ჩადენას (საფუძვლების 36-ე მუხლი, სს კოდექსის 41-ე მუხლი ამის შესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის მეოთხე თავი).



(ერთადერთ კრიტერიუმს, რომელიც აპირობებს განაჩენთა ერთობლიობისა და სასჯელთა ერთობლიობის განსხვავებას, წარმოადგენს მათში შემავალ დანაშაულთა ჩადენის დრო: თუ ერთობლიობაში შემავალი ყველა დანაშაული ჩადენილია ერთ-ერთის მიმართ უახანესის გამოტანამდე. მაშინ მოცემული გვექნება განაჩენთა ერთობლიობა და ამის გამო გამოყენებული უნდა იქნას დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის წესები (საფუძვლების 35-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ ერთობლიობაში შემავალი ერთი ამ რამდენიმე დანაშაული ჩადენილია პირველი დანაშაულისათვის უახანესის გამოტანის შემდეგ. გამოყენებული უნდა იქნას სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის წესები (საფუძვლების 36-ე მუხლი).)

როგორც 1958 წ. საფუძვლების მიღებამდე, ისე მათი მიღების შემდეგ განაჩენთა ერთობლიობისა და სასჯელთა ერთობლიობის გამოიკვნა წარმოებდა სწორედ მათში შემავალ დანაშაულთა ჩადენის დროის მიხედვით. ამის გამო 1958 წ. საფუძვლების მიღებამდე ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებებსა და განჩინებებს, რასაკვირველია, მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ეს შესაძლებლობას გვაძლევს ცალკეული დებულების დასამტკიცებლად მოვიშველიოთ 1958 წ. საფუძვლების გამოსვლამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის მასალები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1954 წ. 1 ივლისს მ-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში აღნიშნა: „რსფსრ სს კოდექსის 49-ე მუხლს და რსფსრ სისხ. სამ. საპ. კოდექსის 461-ე მუხლს, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნულ მუხლზე მოეთითაებას. მხედველობაში აქვთ ერთობლიობის ის შემთხვევა, როდესაც ერთობლიობაში შემავალი დანაშაულობანი ჩადენილია პირველი განაჩენის გამოტანამდე. ამ შემთხვევაში გამოიყენება განაჩენთა შთანთქმის პრინციპი“<sup>16</sup>.

<sup>16</sup> „Судебная практика Верховного Суда СССР“. 1954, № 5, стр. 22—23. იხ. აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წ. 29 აგვისტოს დადგენილება პ-ს საქმეზე („Сборник постановлений и определений Верховного Суда Союза ССР, 1940 г.“ Юридат, М., 1941, стр. 51) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წ. 27 დეკემბრის განჩინება კ-ს საქმეზე (იქვე, გვ. 180—181); სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1941 წ. 22 აგვისტოს განჩინება ლ-ს საქმეზე („Сборник постановлений и определений коллегии Верховного Суда Союза ССР 1941 г.“. Юридат, М., 1947, стр. 60) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხ. სამ. საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1945 წ. 20 იანვრის

1936 წ. 14 ოქტომბერს ჩ-მ თავის ამხანაგთან ბ-სთან ერთად ქ. თბილისში, პლესხანოვის საბ. კლუბში სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა თარიშვილს. ხოლო ჩ-მ დაჭრა ახალგაიქმერად. ამის შესახებ ჩ. და ბ. მიიძალნენ.

ჩ-მ 1958 წ. 23 აგვისტოს ქ. მოსკოვის კურსკის ვაკის ცენტრალურ დარბაზში 63 მანეთი მოპარა მთვრალ მოქალაქეს ურუემოვს. ამ დანაშაულისათვის ქ. მოსკოვის ბაუმანი რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წ. 13 ოქტომბრის განაჩენით ჩ-ს მიუსაჯა - ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. ჩ-ს საქმე 1956 წ. ოქტომბერში ჩადენილი დანაშაულის შესახებ 1959 წ. 18 ივნისს განიხილა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ. სასამართლომ ჩ-ს საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 151-მუხლის I ნაწილით მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით. საბოლოოდ სასამართლომ საქართველოს სსრ 1928 წ. სს კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე შეაჯამა სასჯელები და ჩ-ს მოსახდელად დაუნიშნა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით.

ჩ-ს საკასაციო საჩივრის გამო მისი საქმე განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისბილეს სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ. კოლეგიამ 1959 წ. 6 ივნისის განჩინებით ქ. თბილისის ლენინის საბ. რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი ჩ-ს საქმეზე ძალაში დატოვა და ამასთან სწორედ სენო სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენება.

როგორც ქ. თბილისის ლენინის საბ. რაიონის სახალხო სასამართლომ, ისე კოლეგიამ დაუშვა სერიოზული შეცდომა: იმის გამო, რომ ჩ-მ როგორც პირველი, ისე მეორე დანაშაული ჩაიდინა 1958 წ. 13 ოქტომბრამდე, ე. ი. მანამდე, სანამ პირველი განაჩენი იქნებოდა გამოტანილი, ამიტომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო სასჯელთა არა შეჯამების, არამედ შთანთქმის პრინციპი. შეჯამების პრინციპის უსაფუძვლო გამოყენებამ უკანონოდ გააუარესა ჩ-ს ხვედრა: მას ნაცვლად თავისუფლების აღკვეთისა ხუთი წლით (შთანთქმის პრინციპის საფუძველზე ხუთი წელი შთანთქმავდა ოთხ წელს), მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა წლით<sup>17</sup>.

განჩინება ლ-ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР 1945, т. 4, вып. II (XVII), М., 1945, стр. 12—13; საბ. კავშირთა უმაღლესი სასამართლოს სისბ. სამ. საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1949 წ. 14 დეკემბრის განჩინება მ-ს საქმეზე („Судебная практика Верховного Суда СССР“ 1950, № 2, стр. 33—34) და სხვ.

<sup>17</sup> კოლეგიის მიერ დაშვებული შეცდომა გაასწორა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა.

განაჩენთა ერთობლიობისას სამი ისეთი ვარიანტი შეიძლება დავსახოთ, როდესაც ყველა დანაშაული ჩადენილია ერთ-ერთის შიშობით განაჩენის გამოტანამდე, ხოლო უკანასკნელი განაჩენი გაძოაქვთ: 1) პირველი განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოხდის დაწყებამდე, 2) პირველი განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოხდის დროს და 3) პირველი განაჩენით განსაზღვრული სასჯელის მოხდის შემდეგ.

როგორ გამოიყენება ჩამოთვლილ შემთხვევებში სასჯელთა შთანთქმის პრინციპი?

პირველ შემთხვევაში შთანთქმის პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ განაჩენი უფრო მკაცრი სასჯელით შთანთქავს განაჩენს ნაკლებად მკაცრი სასჯელით.

რაც შეეხება მეორე და მესამე ვარიანტს, აქ, გარდა იმისა, რომ უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სასჯელს, დგება საკითხი სასჯელის უკვე მოხდილი ნაწილის ჩათვლის შესახებ. სასჯელის მოსახდელად დარჩენილი ვადების გამოანგარიშების შესახებ საფუძვლებების 35-ე მუხლის მე-3 ნაწილში ასეთი ზოგადი ფორმულაა გათვალისწინებული: „ამ შემთხვევაში სასჯელის ვადაში ჩაითვლება სასჯელი, რომელიც მოხდილია მთლიანად ან ნაწილობრივ პირველი განაჩენით“.

აღნიშნულის გარდა, მეორე შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც მეორე განაჩენი გამოაქვთ პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის დროს, გადაწყვეტილი უნდა იქნას საკითხი ერთობლივად დანიშნული სასჯელის მოხდის დაწყების მომენტის შესახებ.

ერთობლივად დანიშნული სასჯელის მოხდის დაწყების მომენტის დადგენა საკვიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელი უფრო მკაცრია პირველი განაჩენით განსაზღვრულ სასჯელზე. თუ პირიქით, მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელი უფრო მსუბუქია, ვიდრე პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელი. მაშინ, ცხადია, მეორე შთანთქმება პირველით. ასეთ შემთხვევაში საჭიროა აღარ არის განისაზღვროს მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელის ვადის მოხდის დაწყების მომენტი; მსჯავრდებელი მოიხდის მხოლოდ პირველი განაჩენის გადაწყვეტილ სასჯელს. იგი ფაქტიურად განაგრძობს პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდას.

როდესაც მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელი პირველი განაჩენით დანიშნულ სასჯელზე მკაცრია, მაშინ დამნაშავემ უნდა მოიხადოს მეორე განაჩენით დანიშნული უფრო მკაცრი სასჯელი.

ამასთან. დამნაშავემ ფაქტიურად უნდა მოიხადოს სასჯელი.  
მა. რომელიც დარჩება პირველი განაჩენით განსაზღვრულ სასჯელის უკვე მოხდილი ნაწილის გამოკლების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის დასაწყის მომენტად მიიჩნევა პირველ საქმეზე პირის პატიმრობაში აყვანა დღე. სასამართლო პრაქტიკაც ამ თვალსაზრისზე დგას.

ე. სასჯელს იხდიდა კიევის ოლქის საოლქო სასამართლო 1947 წ. 26 სექტემბრის განაჩენით. ამ განაჩენით იგი 1947 წ. 21 ივლისს ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმისათვის მსჯავრდებული იყო 1947 წ. 4 ივნისს „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ გამოცემული ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით. როგორც შემდეგში გამოიჩვენა. ე. ს-სთან ერთად 1947 წ. 18 ივლისს სპირტით დატვირთული ავტომანქანის გაძარცვის მიზნით მონაწილეობდა მძღოლის პოლიკანოვის და საქონელმცოდნის სტანკევიჩის მკვლელობაში. 1947 წ. იმავე თვეში ს-ნი ე-სთან ერთად მონაწილეობა მიიღო ბოშათა სადგომის გაძარცვაში; მათ იარაღის გამოყენების მუქარით წაართვეს ბოშებს ორ ცხენი და ფურგონი. სასამართლომ 1950 წ. 19 ოქტომბრის განაჩენით ე. ბრალეულად ს-ნი 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულებით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-2 მუხლით. 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით და უკრაინის სსრ 1927 წ. სს კოდექსის 58<sup>17</sup> მუხლით. ამ განაჩენით შთანთქმული იქნა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი. სასამართლომ მოცემულ საქმეზე სასჯელის ზომის მოხდის დაწყების მომენტად ჩათვალა 1950 წ. 19 ოქტომბერი. ე. ი. მეორე განაჩენის გამოტანის დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1951 წ. 18 აპრილის განჩინებით განაჩენი ე-ს მიმართ ძალაში დატოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ე-ს საქმეზე 1957 წ. 19 ივნისს გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნა, რომ სასამართლომ სასჯელის ზომის მოხდის დაწყების გამოანგარიშებისას შეცდომა დაუშვა. რამდენადაც მოცემულ საქმეზე ე. მსჯავრდებულ იქნა იმ დანაშაულთათვის, რომლებიც მან ჩაიდინა 1947 წ. 26 სექტემბერს გამოტანილი პირველი განაჩენით მსჯავრდებამდე. სასამართლოს სასჯელის მოხდის დაწყება უნდა გამოანგარიშებინა

პირველ საქმეზე დაპატიმრების დღიდან. ე. ი. 1950 წ. 22 ივლისიდან. პლენუმმა შესწორება შეიტანა ე-ს საქმეზე სასამართლოს 1950 წ. 19 ოქტომბრის განაჩენსა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1951 წ. 18 აპრილის განჩინებაში: სასჯელის მოხდის დაწყების მომენტად პლენუმმა სცნო 1947 წ. 22 ივლისი. ე. ი. პირველ საქმეზე ე-ს დაპატიმრების დღე<sup>18</sup>.

(სასჯელის მოხდის დაწყების მომენტის სწორად დადგენისათვის საჭიროა წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველა დანაშაულისათვის ვანაჩენი ერთდროულად გამოგვაქვს. ასეთ წარმოდგენას რეალური საფუძველი აქვს. რადგან განაჩენთა ერთობლიობა ხომ ბოლოს და ბოლოს იგივე დანაშაულთა ერთობლიობაა, მაგრამ ერთ-ერთი დანაშაულის მიმართ განაჩენის გამოტანით გართულებული.) თუ ასეთ წარმოდგენას მივმართავთ ე-ს საქმეზე, მივალთ სწორ დასკვნამდე. სასჯელის მოხდის დაწყება გამოანგარიშებული იქნება სწორედ ე-ს დაპატიმრების დღიდან.

იმ შემთხვევაში. როდესაც პირველი განაჩენით დანიშნული ხაკლებად მკაცრი სასჯელი უკვე მოხდილია, ხოლო მეორე განაჩენით სასამართლომ დანიშნა უფრო მკაცრი სასჯელი, სასამართლომ უნდა მიუთითოს. რომ პირველი სასჯელი შთანთქმულია მეორეთი. ამასთან, მეორე უფრო მკაცრ სასჯელს უნდა გამოაკლდეს ფაქტიურად უკვე მოხდილი პირველი სასჯელი და განისაზღვროს. თუ რა რჩება მოსახდელი. სასჯელის მოსახდელი ვადის გამოანგარიშება დაწყებული უნდა იქნას 'მისი ფაქტიური აღსრულები'ა დღიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1954 წ. 6 მარტის განჩინებაში ო-ს საქმეზე მიუთითა, რომ ვინაიდან ო-ს მიერ 1946 წ. ჩადენილი და 1932 წ. 7 აგვისტოს კანონით კვალიფიცირებული დანაშაული ჩადენილია იმ დანაშაულზე ადრე, რომლისთვისაც ო. თითქოს მსჯავრდებული იყო 1947 წელს, სასამართლო. რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით სასჯელის ზომის განსაზღვრისას, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელი პირველი განაჩენით მოხდილია, ვალდებულია გამოიყენოს შთანთქმის პრინციპი და განიხილოს საკითხი მოხდილი სასჯელის ჩათვლის შესახებ<sup>19</sup>.

<sup>18</sup> იხ. „Бюллетень Верховного Суда СССР“, 1957, № 6, стр. 16—17.

<sup>19</sup> იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1954, №3, стр. 26.

ამრიგად, საფუძვლების 35-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესები მამინაც გამოიყენება. როდესაც განაჩენთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი უკვე მოხდილია. განსხვავება პირველსა და მეორე განაჩენებით დანიშნულ სასჯელებს შორის იქნება ის ზომა, რომელიც მსჯავრდებულმა ფაქტიურად უნდა მოიხადოს. თუ პირველი და მეორე სასჯელი თანაბარია. ან თუ პირველად მოხდილი სასჯელი უფრო მკაცრია მეორესთან შედარებით. მაშინ სუბიექტი უნდა განთავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან.

განაჩენთა ერთობლიობისას შთანთქმის პრინციპი ერთგვაროვანი სასჯელების მიმართ ისევე გამოიყენება, როგორც საერთოდ დანაშაულთა ერთობლიობის დროს; თავისუფლების აღკვეთა უფრო დიდი ვადით შთანთქავს თავისუფლების აღკვეთას ნაკლები ვადით და ა. შ. მაგრამ აქ საჭიროა ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიხედვით სათანადო ჩათვლების მოხდენა. ასე მაგალითად, უფრო დიდი ჯარიმა შთანთქავს უფრო მცირე ჯარიმას, ამასთან საჭიროა უკვე გადახდილი ჯარიმის გამოკლება. თუ პირველი განაჩენით გადასდევინებული იყო უფრო დიდი ჯარიმა, მაშინ მეორე განაჩენით დანიშნული უფრო მცირე ჯარიმა გადასდილად ჩაითვლება.

შთანთქმის პრინციპი გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვაგვაროვანი სასჯელების დანიშვნის დროსაც. აქაც სასჯელის უფრო მძიმე სახე, მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა, შთანთქავს უფრო მსუბუქე სახეს. მაგალითად, გამასწორებელ სამუშაოებს. ეს წესი მოცემულ შემთხვევებშიც არ შეიძლება გამოვიყენოთ ავტომატურად. თავდაპირველად საჭიროა ამ არაერთგვაროვანი სასჯელების ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანა და ამის შემდეგ სათანადო ჩათვლების წარმოება.

ცნობილია, რომ კანონით დადგენილია თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელ სამუშაოთა ასეთი თანათარღობა: სამი დღის გამასწორებელი სამუშაო უდრის ერთი დღის თავისუფლების აღკვეთას. როგორ გამოიყენება პრაქტიკულად ეს წესი განაჩენთა ერთობლიობისას? ვთქვათ. ა-ს ერთი დანაშაულისათვის სასჯელის ზომად შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვით. მან ეს სასჯელი მოიხადა. ამის შემდეგ გამოვლინდა, რომ იმავე ა-ს პირველი განაჩენის გამოტანამდე კიდევ სხვა დანაშაული ჩაუდენია. სასამართლომ ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის ა-ს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. სასამართლომ გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვით უნდა შეცვალოს თავისუფლების აღ-

კეთით. ასეთი შეცვლით მივიღებთ თავისუფლების აღკვეთას ორი თვით. ამის შემდეგ თავისუფლების აღკვეთას ერთი წლით (12 თვე) გამოაკლდება თავისუფლების აღკვეთა ორი თვით. საბოლოოდ ა-მ უნდა მოისადოს თავისუფლების აღკვეთა ათი თვით. ასეთ ჩათვლებს შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს უკვე გადახდილი ჯარიმის ან საზოგადოებრივი გაკიცხვის მიმართ. აქ მეორე დანაშაულისათვის სასჯელი უნდა დაინიშნოს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პირველი დანაშაულისათვის პირი უკვე დასჯილია. სათანადო ჩათვლებია საქირო აგრეთვე სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენების დროსაც.

განაჩენთა ერთობლიობისათვის დამატებითი სასჯელების დანიშვნის დროს მოქმედებს ის წესები, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი.

განაჩენთა ერთობლიობისას მეორე, ახლად გამოვლინებულა დანაშაულისათვის დამნაშავის მსჯავრდების დროს სასამართლომ მსედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მოცემულ პირს კიდევ სხვა დანაშაული აქვს ჩადენილი. ამან შეუძლებელია ზემოქმედება არ იქონიოს მეორე დანაშაულისათვის სასჯელის ზომის განსაზღვარზე.

როგორც აღინიშნა, სასამართლომ დანაშაულთა ერთობლიობა უნდა განიხილოს როგორც ერთი მთლიანი. ეს მოთხოვნა, რასაკვირველია, თავის ძალას ინარჩუნებს განაჩენთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის დროსაც. აქვს თუ არა შესაძლებლობა სასამართლოს მეორე დანაშაულისათვის მსჯავრდების დროს ორთავე დანაშაული განიხილოს როგორც ერთი მთლიანი, თუ სხვა დანაშაულისათვის განაჩენი უკვე გამოტანილია? ერთი რამ უცილობელია: ასეთ შემთხვევაში განაჩენთა ერთობლიობაში შემაჯავალ დანაშაულთა ერთ მთლიანობაში განხილვა ერთობ ძნელია, რადგან საქმეები ცალკეულ დანაშაულთა შესახებ სხვადასხვა დროს და ხშირად სხვადასხვა სასამართლოში განიხილება. ეს ართულებს სასჯელის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას და საბოლოო სასჯელის მართებულ დანიშვნას. ამ საკითხის გადაწყვეტა სიძნელეს არ წარმოადგენს მაშინ, როდესაც ერთობლიობაში შემაჯავალი დანაშაულობანი ერთმანეთთან მხოლოდ სუბიექტის ერთიანობითა დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, შეიძლება გამოყენებული იქნას სასჯელთა შთანთქმის პრინციპი. აქ ერთობლიობაში შემაჯავალი დანაშაულობანი ერთმანეთის მიმართ პესუნისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არ განიხილება და

ამის გამო სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისით ცალ-ცალკე განაჩენის გამოტანა საქმეს არ ართულებს.<sup>3</sup>

რუ სასამართლოს საქმე აქვს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი დანაშაულთა ერთობლიობასთან, მაშინ ასეთ შემთხვევაში უნდა განეხილებოდნენ ორი შემთხვევა: 1. დანაშაული, რომლის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია. მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში წარმოადგენდა ნაკლებად საზოგადოებრივად საშიშს იმ დანაშაულთან შედარებით, რომლის მიმართაც უკანასკნელად გამოაქვთ განაჩენი; 2. დანაშაული, რომლის მიმართ განაჩენი უკვე მოტანილია. მოცემულ სიტუაციაში წარმოადგენს უფრო მეტად საზოგადოებრივად საშიშს იმ დანაშაულთან შედარებით. რომლის მიმართაც უკანასკნელად განაჩენი გამოაქვთ<sup>20</sup>.

პირველ შემთხვევაში წინათ გამოტანილი განაჩენის გაუქმება საჭირო არ არის, რადგან სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს წინათ ჩადენილი დანაშაული, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მეორე, უფრო მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს. მეორე შემთხვევაში სასამართლო მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას, რადგან უკანასკნელად ჩადენილი მეორე დანაშაული ნაკლებად საშიშია, ხოლო პირველი დანაშაულის მიმართ, რომელიც უფრო საშიშია, განაჩენი უკვე გამოტანილია. ეს გასაგებია. მთელი ერთობლიობის საზოგადოებრივი საშიშროებას მართებული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ დანაშაულის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, რომელიც ყველაზე უფრო საშიშია სხვა დანაშაულებთან შედარებით. აქ კი, ვიმეორებთ, ამ მძიმე დანაშაულისათვის განაჩენი უკვე გამოტანილია.

ზოგიერთმა საბჭოთა კრიმინალისტმა ასეთი შემთხვევების მიმართ მიზანშეწონილად სცნო გამოყენებული იქნას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცესუალური ინსტიტუტი. ამ მოსაზრებას ყველაზე უფრო ღრმად და დამაჯერებლად ასაბუთებს ა. იაკოვლევი. „შესაძლებლად მიგვაჩნია. — წერს იგი, — რეკომენდირებული იქნას ასეთ შემთხვევებში de lege ferenda რუსურ 1923 წ. სისხ. სამ. საპ. კოდექსის 373-ე მუხლის მე-3 პუნქტის გამოყენება, რომელიც შეიცავს წესებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლებისა და შესაბამისად ახლა სასჯელის... დანიშვნის შესახებ. ამჯერად პირველი. ყველაზე სე-

<sup>20</sup> იხ. А. М. Яковлев, Уголовное право, т. 1, с. 114—115.



რიოზული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას შეიძლება გათვალისწინებული იქნას ის გარემოება, რომ იგი დაკავშირებულია სხვა დანაშაულთან „ზრახვის ერთიანობით“ და ამის შესაბამისად მისთვის შერჩეული იქნა სათანადო სასჯელის ღონისძიება<sup>21</sup>. ა. იაკოვლევის შეხედულებით, მხოლოდ ისეთი მკვიდრო კავშირი წინა და ახალ დანაშაულს შორის, რაც მოწმობს პირველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ახალ ხარისხს. შეიძლება წარმოადგენდეს საკმაო საფუძველს მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ ნორმების გამოყენებისათვის<sup>22</sup>.

ვფიქრობთ, მოტიანილ შემთხვევაში საქართველოს სსრ 1960 წ. სისს. სამ. საპრ. კოდექსის 374-ე მუხლის ძე-4 პუნქტის (საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო) გამოყენება უდავოდ გამართლებულია. აქ მართლაც საქმე გვაქვს ისეთ სიტუაციასთან, როდესაც კანონიერ ძალაში შესული განაჩენის უკანონობა და უსაფუძვლობა ვლინდება ახალი, წინათ უცნობი გარემოებებით. რომლებიც საქმის მასალებში ასახული არაა და რომლებიც საჭიროებენ დამოუკიდებელ გამოკვლევას<sup>23</sup>. ეს გარემოებები თავიანთ ერთობლიობაში ან წინათ დადგენილ გარემოებებთან კავშირში აუცილებელს ხდის სხვა დასკვნა გაკეთდეს ბრალეულობის ან არაბრალეულობის, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ<sup>24</sup>.

ჩვენი აზრით, ზემომოტანილ შემთხვევებშიც კი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების ინსტიტუტს შეუძლებელია მიემართოს მაშინ, როდესაც: 1) ამ ახლად აღმოჩენილ გარემოებებს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ, ე. ი. თუ ეს გარემოებები არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენენ იმ უფ-

<sup>21</sup> А. М. Яковлев. *დასახ. ნაშრომი*, გვ. 115--116.

<sup>22</sup> იხ. იქვე, გვ. 117. განაჩენთა ერთობლიობის ასეთ შემთხვევებში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების პროცესუალური ინსტიტუტის გამოყენება საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში პირველად მოითხოვა ნ. დურმანოვმა (იხ. Н. Д. Дурманов, *Ответственность при совокупности преступлений по советскому уголовному законодательству*, „Социалистическая законность“, 1937, № 8, стр. 91, იხ. აგრეთვე Н. А. Стручков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 106).

<sup>23</sup> М. С. Строгович. *Курс советского уголовного процесса*, Издательство АН СССР, М., 1958, стр. 539.

<sup>24</sup> იხ. Б. С. Тетерин, *Возобновление дел по вновь открывшимся обстоятельствам в советском уголовном процессе*, Госюриздат, М., 1959, стр. 53.

რო საშიში დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების ხარისხზე. რომლის მიმართ განაჩენი უკვე გამოტანილია: 2) უფრო საშიში დანაშაულის მიმართ, რომლის გამოც განაჩენი უკვე გამოტანილია, სასამართლომ შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი დანიშნა. ამ მაქსიმუმის გადამეტება, როგორც ცნობილია, საფუძვლების 35-ე მუხლის შესაბამისად. აკრძალულია 3) ასლად აღმოჩენილი დანაშაულის მიმართ გასულია სისხლის სამართლის დენის ხანდაზმულობა.

---

## თ ა ვ ი მ ე ო თ ს ე

### სასჯელთა ერთობლიობა

#### § 1. პასუხისმგებლობა სასჯელის მოხდენამდე ჩადენილი დანაშაულისათვის

სასჯელთა ერთობლიობა გულისხმობს ისეთ შემთხვევას. როდესაც მსჯავრდებული განაჩენის გამოტანის შემდეგ, სასჯელის სრულ მოხდამდე ახალ დანაშაულს ჩაიდენს.

დანაშაულთა ერთობლიობის და სასჯელთა ერთობლიობას შორის არსებობს მკიდრო შინაგანი ნათესაობა. ამ ნათესაობის გამოვლინებასა და მათ შორის სადემარკაციო ხაზის გავლებას პრაქტიკულ-თეორიული მნიშვნელობა აქვს.

1958 წ. საფუძვლებში სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის წესები გათვალისწინებულია 36-ე მუხლში<sup>1</sup>.

საფუძვლების 36-ე მუხლის I ნაწილში (სს კოდექსის 41-ე მუხლი) ნათქვამია: ზ.თუ მსჯავრდებულმა განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ სასჯელის სრულ მოხდამდე, ჩაიდინა ახალი დანაშაული, სასამართლო ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ უმატებს წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მო-

---

<sup>1</sup> საფუძვლების 36-ე მუხლი ასეა დასათუარებული: "სასჯელის დანიშვნა რამდენიმე განაჩენით". ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით განსახილველ შემთხვევაში ვიზმართ ტერმინი „სასჯელთა ერთობლიობა“, რადგან იურიდიულ ლიტერატურაში განაჩენთა ერთობლიობა დანაშაულთა ერთობლიობის სპეციალურ სახედაა ცნობილი. ეხადია, ასეთ ტერმინოლოგიას პირობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბოლოს და ბოლოს ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს, რამდენიმე განაჩენთან და მაშასადამე. რამდენიმე დანაშაულთან.

უსდელ ნაწილს“. ამგვარად, საფუძვლებში სასჯელთა ერთობლიობისას ნებადართულია მხოლოდ სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენება. ეს ყოველმხრივ გამართლებულია: რადგან პირველი დანაშაულისათვის მსჯავრდების შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენასუბიექტის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მაჩვენებელია. ასეთი პირის მიმართ სასჯელთა შთანქმის პრინციპის გამოყენება დაუსჯელად დატოვებდა შედარებით ნაკლებად საშიშ დანაშაულს.

სასჯელთა ერთობლიობისას შეჯამების პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ უერთდება პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელი. <sup>1</sup>თუ ახალი დანაშაული ჩადენილია პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის დროს, მაშინ ახალი განაჩენით დანიშნულ სასჯელს მრემატება პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მხოლოდ მოუხდელი ნაწილი, ე. ი. შეჯამება მოხდება ნაწილობრივ.

ზოგჯერ სასამართლოები სასჯელთა შეჯამებისას ახლად დანიშნულ სასჯელს უმატებენ არა წინა სასჯელის მხოლოდ მოუხდელ ნაწილს, არამედ წინა სასჯელის როგორც მოხდილ, ისე მოუხდელ ნაწილებს. სასჯელთა ასეთი შეჯამება აშკარად უკანონოა.

„მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების პირველი მუხლის 1 ნაწილით ა-ს მიესაჯა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა. ამ სასჯელის მოხდის დროს ა-მ წინააღმდეგობა გაუწია საზედამსებლო სამსახურის უფროსს და ზედამსებდელს. მეორე დანაშაულისათვის ა-ს რსფსრ 1926 წ. სს კოდექსის 73-ე მუხლის 1 ნაწილით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლით, ხოლო საბოლოო სასჯელად — თავისუფლების აღკვეთა ათი წლით.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი ძალაში დასტოვა. რსფსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის გამო ა-ს საქმე განიხილა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, რომელმაც სწორად სცნო პროტესტი. პრეზიდიუმმა კერძოდ აღნიშნა, რომ სამართლოს მიერ არასწორად არის გადაწყვეტილი საკითხი ა-სათვის სასჯელის დანიშვნის შესახებ. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით სასამართლომ ა-სათვის უკანასკნელი განაჩენით დანიშნულ სასჯელს შეუერთა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის შთავალი ზომა, თუმცა ამ უკანასკნელის ნაწილი მის მიერ უკვე მოხდილია.

ასეთ შემთხვევაში მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამება შეიძლება წარმოებულ იქნას განაჩენით დანიშნული სასჯელის მხოლოდ მოუხდელ ნაწილთან<sup>2</sup>.

საფუძვლების 36-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, სასჯელის საერთო ვადა და ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის ამ სახისათვის კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადასა და ოდენობას. იმავე მუხლის მე-2 ნაწილში ნათქვამია: „თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელთა შეჯამების დროს სასჯელის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ათ წელს, ხოლო იმ დანაშაულთათვის, რომლებისთვისაც კანონს დასაშვებად მიაჩნია თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა ათ წელზე მეტი ვადით — არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს“.

განვიხილოთ პირველი შემთხვევა, ე. ი. როდესაც არცერთი დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმუმად გათვალისწინებული არ არის თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება არა აქვს გადაამეტოს ამ ვადას.

1957 წ. 2 აგვისტოს ე-ს საქმეზე გამოტანილ განჩინებაში რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნა: „რამდენადაც სს კოდექსის არცერთი მუხლი და 1947 წ. 4 ივნისის ბრძანებულების 1 მუხლი, რომლებითაც მსჯავრდებულია ე., არ ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით, სასამართლოს არ ქონდა საფუძველი დაენიშნა ერთობლივად სასჯელი ათ წელზე ზევით“<sup>3</sup>.

სასჯელთა ერთობლიობისათვის ათიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთის შესახებ საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილში (სს კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი) ნათქვამია: „თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელთა შეჯამების დროს სასჯელის საერთო ვადა... იმ დანაშაულისათვის, რომლებისთვისაც კანონს დასაშვებად მიაჩნია თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა ათ წელზე მეტი ვადით, — არ უნდა აღემატებოდეს თხუთმეტ წელს“. მოტანილ დადგენილებაში გათვალისწინებულია ორი შემთხვევა: 1) სასჯელთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტ წლამდე; 2) სასჯელთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა

<sup>2</sup> „Сборник постановлений и определенных судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР, 1957—1959 гг.“, Госюриздат, М., 1960, стр. 66.

<sup>3</sup> „Советская юстиция“, 1958, № 6, стр. 90.

ათ წელზე მეტი ვადით, მაგრამ არა თხუთმეტ წლამდე. არამედ ვთქვათ თორმეტ წლამდე.

პირველ შემთხვევაში საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული დადგენილება ნათელია; ვთქვათ. პირს სს კოდექსის 228 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ბოროტი სულიგნობა) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლით. ამ სასჯელის მოხდის დაწყებამდე მან ასაღო დანაშაული ჩაიდინა დიდი ოდენობით გარტაცა სახელმწიფო ქონება. სასამართლოს ამ მეორე დანაშაულისათვის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უფლება აქვს შეუფარდოს მოცემულ პირს თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტ წლამდე. ეს გასაგებია. რადგან 91-ე მუხლის მე-3 ნაწილი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადად ითვალისწინებს თხუთმეტ წელს.

მეორე შემთხვევაში საბოლოო სასჯელის დანიშვნის შესახებ საკითხის გასარკვევად უნდა გავიხსენოთ ამ საკითხის ისტორია.

1958 წ. საფუძვლების მიღებამდე საბჭოთა სისსლის სამართლის კანონმდებლობა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ვადად ითვალისწინებდა ათ წელს, ხოლო ზოგიერთი მძიმე დანაშაულისათვის — ოცდახუთ წელს. ამის გამო, თუ პირი სასჯელის მოხდისას ჩაიდენდა ახალ დანაშაულს და თუ წინა ან ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ სასამართლოს შეეძლო საბოლოო სასჯელად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთის ის მაქსიმალური ვადა ათ წელზე ზევით, რომელიც შესაბამისი მუხლის სანქციით იყო გათვალისწინებული. ეს სანქცია შეიძლება ყოფილიყო არა მხოლოდ 25, არამედ 12, 15 ან 20 წელი. ასე მაგალითად, თუ სასჯელთა ერთობლიობაში შემავალ დანაშაულთაგან ყველაზე უფრო მკაცრი სასჯელი დაინიშნებოდა იმ დანაშაულისათვის, რომელიც კვალიფიცირებული იყო „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისის გამოცემული ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით. მაშინ საბოლოო სასჯელად სასამართლოს შეეძლო დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ოც წლამდე და არა ოცდახუთ წლამდე. ეს იმით მართლდებოდა, რომ აღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა ცნობილი იყო ამ სასჯელის მაქსიმუმად.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ 1958 წ. საფუძვლების მიღებამდე ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის მაქსიმუმად დაწესებული იყო თავისუფლების აღკვეთა ოცდახუთ წლამდე, სასამარ-

თლოები სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნის დროს იმ დანაშაულთათვის. რომელთა შესაბამისი კანონები ითვალისწინებდნენ თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე ზევით, მაგრამ ან 12, ან 15. ან 20 წლით. საბოლოო სასჯელს ნიშნავდნენ არა 25 წლის, არამედ შესაბამისი კანონის სანქციის ფარგლებში. 1958 წ. საფუძვლების მიღების შემდეგ ეს საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს.

საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ სასჯელთა ერთობლიობაში ისეთი დანაშაული შედის, რომლისთვისაც კანონს დასაშვებად მიაჩნია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი, მაგრამ არა 15; არამედ, ვთქვათ 12 წლის ვადით, მაშინ სასამართლოს უფლება აქვს საბოლოო სასჯელად მსჯავრდებულს შეუფარდოს თავისუფლების აღკვეთა არა 12, არამედ 15 წლით. მოვიტანოთ შესაფერისი მაგალითი: პირს სს კოდექსის 228 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის (ბოროტი ხულიგნობა) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით. ამ დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ სასჯელის მოხდის დაწყებამდე იმავე პირმა ჩაიდინა განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე. ასეთი დანაშაულისათვის სს კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლიდან 12 წლამდე. გასახლებით — ვადით 5 წლამდე ან გასახლების გარეშე. სასამართლომ მოცემულ პირს განზრახი მკვლელობისათვის შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლით. საბოლოო სასჯელად პირს სასამართლომ შეიძლება შეუფარდოს ჰაის კოდექსის 105-ე მუხლის სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა 12 წლით, არამედ 15 წლით. ამის სრულ უფლებას იძლევა საფუძვლების 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სასჯელთა ერთობლიობის ყველა შემთხვევაში სასჯელთა შეჯამების გამოყენების დროს თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა 15 წელზე მეტი ვადით აკრძალულია. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი გარემოება:

1. თუ სასჯელთა ერთობლიობის „ავტორი“ არასრულწლოვანია, მაშინ სასამართლომ საბოლოო სასჯელად შეიძლება დანიშნოს თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 10 წლამდე, თუნდაც ერთ-ერთი დანაშაულისათვის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული იყოს თავისუფლების აღკვეთა 10 წელზე მეტი ვადით. ეს დასკვნა უშუალოდ გამომდინარეობს საფუძვლების 23-ე მუხლიდან (სს კოდექსის 25-ე მუხლი), რომლის მიხედვითაც იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ

შეტსრულებია თვრამეტი წელი, თავისუფლების აღკვეთის ვადა არ შეიძლება აღმატებოდეს 10 წელს.

2. როგორც ცნობილია, საფუძვლების 23-ე მუხლი (სს კოდექსის 25-ე მუხლი) არ ვრცელდება იმ თავისუფლებააღკვეთილ პირებზე, რომლებიც მსჯავრდებული არიან საფუძვლების მიღებამდე განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია კანონით სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, ბანდიტიზმისათვის, ეკსტრანო მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, დიდი ოდენობით სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისა და ყაჩაღობისათვის. ამასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა საკითხი ამ პირების მიმართ სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენების შესახებ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი სასჯელის მოხდის პროცესში ახალ დანაშაულს ჩაიდენენ.

ასეთ შემთხვევებში საფუძვლების 36-ე მუხლის ფორმალურ-დოგმატურ გამოყენებას შეიძლებოდა გამოეწვია ის, რომ არა თუ დაუსჯელი დარჩებოდა პირი ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ უსაფუძვლოდ შემცირდებოდა წინათ დანიშნული სასჯელის ვადა. უკეთუ მოსახდელად დარჩენილი სასჯელის ვადა აღმატებოდა 15 წელს. მაგალითად, ა-ს დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების გატაცებისათვის 1957 წ. იანვარში მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 25 წლით. კანონის შესაბამისად, რამდენადაც ეს დანაშაული ჩადენილი იქნა საფუძვლების მიღებამდე, თავისუფლების აღკვეთის ეს ვადა სტაბილური რჩება. 1959 წ. იანვარში ა-მ ახალი დანაშაული ჩაიდინა (სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა კოლონიის ზედახედველს). სასამართლომ ასეთ შემთხვევაში ა-ს საბოლოოდ შეიძლება შეუფარდოს სასჯელი პირველი განაჩენით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა 25 წლის ფარგლებში.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს 1958 წ. 25 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“, რომელიც აწესებს, რომ იმ პირებმა, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით, მთლიანად უნდა მოიხადონ ეს ვადა. განაჩენთა სტაბილურობის უზრუნველყოფისა-კენ მიმართული ეს მოთხოვნა მით უმეტეს არ შეიძლება დარღვეუ-



ლი იქნას მაშინ, როდესაც ეს პირები სასჯელის მოსდის დროს ახალ დანაშაულს ჩაიდენენ<sup>4</sup>.

სასჯელთა ერთობლიობისას შეჯამების პრინციპის გამოყენების დროს სასამართლოს უფლება არა აქვს მსჯავრდებულს შეუფარდოს ერთიან საბოლოო სასჯელად თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით, უკეთუ წინათ გამოტანილი განაჩენები არ ითვალისწინებდა საპყრობილეში მოთავსებას.

რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ს-ს და ტ-ს საქმეზე გამოტანილ დადგენილებაში აღნიშნა: „საქმის მასალებიდან ჩანს, რომ ს. და ტ. წინათ მსჯავრდებული არ ყოფილან საპყრობილეში მოთავსებით. ამის გამო, როდესაც მათ მოცემულ საქმეზე მიუსაჯა საპყრობილეში მოთავსება და მიუმატა სასჯელის მოუხდელი ნაწილი, სასამართლოს უფლება არა ჰქონდა ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობისათვის დაენიშნა საპყრობილეში მოთავსება სასჯელის მთელი ვადის მიმართ. ასეთი გადაწყვეტილების მიღებით სასამართლომ შეცვალა წინა განაჩენებით დანიშნული სასჯელების სახე, ე. ი. გადაამეტა თავის უფლებებს, რომლებიც მითითებულია რსფსრ სისხლ. სამ. საპ. კოდექსის 311-ე და 335-ე მუხლებში და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 36-ე მუხლში“<sup>5</sup>.

სასჯელთა ერთობლიობისას შეჯამების პრინციპის გამოყენების დროს გადასახლებისა და გასახლების მაქსიმალური საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს (სს კოდექსის 26-ე და 27-ე მუხლები), ხოლო გამასწორებელ სამუშაოთა საერთო ვადა — 1 წელს (სს კოდექსის 28-ე მუხლი). გამასწორებელ სამუშაოთა მაქსიმალური ვადა როგორც საფუძვლების მიღებამდე, ისე საფუძვლების მიღების შემდეგ იყო და არის ერთი წელი. ამის გამო მნიშვნელობა არ დაუკარგავს რ-ს საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი. სასამართლოს სასამართლო კოლეგიის 1949 წ. 12 ნოემბრის განჩინებას რ-ს საქმეზე.

სასამართლომ რ-ს მიუსაჯა შრომა-გასწორებითი სამუშაოები ერთი წლის ვადით. ამ სასჯელს სასამართლომ მიუმატა წინა განაჩენით დანიშნული შრომა-გასწორებითი სამუშაოების მოუხდელი ნაწილი — ორი თვე. ამრიგად, რ-ს საბოლოოდ შეეფარდა შრომა-

<sup>4</sup> А. С. Шляпочников, Толкование советского уголовного закона, Госюриздат, М., 1957, стр. 123—124.

<sup>5</sup> „Сборник постановлений Президиума и определений судебной коллегии по уголовным делам Верховного Суда РСФСР, 1937—1959 гг.“, Госюриздат, М., 1959, стр. 68.

გასწორებითი სამუშაოები 14 თვის ვადით, იმავე გამო, რომ შრომა-გასწორებითი სამუშაოების საერთო, შეჯამებულმა ვადამ არ შეიძლება გადაამეტოს ერთ წელს, კოლეგიამ საჭიროდ ცნო შთანთქმულიყო ერთი სახალხო სასამართლოს განაჩენი მეორე სახალხო სასამართლოს მომდევნო განაჩენით. საბოლოოდ რ-ს შეეფარდა ერთი წლით შრომა-გასწორებითი სამუშაოები<sup>6</sup>.

სასჯელთა ერთობლიობისას გამასწორებელ სამუშაოთა შეჯამების დროს უნდა შეიკრიბოს მხოლოდ ვადები და არა ხელფასიდან დაქვითვის პროცენტები<sup>7</sup>. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება ასეთი მაგალითი მოვიტანოთ: პირს განსაზღვრული დანაშაულისათვის მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები ოთხი თვით ხელფასიდან 10%-ის დაქვითვით. ამ სასჯელის მოხდის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ მან ახალი დანაშაული ჩაიდინა. ახალი დანაშაულისათვის სასამართლომ იმავე პირს შეუფარდა გამასწორებელი სამუშაოები ექვსი თვით ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით, ხოლო საბოლოო სასჯელად — გამასწორებელი სამუშაოები რვა თვით, ხელფასიდან 20%-ის დაქვითვით. სასამართლოს ასეთი განაჩენი არასწორი იქნება. საბოლოო სასჯელის ასეთი განსაზღვრით სასამართლო უსაფუძვლოდ გაზრდის პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის მიმართ ხელფასიდან დასაქვითავი თანხის რაოდენობას 10%-დან 20%-მდე. პირველი განაჩენით დანიშნული სასჯელი პირმა უცვლელად უნდა მოიხადოს. სასამართლომ უნდა მიუთითოს განაჩენში, რომ პირველი დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილის (ორი თვე გამასწორებელი სამუშაოები) მიმართ ხელფასიდან დაქვითვა მოხდება 10%-ის ოდენობით, ხოლო მეორე განაჩენით დანიშნული სასჯელის (რვა თვე გამასწორებელი სამუშაოები) მიმართ ხელფასიდან დაქვითვა წარმოებული უნდა იქნას 20%-ის რაოდენობით.

არაერთგვაროვანი სასჯელების შეჯამებისას თავდაპირველად საჭიროა მათი ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანა, ხოლო შემდეგ შეჯამება. სხვადასხვაგვაროვანი ძირითადი სასჯელების შეჯამების დროს, სს კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, გამოიყენება შემდეგი წესები:

<sup>6</sup> იხ. „Судебная практика Верховного Суда СССР“, 1950. № 1, стр. 25.

<sup>7</sup> იხ. И. А. Бушурев, Исправительные работы, Госюриздат, М., 1959, стр. 102.

1. თავისუფლების აღკვეთისა და სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების შექამებისას, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეფარდება სადისციპლინო ბატალიონში მოთავსების ერთი დღე.

2. თავისუფლების აღკვეთისა და გადასახლების ან გასახლების შექამებისას, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეეფარდება გადასახლების ან გასახლების სამი დღე.

3. თავისუფლების აღკვეთისა და გამასწორებელი სამუშაოების შექამებისას, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოების სამი დღე.

4. გადასახლების გასახლებასთან შექამების დროს ერთი დღე გადასახლებისა უდრის გასახლების ერთ დღეს.

5. გადასახლების ან გასახლებისა და გამასწორებელი სამუშაოების შექამებისას გადასახლების ან გასახლების ერთ დღეს შეეფარდება გამასწორებელი სამუშაოების ერთი დღე.

6. თავისუფლების აღკვეთასთან, გადასახლებასთან, გასახლებასთან ან გამასწორებელ სამუშაოებთან გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევის. აგრეთვე ჯარიმის, თანამდებობიდან დათხოვნის ან საზოგადოებრივი გაკიცხვის მიმატების შემთხვევაში დასახლებული სასჯელები გამოიყენება დამოუკიდებლივ.

სხვადასხვაგვარი დამატებითი სასჯელები სისრულეში მოიყვანება დამოუკიდებლივ.

ზემოთ დავახასიათეთ როგორც ერთგვაროვან, ისე არაერთგვაროვან სასჯელთა შექამების წესები. ამჟერად ჩვენს წინაშე დგება ასეთი საკითხი: როგორ უნდა იქნას დადგენილი სასჯელთა ერთობლიობისას შექამების პრინციპის შედეგად დანიშნული სასჯელის მოხდის დაწყების მომენტი?

დაყენებული საკითხის გადასაწყვეტად სასჯელთა ერთობლიობის ის ორი შემთხვევა უნდა იქნას განსხვავებული, რომლის შესახებაც ზემოთ იყო ლაპარაკი, კერძოდ: 1) ახალი დანაშაულის ჩადენა პირველი ვანაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე და 2) ახალი დანაშაულის ჩადენა წინა ვანაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდის დროს.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. როდესაც პირი ახალ დანაშაულს ჩადენს პირველი ვანაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე, საკითხის გადაწყვეტა ძნელი არაა. აქ პირველი და მეორე ვანაჩენის აღსრულება ერთდროულად დაიწყება და ამიტომ სწორედ მათი ჯამ-

ტიური აღსრულების მომენტი ჩაითვლება საბოლოო სასჯელის მოსდის დაწყების მომენტად.

მეორე შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როდესაც პირი სასჯელის მოხდისას ახალ დანაშაულს ჩაიდენს, საკითხის გადაწყვეტა რთულდება. ასეთ შემთხვევაში საბოლოო სასჯელის მოხდის დაწყების მომენტად ცნობილი უნდა იქნას ახალი განაჩენის გამოტანის მომენტი. „საკითხის ასეთი გადაწყვეტის მოწინააღმდეგეები მიუთითებდნენ, რომ ასეთ შემთხვევაში თითქოს უარესდება მსჯავრდებულის მდგომარეობა. რამდენადაც ვადის დაწყება დამოკიდებული ხდება სასამართლოს მიერ საქმის ოპერატიულად გამოკვლევასა და სწრაფად განხილვაზე. მაგრამ ამ მოსაზრებებს მნიშვნელობა ექნებოდათ მხოლოდ მაშინ, კანონი რომ არა მარტო სასჯელთა შეჯამებას, არამედ მოუხდელა ვადის შთანთქმასაც უშეებდეს. რამდენადაც საფუძვლების 36-ე მუხლმა დააწესა სასჯელთა მხოლოდ შეჯამება. ამდენად თუ რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად გამოანგარიშებული სასჯელი რამდენადმე წინ სწევს ახალი ვადის დაწყებას. სამაგიეროდ იგი იმავე ვადით ამცირებს სასჯელის იმ მოუხდელ ვადას, რომელიც მომატებული უნდა იქნას. მსჯავრდებულის მდგომარეობა ამით არ უარესდება. მაგრამ პრაქტიკულად უფრო მოსახერხებელია სასჯელის ვადა გამოთვლილი იქნას ახალი განაჩენის გამოტანის დღიდან“<sup>8</sup>. ის გარემოება, რომ ახალი განაჩენით ინიშნება ერთი საერთო სასჯელი. რომელიც წინა სასჯელის მოუხდელ ნაწილსა და ახლად დანიშნულ სასჯელს მოიცავს, მოთხოვს სასჯელის ვადის მოსდის დაწყების გამოანგარიშებას სწორედ უკანასკნელი განაჩენის გამოტანის მომენტიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმართებულოა ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს 1957 წ. 9 თებერვლის განაჩენი ა-ს საქმეზე.

ა-ს ქურდობისათვის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით. ამ სასჯელის მოხდის დროს ა. შეიპარა შრომა-გასწორების ბანაკის საწყობში, საიდანაც მოიპარა 4.653 მანეთის საქონელი. ამ უკანასკნელი დანაშაულისათვის ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ ა-ს „სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ 1947 წ. 4 ივნისს გამოცემული ბრძანებულების მე-2 მუხლით მიუსაჯა ათი წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ შეაჯამა სასჯელები და ა-ს საბოლოოდ

<sup>8</sup> Г. З. А н а ш к и н, Некоторые вопросы судебной практики по применению Основ уголовного законодательства („Советское государство и право“, 1960, № 6, стр. 53).

მოსახდელად დაუნიშნა შრომა-გასწორების ბანაკში პატიმრობა 13 წლით. სასჯელის მოხდის დაწყების მომენტად მიჩნეული იქნა 1953 წ. 17 იანვარი, ე. ი. პირველი საქმის გამო ა-ს დაპატიმრების დღე. სასჯელის მოხდის დაწყების მომენტი სასამართლომ არასწორად განსაზღვრა. მას საბოლოო სასჯელის მოხდის დაწყების მომენტად უნდა ეცნო სწორედ მეორე განაჩენის გამოტანის დღე. ამ მომენტამდე ა. სასჯელს ისდიდა წინათ ჩადენილი ქურდობისათვის. გარდა ამისა, ახლად დანიშნული სასჯელი შეჯამებული უნდა ყოფილიყო წინათ დანიშნული სასჯელის მოუხდელ ნაწილთან.

• დანაშაულთა ერთობლიობისა და სასჯელთა ერთობლიობის არსის გარკვევის შემდეგ დგება საკითხი მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნების შესახებ.

1. დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს ორი ან მეტი ს ს ვ ა-და ს ს ვ ა დანაშაულის ჩადენას, ხოლო სასჯელთა ერთობლიობა მოიცავს როგორც სხვადასხვა, ისე ერთსა და იმავე დანაშაულს. 1

2. სს კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესები მაშინაც განიხილვენება, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ერთ-ერთი დანაშაულისათვის სასჯელი უკვე მოხდილია. ასეთი სიტუაცია, როგორც ცნობილია, შეიძლება გექონდეს განაჩენთა ერთობლიობის დროს. სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნისას სს კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებში გათვალისწინებული წესები მხოლოდ მაშინ იქნება გამოყენებული, როდესაც პირი სასჯელის მოხდამდე ახალ დანაშაულს ჩადენს. ეს აიხსნება იმით, რომ დანაშაულთა ერთობლიობა განიხილება, როგორც ერთი მთლიანი. ასეთი მთლიანობა არა გვაქვს სასჯელთა ერთობლიობისას, სადაც ერთი დანაშაული გათიშულია მეორესაგან განაჩენის გამოტანის მომენტით. ერთმანეთისაგან დანაშაულთა ასეთი დამოუკიდებლობა ყველა შემთხვევაში აპირობებს სასჯელთა მხოლოდ შეჯამების პრინციპის გამოყენებას. აქ შეუძლებელია პირველი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი შეიცვალოს, იგი მოხდილი უნდა იქნეს ისე, როგორც ეს პირველი განაჩენით იყო დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში დგება არა ის საკითხი, რომ ერთობლიობა, როგორც ასეთი, შეფასებულ იქნეს სასჯელის საშუალებით. არამედ საკითხი, თუ როგორ უნდა იქნას შეთანხმებული ახლად გამოტანილი განაჩენი წინა განაჩენთან, ე. ი. სასამართლომ უნდა განსაზღვროს სასჯელის ცალკე ღონისძიება ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის და ამის შემდეგ შეაჯამოს წინათ და ახლად დანიშნულ სასჯელები. შეჯამების შედეგად მიღებული ერთი საერთო სასჯელი თითოეული დანაშაულის საზოგადოებრივი

საშრომების შესაბამისი უნდა იყოს. დამნაშავე სასჯელს მოსდის, თვალსაზრისით პასუხს აგებს ყველა დანაშაულისათვის.

3. დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშნვის დროს შეჯამების პრინციპის გამოყენება სასამართლოს ფაქულტეტურ უფლებას წარმოადგენს, ხოლო სასჯელთა ერთობლიობის დროს მხოლოდ შეჯამების პრინციპი შეიძლება იქნას გამოყენებული. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში სასჯელთა შეჯამების პრინციპის გამოყენების ფარგლები დანაშაულთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნისას უფრო ვიწროა („კანონის იმ მუხლით დადგენილ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს უფრო მკაცრ სასჯელს“). ვიდრე სასჯელთა ერთობლიობისათვის სასჯელის დანიშვნისას („სასჯელის საერთო ვადა და ოდენობა. არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის ამ სახისათვის კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადას“).

4. სასჯელთა ერთობლიობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს განაჩენის გამოტანის შემდეგ ახალი დანაშაულის ჩადენას, ხოლო დანაშაულთა ერთობლიობა — პირველი განაჩენის გამოტანამდე ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას.

განაჩენის გამოტანის მომენტთან დაკავშირებით დგება საკითხი დანაშაულთა ერთობლიობასა და სასჯელთა ერთობლიობას შორის მიჯნის გავლების შესახებ. როდის გვექნება სასჯელთა ერთობლიობა — პირველი დანაშაულისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ, თუ ამ განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ? საძიებელი საკითხი უადრესად პრაქტიკული ხასიათისაა. თუ ვიტყვით, რომ დანაშაულთა ერთობლიობა გულისხმობს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ორი ან მეტი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას, მაშინ ერთი დანაშაულისათვის განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე ჩადენილი დანაშაული წინა დანაშაულთან ერთად შექმნის დანაშაულთა ერთობლიობას. ეს კი იმოქმედებს მსჯავრდებულის ხვედრზე. ასეთ შემთხვევაში მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას სასჯელთა როგორც შთანთქმის, ისე შემციობებულ ფარგლებში შეჯამების პრინციპი. პირიქით, თუ განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე ჩადენილი ახალი დანაშაული სასჯელთა ერთობლიობის ნაწილია, ეს ასევე იმოქმედებს მსჯავრდებულის ხვედრზე. სახელდობრ, ასეთ შემთხვევაში სასჯელთა მხოლოდ შეჯამების პრინციპი გამოიყენება და ისიც უფრო დიდი მოცულობით.

ჩვენი შეხედულებით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია ისე, თუ წინასწარ შემდეგი ორი გარემოება არ იქნება

გარკვეული 1) რაში მდგომარეობს განაჩენის კანონიერი ძალა და ამასთან დაკავშირებით, 2) რა მნიშვნელობა აქვს საკასაციო გასაჩივრებას. †

თუ სასამართლოს განაჩენს განვიხილავთ როგორც სისხლის სამართლის ნორმების შეფარდების აქტს; მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ განაჩენის კანონიერი ძალა — ეს არის მასში რეალიზებული მატერიალური სამართლის ნორმათა მოქმედება. განაჩენის კანონიერ ძალაში თავის გამოხატულებას პოულობს მატერიალური კანონის ძალა, კანონისა, რომლის საფუძველზე და რომლის განსახორციელებლად იქნა გამოტანილი მოცემული განაჩენი. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საშუალებით მასში განმტკიცებული, მართლმსაჯულების განხორციელებისაკენ მიმართული სასამართლოს საქმიანობის შედეგები, კონკრეტული სისხლის სამართლის შესასრულებლად სავალდებულო ხდება<sup>9</sup>.

მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იძენს ისეთ თვისებებს, როგორცაა: 1) განაჩენის საყოველთაოდ სავალდებულო ძალა, ე. ი. სსრ კავშირის ტერიტორიაზე ყველა იურადიული და ფიზიკური პირი მოვალეა უყოყმანოდ შეასრულოს იგი; 2) განაჩენის სტაბილურობა, ე. ი. სახელმწიფოს არცერთ ორგანოს, და მათ რიცხვში მოცემული განაჩენის გამომტან ორგანოს, უფლება არა აქვს შეცვალოს განაჩენი შესაბამისი საპროცესო წესების დაცვის გარეშე; 3) განაჩენის განსაკუთრებულობა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ერთისა და იმავე პირის დანაშაულისათვის ხელმეორედ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა<sup>10</sup>.

საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო ლიტერატურაში საკასაციო გასაჩივრების მნიშვნელობა ასე განისაზღვრება: 1) მისი საშუალებით მეორე ინსტანციის სასამართლოები წარმართავენ პირველი ინსტანციის სასამართლოებისა, და გამოძიების შესაბამისი ორგანოების საქმიანობას სამართლის ნორმების ზუსტი და ერთგვაროვანი შეფარდების გზით, უზრუნველყოფენ კანონიერებას საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში. კასაციის საშუალებით ზედა ინსტანციის სასამართლო ასწორებს პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილ განა-

<sup>9</sup> იხ. Б. С. Тетерин, Возобновление дел по вновь открывшимся обстоятельствам в советском уголовном процессе, Госюриздат, М., 1959, стр. 8—9.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 9.

ჩენში დაშვებულ დარღვევას ან შეცდომას<sup>11</sup>. 2) საქმეთა კასაცია სასიათღება მხარეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გა-რანტირებით. მისი საშუალებით მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ გასაჩივრონ სასამართლოს განაჩენი და ამ მიზნით გადაიტანონ საქ-მე საკასაციო ინსტანციაში, რომლის გადაწყვეტილებამდე გასაჩივ-რებული განაჩენი კანონიერ ძალაში არ შედის და სისრულეში არ მოიყვანება<sup>12</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ „ვიდრე განაჩენი კანონიერ ძალაში არ შესულა — არ არის სისწორის არავითარი პრეზუმპცია, არამედ არის მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს მო-ვალეობა განაჩენზე საჩივრის არსებობისას შეამოწმოს მისი კანო-ნიერება და დასაბუთებულობა“<sup>13</sup>. ამრიგად, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლასა და საკასაციო გასაჩივრებას ის საერთო მიზანი აქვს, რომ ამით შესაძლებელი ხდება უკანონო განაჩენების გაუქ-მება ან მათში სათანადო ცვლილებების შეტანა.

საქართველოს სსრ 1960 წ. სისხ. სამ. კოდექსის 368-ე მუხლში აღნიშნულია. „განაჩენი შედის კანონიერ ძალაში საკასაციო გასა-ჩივრებისა და გაპროტესტების ვადის გასვლის შემდეგ, თუ იგი გა-საჩივრებული ან გაპროტესტებული არ იყო. საკასაციო საჩივრის ან საკასაციო პროტესტის შეტანის შემთხვევაში განაჩენი, თუ იგი არ გაუქმებულა, შედის კანონიერ ძალაში ზემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ. განაჩენი, რომლის საკასაციო გასაჩივ-რება არ შეიძლება, შედის ძალაში მისი გამოცხადების მომენტიდან. გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულება ხდება მისი კანონიერ ძა-ლაში შესვლის შემდეგ“. იმავე კოდექსის 351-ე მუხლის თანახმად, „საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ სასამართლო ღებუ-ლობს ერთ-ერთს შემდეგ გადაწყვეტილებას: 1. სტოებს განაჩენს უცვლელად, ხოლო საჩივარს ან პროტესტს არ აკმაყოფილებს; 2. აუქმებს განაჩენს და აგზავნის საქმეს ახალი გამოკვლევის ან ახა-ლი სამსჯავრო განხილვისათვის; 3. აუქმებს განაჩენს და წყვეტს საქმეს. 4. ცვლილება შეაქვს განაჩენში“.

<sup>11</sup> იხ. მ. ს. სტროგოვიჩი, სისხლის სამართლის პროცესი. ისუ გამომცენ-ლობა, თბილისი, 1948, გვ. 484; Э. Ф. Кузнецова, Советская кассация как гарантия законности в правосудии. Госюриздат. М., 1957, стр. 6; В. П. Радьков, Социалистическая законность в советском уголовном про-цессе, Госюриздат, М., 1959, стр. 238.

<sup>12</sup> იხ. მ. სტროგოვიჩი, დასახ. ნაშრომი, იქვე.

<sup>13</sup> М. С. Строгович, Проверка законности и обоснованности суде-бных приговоров, Издательство Академии наук СССР, М., 1956, стр. 135.



ზემოთ მოტანილი დებულებების საფუძველზე შეიძლება გავა-  
ეთოთ ასეთი დასკვნები: 1) თუ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერ  
ძალაში არ შედის და სისრულეში არ მოიყვანება იმიტომ, რომ მას-  
ში შეიძლება შეცდომა ან კანონის სხვა რაიმე დარღვევა იყოს დაშ-  
ვებული და თუ ზედა ინსტანციის სასამართლო განაჩენში მართლაც  
რაიმე შეცდომას ან დარღვევას დაინახავს, მაშინ განაჩენის გამო-  
ტანიდან მის კანონიერ ძალაში შესვლამდე ჩადენილი დანაშაული არ  
შეიძლება ვცნოთ სასჯელთა ერთობლიობის შემადგენელ ნაწილად.  
ასეთ შემთხვევაში გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა; 2) თუ გა-  
ნაჩენი უცვლელად ან ცვლილებებით შევა კანონიერ ძალაში, ეს  
იმას ნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი განაჩე-  
ნი აღარ გაუქმდება. ამიტომ ასეთი განაჩენის გამოტანის შემდეგ  
ჩადენილი დანაშაული განაჩენის გამოტანამდე ჩადენილ დანაშა-  
ულთან ერთად უნდა ვცნოთ არა დანაშაულთა ერთობლიობად.  
არამედ სასჯელთა ერთობლიობად.

საბოლოოდ, ჩვენი მოსაზრება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:  
განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მის კანონიერ ძალაში შესვ-  
ლამდე ჩადენილი დანაშაული დანაშაულთა ერთობლიობის შემად-  
გენელ ნაწილად მიიჩნევა მაშინ, თუ ზედა ინსტანციის სა-  
სამართლო გადაუქმებს განაჩენს და საქმეს გააგ-  
ზავნის ახალი გამოკვლევის ან ახალი სამსჯავ-  
რო განხილვისათვის.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, მაგრამ მის კანონიერ ძალაში  
შესვლამდე ჩადენილი დანაშაული სასჯელთა ერთობლიობის შემად-  
გენელ ნაწილად განიხილება მაშინ, როდესაც: 1) განაჩენი კანონიერ  
ძალაში შევა ისე, რომ გასაჩივრებული ან გაპროტესტებული არ იქ-  
ნება; 2) გასაჩივრებული ან გაპროტესტებული განაჩენი ზედა ინს-  
ტანციის სასამართლოს მიერ უცვლელად იქნება დატოვებული ან  
თუ მასში შეტანილი იქნება ის ცვლილებები, რომლებიც საქართ-  
ველოს სსრ 1960 წ. სისხ. სამ. საპ. კოდექსის 360-ე მუხლშია გათვა-  
ლისწინებული. ასეთ შემთხვევებში გამოყენებული უნდა იქნას სა-  
ფუძველების 36-ე მუხლში გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის  
წესები.

## § 2 სასჯელთა ერთობლიობის საპროცესუო შემთხვევები

სასჯელთა ერთობლიობის სპეციალურ შემთხვევებად ჩვენ  
ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც: 1) პირობით მსჯავრ-  
დებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთ-

გეგმვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს; 2) ვადამდე პირობით განთავისუფლებული სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს; 3) პირი, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებული იყო, ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

სამივე ზემოაღნიშნულ შემთხვევაში პირი ახალ დანაშაულს არ ჩადის უშუალოდ სასჯელის მოხდის დროს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო სასჯელთა ერთობლიობის იმ სახესთან, რომელიც გათვალისწინებულია საფუძვლების 36-ე მუხლში.

საფუძვლების 38-ე მუხლის მე-2 ნაწილში (სს კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილში) ნათქვამია: „თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან დანაშაულს ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს იმ წესებით, რომლებიც გათვალისწინებულია ამ საფუძვლების 36-ე მუხლით“. ამრიგად, საფუძვლების მიხედვით პირობით მსჯავრდებულის მიერ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ასალი არაერთგვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულის ჩადენისას სასამართლოს სასჯელის დანიშნის დროს შეუძლია გამოიყენოს სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპი.

დანაშაულთა ერთგვაროვნების საკითხზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

როგორი დანაშაული უნდა იქნას მიჩნეული არა ნაკლებ მძიმე დანაშაულად?

ასეთად სსრ კანონის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 3 დეკემბრის დადგენილებით ჩათვლილია ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს ისეთივე ან უფრო მძიმე სასჯელი იმ სასჯელთან შედარებით, რომელიც სასამართლომ ფაქტიურად დანიშნა წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის.

იმავე დადგენილებით მოცემულ შემთხვევაში სწავდასხვა სასჯელის სიმძიმის დადგენისათვის სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს იმ წესით, რომლის მიხედვითაც არის ჩამოთვლილი სასჯელის სახეები, საფუძვლების 21 მუხლსა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში.

სასამართლო პრაქტიკაში წარმოიშვა საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაინიშნოს სასჯელი, როდესაც პირი პირობით მსჯავრდებული იყო დანაშაულთა ერთობლიობისათვის (თუმცა ასეთი შემთხვევები მეტად იშვიათია), ხოლო შემდეგ გამოსაცდელ-

ლი ვადის განმავლობაში ჩაიდინა ერთობლიობაში შემავალ ერთ-ერთ დანაშაულთან შედარებით ერთგვაროვანი, იმავე სიმძიმის ან არა ნაკლებ მძიმე ახალი დანაშაული.

აღნიშნულ შემთხვევაში, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წ. 3 დეკემბრის დადგენილებისა, გამოყენებული უნდა იქნას სასჯელთა მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების პრინციპი, ე. ი. უნდა შეჯამდეს დანაშაულთა ერთობლიობისათვის დანიშნული საბოლოო სასჯელი და ახლად ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი<sup>14</sup>.

საფუძვლების 38-ე მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული შეჯამებას პრინციპთან დაკავშირებით საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ერთი გარემოებაც: გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ახალი. არაერთგვაროვანი ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენამ შეუძლებელია იმოქმედოს განაჩენზე პირობითი მსჯავრის შესახებ. ეს უკანასკნელი ასეთ შემთხვევაში ბოლომდე უნდა იქნას რეალიზებული. თუ პირი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არაერთგვაროვანი ან ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჩაიდენს ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს, ასეთ შემთხვევაში განაჩენი პირობითი მსჯავრის შესახებ გაუქმდება და დადგება საკითხი ამ სამი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელების მთლიანი ან ნაწილობრივი შეჯამების შესახებ. თუ პირი გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩაიდენს ახალ ერთგვაროვან ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაულს და ეს გარემოება გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ გამოვლინდება, აქაც, ვფიქრობთ, გამოყენებული უნდა იქნას საფუძვლების 36-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის დანიშვნის წესი. ამასთან აუცილებელია, რომ დანაშაულის ჩადენიდან გასული არ იყოს განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობის ვადები:

როგორც აღინიშნა, საფუძვლების 36-ე მუხლი გამოიყენება მაშინაც, როდესაც პირი, რომლის მიმართ გამოყენებული იყო ვადაძვე პირობით განთავისუფლება, სასჯელის მოხდის დროს ახალ დანაშაულს ჩაიდენს.

ვადამდე პირობით განთავისუფლების მიერ ახალი დანაშაულის ჩადენისას სასჯელის დანიშვნის წესი დადგენილია სს კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილში. აქ ნათქვამია: „თუ იმ პირმა, რომლის მიმართ გამოყენებული იყო ვადამდე პირობით განთავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი ერთ-

<sup>14</sup> „Бюллетень Верховного суда СССР“, 1962, № 6, стр. 15.

გვაროვანი ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული. სასამართლოს შეუძლია: ახალი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი. იხელმძღვანელებს რა ამ კოდექსის 42-ე მუხლში დადგენილი წესებით“.

დასასრულ, სს კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს სამხედრო სამსახურისათვის ან სამხედრო ვალდებულისათვის განაჩენის აღსრულების ვადის გადადებას ომიანობის დროს. ამ მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ იმ პირმა, რომლის მიმართ განაჩენის აღსრულება გადადებული იყო, ჩაიდინა ახალი დანაშაული, სასამართლო ახალ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ დაუმატებს წინათ დანიშნულ სასჯელს იმ წესების მიხედვით, რომლებიც კატვალისწინებულია ამ კოდექსის 42-ე მუხლში.ჯ

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ერთიანი დანაშაულის ცნება	7
§ 1. ერთიანი ქმედობის ნიშნები	7
§ 2. ერთიანი დანაშაული როგორც დანაშაულის შემადგენლობის რეალიზაცია	16
§ 3. ერთიანი დანაშაულის სპეციალური ფორმები: განგრძობადი, დენადი და შენადგენი დანაშაული	27

### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

დანაშაულთა ერთობლიობის ცნება და სახეები	<u>55</u>
§ დანაშაულთა ერთობლიობა და <u>დანაშაულთა სიმრავლის</u> სხვა სახეები	<u>56</u>
§ 2. დანაშაულთა ერთობლიობის ცნება	73
§ 3. დანაშაულთა იდეალური ერთობლიობა	65
§ 4. დანაშაულთა რეალური ერთობლიობა	101

### თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობისათვის	<u>105</u>
§ 1. სასჯელის დანიშვნა თითოეული დანაშაულისათვის	105
§ 2. საბოლოო სასჯელის დანიშვნა	113
§ 3. სასჯელთა შთანთქმისა და შეჯამების პრინციპების გამოყენება განაჩენთა ერთობლიობის დროს	129

### თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

<u>სასჯელთა ერთობლიობა</u>	140
§ 1. უსუსუსშეგებლობა სასჯელის მოხდამდე ჩადენილი დანაშაულისათვის	140
§ 2. სასჯელთა ერთობლიობის სპეციალური შემთხვევები	154